ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

6

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

229

გამოცემის მეცხრამეტე წელი

6

ივნისი

1976

თბილისი

სსრ. კკ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს სკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა პ ა რ ს ი

პროზა, პოეზია

3. ნოდარ წულეიკირი — დავით ალფაშვილის ქვა, მოთხრობა
40. გიორგი სანაფირაძე — მთელი სიცოცხლე და ერთი დღე, მოთხრობა
34. ვახტანგ ჯაფარაძე — წიგნიდან: „ფარტი, აპრილი, მაისი“, ლექსები
70. იმერა ფამფლოვი — ლექსები
72. ენვერ ნიფარაძე — ლექსები
77. რევაზ ოსეფაიშვილი — წერილი ფეგოფარს, ლექსი
79. რევაზ დანელია — ლექსები

ასფურცელას რეფული

80. ჯანსუღ ჩარკვიანი, ემზარ კვიტაიშვილი, ფუროვან ჯაფუტია, ჯუმალ ჩახავა, თინათინ კვირიკაძე, ავთანდილ ფეტრელიშვილი, მთვარისა ფაქიძე — ლექსები

თარგმანი

87. იმერ ფალაჩი — „ალაკიანის ტრაგედია“, ნაწყვეტი, თარგმნა ნოდარ გურგენიძემ

ნარკვევი

95. ციალა არფაუელია — გადარჩენილი სული ქოლერთის...

ესსეიტიკა, კუფლიციისტიკა

113. სარგის ცაიშვილი — ფარაფლის ფიალი ფაფეთილი
115. ალფეი ფუფაგაფაშვილი — ქართული ენის ფერსოფლიოგიური ლექსიკონის შესახებ
127. ფლადიმერ ყანფლაფშვილი — ფაბაგარულთა კოლეტი
125. ბენი ფაბეიშვილი — რეზო ალფაუფლელის ლექსები
130. ფავით ფოგოფეფერი — 1905-1907 ფლეგის რევოლუციის ეპიზოდი

კრიტიკა

137. თამაზ ფიფინიაძე — ფალოლოგ სიმონ ფოთლის ფასარგეფლოდ!

ჩვენი კალენდარი

153. 80 — ილო ეოსაფშვილი — 80

ხელოვნება

154. ლიანა მიქაძე — ვის ახსოვს „კურკას ქორწილი“

ლიტერატურის ფატიანი

156. იაკობ ბალახაშვილი — ცხოვრება ალექსანდრე ბაბფაფაძისა. გაგრძელება

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ბაგუა ავიოკეჯანი, ვალერიანეფ ბაკრაძე, ბეჟან ბეპრფეთელი, გივი ბანფაპარი, რისფაბ ბოგოფეზიანი, ბიორგი ბუფალია, ნოდარ დეფბაძე, მარგა ელიოზეშვილი, ედფარდ ფენაგადე, ოფია კაბაორია, (ბახუტისფეგელი ფდოვანი), ნუგეზარ წერეთელი, ფარიელ ბანეფრია, რეზო ბეიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოდარ წულეისკირი

დავით აღმაშენებლის ქვა

მოთხრობა

პანტე მასწავლებელმა ალმართი ამოთავა, შეჩერდა, საკუთარ გულისცემას ყური მიუგდო, შეამოწმა, გული ტკიოდა თუ არა, უკვირდა, რომ არაფერი ტკიოდა. კენჭივით კაცი იყო, ჭინკასავით მოხუცი.

ჰენსიაში რომ გავიდა, თავის კარ-მიდამოს უელდა. ძროხას აბალაზებდა ხურგებზე. ვერ მოისვენა, საზოგადო საქმე, როგორც მისი მეუღლე იტყოდა ხოლმე, „საინტრიგანო“ ჰქონდა იმოვა, — ოხვამეკარის მოკლა-პატრონობა დაიგალა. ვინ დაიგალა? ვინ თხოვა? რისთვის აიტკივა აუტკივარი თავი? — ასე ფიქრობდა პანტეს დიდი ოჯახი, მაგრამ პანტე ასე არ ფიქრობდა: ქვეყნისთვის სასარგებლო საქმე უნდა ეკეთებინა და გამოიძებნა კიდეც. სოფლის ბოლოს, მთაზე, ძველისძველი წმინდა გიორგის ოხვამე — სალოცავი იდგა. ამ პატარა საყდრის გამო. ძველად აქაურობას, მთელ სოფელს ოხვამეკარს ეძახდნენ. ჩვენს დროში კი სოფელს პირველი მთისა დარქვეს. ოხვამეკარი ამ გოროკსა და საყდარს შერჩა.

პანტე საყდრისკენ მიდიოდა, მთის ფერდზე საცალფეზო ბილიკს მისდევდა, მოკალეზე ჭრიდა. აქედან ახლოლან პანტე ადიოდა ოხვამეკარში, ეს პანტეს გზა იყო.

მიდიოდა და ძველისძველ წმინდა ალაგზე — ოხვამეკარზე ფიქრობდა „ბერძნული სიტყვა „ეკლესია“ მეკრულმა ვერ იგუა. თექვსმეტი საუკუნე ებრძოდა „ეკლესია“ „ოხვამეს“, ჰაგიოს ვერაფერი დააკლო. ხალხმა მაინც ძკვლი სიტყვა, წარმართული „ოხვამე“ აკოობინა „ეკლესიას“. რა სალოცავები გვქონდა ასეთი?“ — ეკითხებოდა თავისთავს პანტე, — „რანაირი იყო ნეტა ის ხვამა (ლოცვა) წარმართულ ბომონებში რომ სრულდებოდა, რატომ ვერ შეელია ხალხი ოხვამეს?“... პანტე დინჯად ადიოდა ალმართზე და ოხვამეკარს შორიდან შესცქეროდა: ეკლესიის ეზოში უზარმაზარი ძელქვა იდგა, ტოტებგაშლილი ძელქვა მთლიანად ფარავდა კასეულ საუკუნეში აშენებულ პატარა სალოცავს. სოფლიდან მხოლოდ მოთეთრო-მოყვითალო ქვით ნაგები სამრეკლო მოჩანდა. სამრეკლოს სახურავი ჩამოქცეოდა, კედლები-ღა დარჩენილიყო. ეს კედლები ასვეტილიყვნენ ჯორჯონტტზე, თითქოს წარსულის სადარაჯოზე დგანანო, წვიმასაც ეძლებდნენ, ქარსაც, თოვლსაც და ყინვასაც. შორიდან თეთრი კედლები თეთრ ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. ძელქვას კი სამრეკლოს თეთრი კედლებისთვისაც მიეწვდინა თავისი ტოტები. ძელქვა მფარველი ანგელოზივით ადგა ოხვამეკარს თავზე. პანტეს ძელქვაზე ხალხური თქმულება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახსენებდნენ და გუნებაში ეღიმებოდა. თურმე ძველად ფილქვის ადგილას მუხა მდგარა, მუხა აქაურობის სალოცავი კერპი ყოფილა. შემოსეულ მტერს მუხა ცეცხლში დაეწვა, როცა მეორეჯერაც და მესამეჯერაც დაეწვა, ხალხს მუხის ადგილას მტრის თვალის ასახვევად, ფილქვა უხარია. ფილქვის ძირას იკრიბებოდნენ თურმე და მუხაზე ლოცულობდნენ. ოხვამეკარი ლეგენდებსა და თქმულებებში იყო გახვეული. აქ ყოველ ხეს, ბუჩქს, ქვას, ყოველ გოჯ მიწას თავისი ისტორია ჰქონდა, — თავისი წარსული. ამიტომ იტირართა პანტემ აქაურობის პატრონობა, გაწმინდა, გაასუფთავა ოხვამეკარის მასალგამებები, ეკლესიას კარი შეუკა, შემოლობა, ჭიშკარიც კი დაჭედა ფიცრებისაგან და დაკეტა, კლიტე დაადო, ალაგეც გააკეთა ჭიშკრის გვერდით. მ-გდგებულ-მიყრუებული ძველი სალოცავი მართალა კულტურის ძეგლს დაამგვანა.

ოდრე ოხვამეკარი არავის ახსოვდა. თვით პანტეც კი იშვიათად ამოდიოდა დანგრეული სალოცავისა და სამრეკლოს სანახავად. არ ეცალა. მომავალი თაობის აღზრდა ეკისრა, — ქართული ენისა და ლიტერატურის ასწავლიდა საშუალო სკოლაში. დღე და ღამე სკოლაში იყო, ბავშვს ზედ გადაყვებოდა და საგანს შეასწავლიდა, — მშობლებს თავს აბეზრებდა, თქვენნა ბავშვმა ქართული არ იცის და ყურადღება მიაქციეთო. ზოგჯერ არამეოთხე მოაბეზესავით უხეირო მშობელს ცეცხლს შეუნთებდა. ბავშვს ასე და ასე უნდა მოექცეო. სოფლისა და რაიონის ხელმძღვანელობას ხომ გულისპირი გაუჩინა, ეს არ გეგვარგა, და ის არ გეგვარგო.

ალაგეზე გადაბიჯა და ეკლესიის ეზოში რომ შეეიდა, სალდანიაც ხმა შემოესმა: „ინტრიგანია, ხომ იცი მაგის ამბავი, აქეთ ცხვრობს სადღაც. მივიდეთ და ეკითხოთ...“ — გარკვევით გაიგონა პანტემ და ხმა იცნო, მისი მეზობელი, ნამოწაფარი ბუჩქე უნდა ყოფილიყო, მეეურნეობაში ბრიგადირად მუშაობდა, აქ რისთვის ამოსულაო, გაუკვირდა. თვალით ძებნა დაუწყო.

„ქვა არის, სხვა ხომ არაფერია, რაც უნდა კითხვა? — უპასუხა მეორე ხმამ.

პანტემ სამრეკლოს უკან თანამოაზლელებს მოპარა თვალი თუ არა, ფილქვას ამოეფარა და ყური მიუგდო.

სამრეკლოს გვერდით უზარმაზარი ყვითელი ქვა ეგდო, ოდითგანვე ეგდო აქ ეს ქვა. თითქოს მიწას, სამრეკლოს და ფილქვას ერთანმანთთან აკავშირებდა. ქვას ცალ გვერდზე ხავსი ოსფეებოდა, მიწაში ჩაზრდილიყო და მოყვითალო ფერი გადაჰკრავდა. ამ ქვას ეტრიალებდნენ, ზომავდნენ, აწევა სცადეს, მაგრამ ძვრა ვერ უყეეს. პანტემ სამრეკლო იფარა და სულ ახლოს მივიდა.

„მივიდეთ-მეთქი გეუბნები, მაგრამ ყბაში ჩემი მტერი ჩაგარდა...“

„რომ მიხვალ და ჰკითხავ. ეარესია, თავს დაიფასებს. ქვა ტყე-ღრეში აგდია, რა შეუშია პანტე-ინტრიგანი“... — დაკანივით დამარცლილი წარმოსთქვა მაღალმა ახმახმა კაცმა და ქვიდან ღობემდე მანძილი ნაბიჯით გადაზომა. პანტემ ის მეორეც იცნო: ისიც მისი ნამოწაფარი იყო, ეგეთ ერქვა, ახლა საეკლესიერვო ქარხნის მანქანაზე იჯდა.

„უკან მოგატანინებს, იცოდე!“.

„შეუშინებიხართ მაგ ქარაქუცას.. რას ქვია მოპატანინებს!. ეს ეკლესია ხალხისაა, შემოუღობია თავისთვის!.. ერთმა ინტრიგანმა მთელი სოფელი დაგიბრაყვაო? მოდი აქ! — ეგეთმ ბუჩეს დაუძახა. ხელები დაიკაპიწა — როგორმე მიწას მოეწყვიტოთ... ჩაკირულია მიწაში“.

ორივენი დაეჯაჯგურენ ქვას, ვერ მიუდგნენ, თავიდან სცადეს...

პანტემ იცოდა ინტრიგანს რომ ეძახდნენ. ენამყრალი კაცი ვარ, ალბათ ინტრიგანიცო — ბაიორტიკეებდა ხოლმე ხანდახან თავს. ხანდახან კი გაამაყდებოდა: სიმართლის მთქმელი რომ ვარ, ინტრიგანს იმიტომ მეძახიანო, ასე იყო თუ ისე, პანტე სიტყვა „ინტრიგანს“ საალერსო სიტყვასავით შეჩვეოდა.

ის კი არ უკვირდა, ინტრიგანს რომ

ეძახდნენ, მისი ყოფილი მოწაფეები უმიზეზოდ რომ ლანძღავდნენ, ეს აწუხებდა, რატომ, რისთვისო — ნაღვლიანად ეკითხებოდა თავისთავს. ბიჭები კი ქვას ეჯაჯურებოდნენ, თან მოურიდებლად, ხმამაღლა ლანძღავდნენ მასწავლებელს.

„წერს თურმე, რაც პენსიაში გავიდა, დღე და ღამე წერს“.

„მწერალი“ ყოველთვის იყო, გაკვეთილებზეც „წერდა“, ხომ გახსოვს“.

„საკუთარ შვილს, ანდრის უჩივლა თურმე...“ — ხითხითებდნენ ბიჭები.

„საკუთარ შვილს უჩიგლაო, ღმერთო ჩემო, რას არ გაიგონებს კაცი!“ — თავზარი დაეცა პანტეს. თვალსა და ყურს არ უჯერებდა, გაოგნებული. წელში მოხრილი იდგა საფარში და თანასოფლელებს თვალს არ აშორებდა.

„დათიკო ვასილიჩს მაგი უარს ვერ ეტყვის... — ეაკო ქვის ქვევით ხელის შესაყოფ ადგილს ეძებდა, ხელს უფათურებდა ხავსიან ქვის ძირს, თან ბუჭუს ელაპარაკებოდა. „დათიკოს სახელს რომ ვუხსენებთ, ჩაუვარდება კაპე...“

„შინც რა მძიმეა“ — თქვა ბუჭუმ, წამოდგა და ქარდულად გაიხედ-გამოიხედა, — „რომც დავაგოროთ, იმ ღობეს რას უშობი“...

„უნდა გავხსნათ“ — ეაკო წამოდგა, მავთულის ღობეს მიადგა და ძირს ჩაეხედა. „ერთი თუ დაიძრა, სულ რიხინ-რიხიხინთ ჩავა მანქანამდე“ — ეაკომ ჯიბიდან რკინის საკვნეტი ამოიღო. „შეიარაღებული მოსულა... უნდა გამოვიდე საფარიდან“ — ხელად გადაწყვიტა პანტემ და ჩაახველა, ქვის ქარდებს თავზე დადგა. ცოტა ხანს საფარში ყოფნა ერჩია, კარგად გაიგებდა ყველაფერს, მაგრამ რაკი ეაკომ მავთულის ღობის გაჭრა მოინდომა, ვერ მოითმინა და გამოვიდა. გადაყვა მაგ ღობეს, ჯერ მავთული ძლივს იშოვა, შემდეგ ბოძები. შემდეგ მარტოკამ იწვალა ამ კლდე-ღრეში და გაჭირვებით შემოღობა, შემოაკავა აქაურობა. ვიღაცა ეაკოს ვერ დაანებებდა მის ნაცოდვილარს. მართლაც, ეაკომ პანტეს თვალი მოჰკრა თუ არა, მავთულისაკენ გაშვერილი რკინის საკვნეტი დამფრთხალმა ჯიბეში ჩაიდო. ბუჭუს საქციელი წაუხდა, პანტე მაინც მათი მასწავლებელი იყო და რიდი და კრძალვა შერჩენოდათ. პანტეს გაუხარდა ბიჭებს რომ საქციელი წაუხდათ, მთლად ღვთისკენ გავარდნილები არ ყოფილანო, გაიფიქრა.

— გამარჯობა თქვენი!.. — უთხრა მშვიდად და იმ მოსაპარავ ქვაზე ჩამოჯდა. პანტეს ისეთი სახე ჰქონდა, ისე იქცეოდა, თითქოს არაფრად თელიდა ქურდებთან შეხვედრას, თითქოს არაფერი გაეგონა, არაფერი წყენდა. სიგარეტი აეღოლო, მოეკიდა. ბიჭები ადგილზე გახევებულიყვნენ. პანტეს კი მოელოდნენ. ისე უცვნ საიდან გაჩნდაო; გაკვირვებულები უყურებდნენ ერთმანეთს.

— რაზე შეშფოთებულხართ, ბიჭებო? — იკითხა პანტე მასწავლებელმა.

— დათიკო ვასილიჩმა გამოგვგზავნა, ეს ქვა მინდაო, — თქვა რიხიანად ეაკომ, — უნდა წავიღოთ თუ დაეძარით ადგილიდან, ჰი-ჰი! — სულელივით გაიცინა.

პანტემ მის წინ ახორხლილ აყლაყუდას თვალი მოარიდა. შორ მთებს გახედა და ჩაფიქრდა. თითქოს რაღაც დიდი გადაწყვეტილება უნდა მიეღოსო, გაჩუმებული იჯდა დიდხანს. ბოლოს ბიჭებს მოხედა და მტკიცედ უთხრა:

— ამ ქვის წაღება აქედან არ შეიძლება, ბიძიები...

ასეთი ლმობიერ, მშვიდ პასუხს პანტესაგან არ მოელოდნენ, ბუჭუს გულიც კი მოებრუნდა მასწავლებლისაკენ, თვალი ვერ გაუსწორა, ეაკოს შეხედა საყვედურით და ხელად ყველაფერი მას გადააბრალა.

— აა, ხომ გითხარი!..

სამარისებური დუმილი ჩამოვარდა. პანტეს ბუჭუს მლიქნელური უკან დახევა სულ არ მოეწონა. ზურგს უკან

ნოდარ ფულეისკირი
დავითი ალამდელიანის ქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუჭუც კარგა გვარიანად ლანძღავდა, პირისპირ კი ცდილობდა, თავი ანგელოზად მოეჩვენებინა.

— რატომ არ შეიძლება? — გაიცინა ვაჟომ, — ქვაა, სხვა ხომ არაფერია?

— ეს ეკლესია კულტურის ძეგლია, ვისაც რა მოენდება, ის რომ წაიღოს, აქ არაფერი დარჩება, — მიუგო პანტემ.

— ეკლესიას ვინ რას ერჩის, ჩვენ ქვა გვინდა, ბატონო პანტე.

— ქვის წაღება არ შეიძლება სწორედ.

— რატომ მაინც, რატომ? — დაინტერესდა ვაჟომ, — დირექტორმა იცის, ელაპარაკა ვასილიჩი, აგერ ჰკითხეთ კაცს... — ვაჟომ ბუჭუს შეხედა.

— კი, ბატონო პანტე, იცის, — დაუდასტურა ბუჭუმ, — მე მითხრა, მიეცით, ოღონდ, პანტეს ჰკითხეთო, თქვენი შვილიც ანდრიე იქ იყო.

— ვინ დირექტორმა გითხრათ, — თვალები მოუჭყარა პანტემ.

— მეურნეობის დირექტორმა, ეორა ივანიჩმა.

— ვინ ჰკითხავს მეურნეობას, — ჩაიქარქალა პანტემ, — ამას თავისი უფროსი ჰყავს.

— იმ უფროსსაც ვნახავთ, ბატონო, თქვენ არხეინად იყავით, ვასილიჩს უთხრ ვინ ეტყვის! მთელი რაიონი მისი არ იყო? რომ ნდომოდა, მთლად წაიღებდა ამ ეკლესიის სახლში, — უთხრა ვაჟომ.

— რად უნდა ეს ქვა მაინც? — ჰკითხა ბიჭებს პანტემ.

— მარნისთვის უნდა.

— მარნისთვის?

— ჰო, მაგიდის მაგივრად, — ვაჟომ ქვას ფეხი მიადო, — ხუთი-ექვსი კაცი დაეტევა გაჯირვებაში. იცით, რა მარანი აქვს? — ჩვეულებრივი მაგიდის დადგმა არ უნდა.

— ეს უბრალო ქვა არ არის, ვაჟო ბატონო!... მარანში რომ დავდგათ.

— ქვა, ქვაა, ბატონო პანტე, მთლად ყრუები ჩვენც არა ვართ... — ვაჟომ ცალი ხელით დოინჯი შემოიდგა და პანტეს დახედა.

— ეს დავით აღმაშენებლის ქვაა, ამ ადგილზე ძვირფასი აქ არაფერია, — უთხრა პანტემ.

— ვიღაცის რომაა, რაღაცა რომაა, იმიტომ უნდა სწორედ, — მიუგო ვაჟომ, — ვასილიჩის მარანი თქვენ მართლა მარანი ხომ არ გგონიათ, — მუზეუმში არაა იმდენი რამეები, რამდენიც იქაა.

— ეს არის აღმაშენებლის ქვა? — ბუჭუმ ქვას ფეხი დაუბრიტინა და სინჯვა დაუწყო — შეც გამიგია, აღმაშენებელმა ამოიტანა ამ მთიზეო.

ბუჭუ ეშმაკობით და ფარისევლობით ამბრებდა პანტესთან საერთო ენა გამოენახა, ვითომ ქვის ამბავი აინტერესებდა, ქვას და პანტეს გარს უვლიდა.

პანტე წამოდგა, სამრეკლოსთან ახლოს მივიდა და ბიჭებს დაუძახა:

— მოდით აგერ! — ხელი სამრეკლოს ჩამონგრეული სახურავისაკენ გაიშვირა — ე. ი. ანდრიანა ჩამოარდნილი.

სამრეკლო დიდი თლილი ქვისაგან იყო ნაგები. ერთი ქვა მართლაც აკლდა. ვაჟის და ბუჭუს დანგრეული სამრეკლო ადრეც ენახათ, ამ ქვის ამბავისთვისაც მოეკრთ ყური, მაგრამ არ სჯერდათ, და ამიტომ, არც ახსოვდათ ხეირიანად თუ რატომ ერქვა ქვას დავით აღმაშენებლის სახელი.

პანტემ პირადი წყენა გადაივიწყა. გულით მოუნდა აეხსნა თუ რატომ არ შეიძლებოდა ამ ქვის აქედან წაღება. პანტე ფიქრობდა, რომ თანასოფლელებმა არ იცოდნენ ამ ადგილის ისტორია, არ გაეგებინათ აქაურობის მნიშვნელობა, თუ კი ბიჭებს სულში ჩაუძერებოდა და გულს გადაუშლიდა, თუ წარსულის ნაწილი სურათს დაუხატავდა, ქვას ხელს არ ახლებდნენ, პანტეს ბოდიშს მოუხდიდნენ და შერცხვენილები საიდანაც მოვიდნენ, იქით წავიდოდნენ. მაშინ პანტე ბიჭებს ყველაფერს ანატიებდა.

— ეს ადგილი ჩვენს წინაპრებს წმინდა ადგილად მიუჩნევიათ ოდითგანვე, — დაიწყო პანტემ. — ადრე აქ წმინდა მუხა მდგარა, რომელიღაც ღმერთის პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიგსაცემად ოხვამე — სალოცავი ჭონნიათ. შემდეგ წვინდა გიორგის ეკლესია აუშენებიათ, ახლა რომ დგას ის კი არა, დიდი ტაძარი ყოფილა ასეთი ქვით ნაგები. — პანტემ სამრეკლოს ყვითელ ქვაა მიუტაპაუნა ხელის გული, სამრეკლოს გარს უელადა, თან ძველ ამბავს ჰყვებოდა. ბიბეები მორჩილად დაჰყვებოდნენ წინ და უკან. ის წვინდა საყდარი სარკინოზებს (ტრკულოებს) დაუნგრეიგიათ და ცეცხლი წუკიდებიათ. გადარჩენილა ა, ეს სამრეკლო... — პანტემ კვლავ დაუტყაპუნა ხელისგული სამრეკლოს, შეჩერდა. ბიბეა ჩამოაგდო. სამრეკლოს სიძველისათვის ხაზი რომ გაეყვა. — ახლა რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ? — ჰკითხა ბიბეებს. — მეოცეში ხომ?... ცამეტი საუკუნის წინ მომხდარა ეს ამბავი. ცამეტი საუკუნე ხუმრობა არ არის. შემდეგში, როცა დავით აღმაშენებელმა დამპყრობლები გარეკა, ბერებს მოუძებნიათ თავიანთი ძველის ძველი სავანე და მისი აღდგენა უცდიათ. თურმე თვითონ ეზიდებოდნენ კირს, წყალს, ქვას, ქვიშას, დუღაბს თვითონ ასხამდნენ და ქვებსაც თვითონ აწყობდნენ. ხელოსნები არ ჰყავდათ, ქუდზე კაცი ტეხრს ებრძოდა და ეკლესიებისთვის არ ეცალათ.

სალაშქროდ მიმავალ დავით აღმაშენებელს, აქ ჩამოუფლია. უნახავს სწყალი ბერები როგორ ეზიდებოდნენ ამ ქვას. ჩამოსხტარა ცხენიდან, ამოსული ფერდზე, დაუფლია ხელი ქვისთვის, მაღლა აუტაცნია და იმ ადგილას, საცა ახლა ქვა აკლია. შემოუდგია. ბერებს მაღლობა უთქვამთ. დავით კი ამბედრებულა თავის ბედაურზე, ლაშქარს წინ გაძღოლია და თავისი გზით წასულა. ბერებს ქვა ედელწინ ჩაუშენებიათ. მაგრამ დუღაბი არ ჭქონიათ ძველებური და ქვა დროთა განმავლობაში კვლავ ძირს ჩამოვარდნილა.

— ზღაპრებისთვის გეცალია ახლა ჩვენ? — ხმადაბლა გადაულაპარაკა ვაჟომ ბუჭუს.

პანტემ ეს გაიგონა და აენთო, რაც ითმინა, ერთ წამში ფეხზე ჩაყარა. ბიჭებს გაეცინებოდა ეს თვალები უჩვენა.

— თქვენ გგონიათ მე მცალია?... — შეუტრინა და გადმოსკდა, წამოვიდა, ითქვა საიქვილი.

— ვინ დათკოო, ვინ ვასილიჩიო, ან თქვენ ვინა ხართ, ამდენს რომ გებოდეშენი, ხელი არაფერს ახლოთ, ეს ყველაფერი ხალხისაა, უფრო ძვირფასი და დირებული, ვიდრე თქვენი მეურნეობა და საკონსეოო ქარხანაა, — მიახლა ტაკებ და ქვაზე დაჯდა. — გესმით თუ არა ესე?..

პანტეს გაფიცხებამ ვაჟო გააღიზიანა.

— აქამდე ვართ თქვენი ჭკუის სწავლებით! — ვაჟომ ნიკაზე მიიდო ხელი. — თქვენი წყალობით ყველაფერი გვესმის და ყველაფერი ვიცით... — უთხრა დაცინვით.

—თუ გესმით და იცით, აქ საქურდავად რა სინდისით ამოხვედით, მთელი სოფელი თქვენი არ არის? ეს ერთი მტკაველი მიწა, ეს ძველი ეკლესია, ეს ქვა და ხე დაანებეთ წინაპრებს.

— საქურდავადო?! — შესძახა ვაჟომ, თვალები გადმოკარკალა და ბუჭუს შეხედა.

— უთხარი რაღე ეორემ, თვალებში სინათლე დაეკარგე, ბუჭუ!

— მაგას რატომ კადრულობთ, ბატონო პანტე, ჩვენ ქურდები არა ვართ! გამოგვეგზავნეს და რა გვექნა... — თქვა ბუჭუმ უკმაყოფილოდ.

— როგორ თუ ქურდები არა ხართ? ახა მე ვიგრნებ? ეს ქვა არ მიგქონდათ სახლში, ახლა, ამ წუთში?

— ქურდი ჩემთვის ჯერ არავის დაუძახნია!.. — იყვირა კვლავ ვაჟომ, ეკლესიის კედელთან მიყრილ ხარახურიდან დაფანგული რკინის მილი გამოათრია. პანტეს თვალწინ მაღლა ასწია, ჯერ რკალივით მოხარა, შემდეგ თაბადათან ბოლოები ერთმანეთს მიუახლოვა, ბოლოს დაგრიხა, დაგრიხა და პანტეს ფეხებთან დაუგდო.

— რა იყო ბიძიკო, რაზე გრიხავ მაგ ყანგიან რკინას, მაშინვე?.. ღონეს მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენებ?... თუ ლონიერი ხარ, აგერაა ეს ქვა, ორივემ ერთად ვერ აწევთ ხომ ნაცრეთ? ერთი კაცი სწევდა მაგას ძველ დროში....

გასაკვირია, პირდაპირ, საქმურდავად დადიხართ, ზედ ქურდობაზე დაგიჭერეთ და ქურდი რომ დაგიძახეთ. ეს გწყინთ? ამიტომ გრიხავ „ქ�dtებს"?— პანტემ ჩაიქირქილა და ეაყოს თვალი თვალში გაუყარა.

— მომაშორე, ბუჭუ, ეს კაცი, ვეუბნები მე შენ, თორემ... — შესძახა ვაყომ და პანტესკენ გაიწია. ბუჭუ წინ გადადგა.

— თორემ რა?... — ხახვი არ დამაკარა, ბიძიკო, ყურებზე! — მშვიდად უთხრა პანტემ. — ჭკვალ ახლა მილიციაში და სახალხო ქონების ქურდობისათვის ორივეს დაგაჭერინებთ.

— მაგაში ვერ გაკობებთ ვერავინ! — უთხრა ბუჭუმ. მასაც ავესო მოთმინების ფიალა.

— გული არ გამიხეთქო, — გამოაჯავრა შორიდან ვაყომ. — ქკის ქურდობისთვის კი არა, ოქროს ქურდობისთვის ვერ იპერეს დღეს ადამიანს. წავიდა ის დრო, შენ-სთანა ბაზრობები რომ პარპაშობდნენ....

შპონინი... პანტეს გული ჩაწყვიტა ამ სიტყვამ, ინტრიგანობა არ ეყოფოდა. შპონინს სახელიკ რომ მიეთატეს? ვირისაგან წიხლი რა საწყენიაო, დაიშვიდა თავი პანტემ.

— რას ილირნება ეს ბიჭი, თუ კაცი ხარ, — ბუჭუს ვითომ დაუყვავა პანტემ. — არა ხართ ქურდები? მეცნიერები ხართ? წეროლები ხართ? პედაგოგები ხართ? რა გიწოდოთ, თქვენ თავითონ მითხარით... — ბუჭუს ჩაცვივდა პანტე, რაკი ვაყო ლანძღვა-გინებაზე გადავიდა.

— ყველა პედაგოგი და მწერალი ხომ არ იქნება. ბატონო პანტე, — ბუჭუსაც დაეიწყნოდა მასწავლებლის პატივისცემა და უკვე აგდებულად ელაპარაკებოდა.

— ქურდები არა ხართ, ეჰა?... — არ ეშვებოდა პანტე. დამამცირებელ დაკითხვას მარჯვედ განაგრძობდა.

— არა ვართ, არა! — მიაყვირა ბუჭუმაც.

— ეჰა აქ ჩემს სანახავად ამოხვედით?

— არ გვინდა ეს ქება, ბატონო, მიდავართ ხომ ხედავთ?...

— თქვენ კი მიდიხართ. მაგრამ ქურდებს ასე გზა-შარაზე არ უშვებენ!... — პანტე სიტყვა „ქურდს" შოლტივით უტყლაშუნებდა მათ.

— ქურდიკა ხარ, შპონიკა ხარ და ინტრიგანიც! — მიახალა მოთმინებადაკარგულმა ვაყომ პანტეს. პანტემ თავისი „შინდის სახრე" ერთხელაც მოიქნია თვალების მრისხანე დაკვეცებით.

— ქურდი ხარ და, რა გიყო, ბიძია. პროფესორს ხომ არ დაგიძახებ, რაზე გწყინს, არ ვიცი?... — ჩაიხითხითა ბიჭების გასამწარებლად.

— უუხ! — შესძახა ვაყომ. მობრუნდა, თვალებგადმოქაჩული მიაჩერდა პანტეს და მუშტზე იკბინა. ბუჭუმ ვაყო მოქაჩა და წაიყვანა.

— პანტემ არ მოგეცა-თქვა. ეუთხრათ ვასილიჩს, მორჩა და გათავდა, — ამშვიდებდა ვაყოს ბუჭუ. — ბოლო�დამბლოს, წერილობითი ნებართვა მოვუტანთო...

ვაყო ბუჭუს ყურს არ უგდებდა. უკან-უკან იყურებოდა და უკანასკნელი სიტყვებით იგინებოდა.

— ამის!... უხ, ამის!...

— ეს თსობელი! ეს ინტრიგანი!.. ეს სოფლის მუწუკი!...

როცა ეკლესიის ეზოს გასცდნენ, ალაგებზე გადავიდნენ, თავდადმართზე დაეშვნენ და თვალს მიეფარნენ, პანტე კვლავ დაკით აღმაშენებლის ქვაზე ჩამოჯდა, სიგარეტი გაამოლა და ფიქრებს მიეცა. „როგორ ეწყინათ. ნამდვილი სახელი რომ დავუთხეს, ერთიც და მეორეც როგორ ამოპილდა"... პანტემ იცოდა, რომ ისინი მარტო ქვის ქურდები არ იყვნენ... „არ ღირს მაგათზე ფიქრი". დასასკვნა უცემ და ჩამავალ მზეს გახედა. შემოდგომის თბილი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდგა. დასავლეთი სისხლისფრად შეღება ბარჩხალა მზეს, მოტაროსე მზის ჩასვლა სიამოვნებას ჰგვრიდა მოხუცს. არ უნდოდა ფიქრი იმაზე, რაც მოხდა. არც ვასილიჩის, არც სხვა ვინმეს გახსენება არ უნდოდა. აქედან თვალთ უბახავი, მომაჯადოებელი, მართლაც რომ ზღაპრული და ლამაზი იყო კოლხეთის დაბლობი. კოლეთს გასცქეროდა. დასავლეთი წითლად ღუოდა, სიწითლე თანდათან ოქროსფერში გადადიოდა. სამხრეთსა და ჩრდილოეთს ოქროსფერი გადაჭარავდა. აღმოსავლეთი კი ცისფრად ხასხასებდა, მზის სხივი ვერ სწვდებოდა აღმოსავლეთს. დიდხანს იჯდა ნირვანაში გადასული, ტბილ ფიქრებსა და მოგონებებში წასული.

ძველქვა ხეზე ფრთაჭრელი ჩხიკვი შემოჯდა, დაიჩხავლა და დაიჩხაველა პანტეს. განგაში ასტეხა: რა გაქვს სადაოდებელი, მოხუცო. ჩვენ ბუნების შვილები შენთან ვართო. ითქოს ჩხიკვის ჩხავლმა გამოაფიხლოო, წამოდგა, ეკლესიის ეზოში დადგმული ძროხა ასხნა, აქ ამოჩაყავდა საბალახოდ. მას შემდეგ, რაც აქატრონა შემოაკაკა, ეკლესიის ეზოში ხასხაა ბალახი იზრდებოდა.

ახლა რქაჩამოტეხილი თვალმაკი ძროხა, თოკი ხელზე დაიხვია, ეკლესიის ბიდამო ერთხელაც შეთვალიერა. ეკლეკ დადო კლიტე თავის დაქედილ ხის კარს. ალაგე. სადაც ჭურდები გადაკიდნენ, წინადღიან განაკაფი ეკალ-ბარდით გადაქტცა. ძროხას წინ გაუთდვა და ფერდობის ბილიკით ნელა გაუდგა კბას შინისაკენ.

2

ოხვამეკარიდან დაბრუნებულმა პანტემ, თავისი ეზოს ჭიშკარი შეაღო. ძროხა შიგ შეიყვანა. კარის ჩასაკეტად რომ მიბრუნდა, პირუტყვმა თავი წაიტივა და ჭისკენ გაეკეა. შეგპანა მგელმა, მიაძახა. რკინის პატარა ურდული სწრაფად გაიჩხაკუნა და გამოუდგა. ძროხა ჭის თავზე შეჩერდა, პატრონს მოხედა და დაიბშუილა, ისეთი თვალებით ეყურებდა, ისე წრიალებდა [illegible] ზმეოდა ჭის თავზე. ლამის ენა ამოუდგა: მწყურია ადამიანო, მთელი დღე წყეთი წყალი არ ჩამსვლია, ჩქარა, წყალი დამალეკინეო. პანტე სამზადში შეკვიდა, სამზადის კარადა გამოიღო და მონარჩენ ღომსა და ჯადს დაეწყო ძებნა. შემდეგ კარადაკენ და ეკედრებინა აარჩაკუნა. ძროხისთვის კანკეთვნილი ეკედრო გადმოიღო, ღერღელას გამოეარეცხი ჩაეხსნათ და შეეხსნათ. პანტემ ეკედროში ღომისა და ჯადის ნატეხებიც ჩაყარა, შიგ ხელი ჩაყო, მოუარა... კარდალებისა და ეკედროების ხმაურზე კრიალეთ, წრიალეთ, ყიაყიანთა და ჭყვატინთ სამზადის კარს მოეკარნენ ქათმები. ეხეკენ, ინდაურები, ულლიანი ღორი და წერილები. სალამი ხანი, ეკეთ. ღორ-ქათამნი დაეურებას მოიითხოვდა.

— აქშა, აქშა! — გაპყვარობდა სამზადში პანტე, — შეგპამთ ტურაკ!. — წერლებს უმეტედა და გარეთ ერეკებოდა სამზადში შემოპარდნილ ულლიან ღორს. ქათმებსა და ინდაებს, ფეხებშე ებლანდებოდა წერილები.

— აქშა. თქვე უპატრონობებო! შეკლები ვის არა ჰყავს, მაგრამ ქათმებს შიმშილით არავინ ხოკაკს, — ხმამაღლა, რიღლის გასაგონად. გაიძახოდა პანტე.

რიღალი ოდაში ეგულებოდა, ხელ-ერქვა, მართლა ნელია, ეს ოჯახშენებულეთო, — ხმამაღლა თქვა ეადგილობადგილას.

— ორი ეოლი ვის მოუყვანია, რომ შენთვის მიეცეთ! — ვითომ შვილთან ეაბა ქამთო, მაგრამ ეს „ქამათიც" რიღლის გასაგონად იყო წამოწყებული. სამზადსა და ეას შორის მიდი-მოდიოდა და თავისთვის ხმამაღლა ჯაჯანებდა:

— ყველგან, მთელს საქრისტიანოში, ერთი ქალი ეკლის ოჯახს, ჩემთან ორია, მაგრამ ქათმები მაინც მე ეზდა ადაპეტრო, მამაკაცმა...

ძროხას წყალი დაალეევინა, ღორი სა-

ნოდარ ზულეისარი
ალექსანდრეულის ჯვა

ლორეში შეიტყეს, ერთი ტარო სამინდიც შეუგდო, ქათმებს საკენკი დაუყარა, ძროხა სამზადის სკეტზე მოსაწყველად მიაბა, ცარიელი ეედრო საამზადში შეიტანა, სამზადის წინ თავის გრძელ სკამზე დაჯდა და ქალების მოლოდინში საკენკზე მისულ ქათმებს, იხვებსა და ინდაურებს ცქერა დაუწყო.

— ჯურჯა! — შეესძახა უცებ და ოდისკენ გაიხედა, შვილიშვილს ეძახდა, მართლა ჯურჯა კი არ ეძქეა, რეზოს ეძახდნენ, პაპამ შეარქვა ჯურჯა, ვითომ ჩაკორულ-ჩაკვირისტებელი — ჯურჯა ვლუხკიეი მეზრდებოო, სინამდვილეში კი პატარა რეზო ბიასავით ზვრილი, ფერაკაქრალი, უჭმელ-უსმელი ბიენი იყო, ხშირად ავადმყოფობდა, შუბლები ზედ აკვდებოდნენ. ნიაკა არ აკარებდნენ, მაგრამ მაინც უდღეურივით გამოიყურებოდა.

— ჯურჯა! — ერთხელაც დაეძახა. ოდის უკანა კარი გაიღო და ქვის კიბეა თავზე წელს ქვევით სულ ტატეული, მაკარონივით წვრილ ფეხებზე შემდგარი „ჯურჯა“ გამოვარდა, დედას გამოქცეოდა.

— შენ მაინც სადა ხარ, პაპეა? — საყვედური უთხრა პანტეს. მეტი ეერაფერს თქმა მოასწრო. ბავშვს დედაც თან მოჰყეა ჩხუკითა და წყრომით.

— ნუ მიღვიძებთ ბავშვს, ბატონო, ძლიან დავაძინე პატარა, ამას კიდევ სიცხე აქეს!... — ჩამოსძახა პანტეს, ბავშვს წამოარტყა და ოთახში ძალით შეათრია.

რეზომ ტირილი მორთო, თანდათან მოეშატა და მოეშატა, დაწოლა არ უნდოდა.

— გაჩუმდი! არ გამიღვიძო ბავშვი. შე არ დასაცალებელო! — შემოესმა პანტეს რძლის ხმა, — ოცდათვრამეტი გაქვს სიცხე, გაჩუმდი-მეთქი, გეუბნები!

რაკი ოდას კარ-ფანჯრები ღია ჰქონდა, გაფაჩუნებაც კი ისმოდა გარეთ.

რეზომ ხმა გაეშინდა, მაგრამ ახლა გიას ტირილის ხმა მოისმა, გია აკვანში იწვა, ისიც მიზეზიანი ბავშვი იყო, სუ დედა, სუ დედაო, უთ[illegible]ა ნელი და აკვანს რწევა დაუწყო. აკვნის რწევა[illegible] ხმამაც კი გამოაღწია გარეთ.

ეზე ჩასულიყო. ადრიანი შემოდგომის მშვენი. წყნარი საღამო იდგა. სამზადის სკეტზე მიბმული, გამაღიარი ძროხა არ იკოხნებოდა, იქით იყურებოდა. სადაც ხბო ეგულებოდა, ხანდა. ხან დაიზმუვლებდა კიდეც — შვილ ეძახდა, ხბოც იმ ზმას გამოეზმანებოდა ვენახიდან. ვენახის პირეზე დაეგბა საღარი ბოჩოლა.

ორღობეებში ნელა მოიპარებოდა ღამე. პანტე სამსადის წინ თავის გრძელ სკამზე იჯდა. ახლოვდება სიგარეტს და შვილიშვილზე ფიქრობდა: „რა მოუვიდა ნეტა, სულ ავადაა ეს მამაძაღლი... მამამისიც ასე იყო, მაგრამ კიბრარდა და კაცი დადგა...“

ამ ფიქრებში რომ იყო, ჭიკარი გაიღო და ნათელა შემოვიდა, ვეფხარდა ეეფლოს დანახვა, ოღონდ არ შეეშინა, საცა იჯდა, იქიდან არ ადგარა. ცოლიც წამაროვეს ამ სიბერეშო — გაფიქრა.

ნათელა ქმარ-შვილს გადაეყოლილი ქალი იყო, ხუთი შვილი გამოზარდა, ხუთივე გზაზე დაეყენა, ზოგი თბილიაში დაამბინავა, ზოგი — რიგოზეში. ანდრი დარჩა მშობლებთან და ანდრეი ცოლ-შვილის მოელა-პატრონობას შეალია სიბერეში თუ რამ ძალა და ღონე შერჩა.

დღესაც ანდრის გამო იყო ჩამოსული. ანდრი პირველი მაისს ჩამოსულ სიბერეობაში მთავარ ავტონომიად მუშაობდა, მეურნეობის დირექტორი და სხვა ხელმძღვანელები არ წუხდნენ იმდენს, რამდენსაც ანდრი განიცდიდა და დარდობდა მეურნეობის ავ-კარგზე. მეურნეობის გეგმის შესრულება სიჩქარად გადაქცეოდა. შინ და გარეთ სულ ეეგმებზე ლაპარაკობდა.

ნათელას, უკვე თმაგათეთრებულ პაგიგოს, აღარ შეჰკადრებდნენ, ბავშვები ჩაის საკრეფად წაიყვანენ. თვითონ ნათელამ გამოთქვა სურვილი, რაკი მისი ოჯახიდან არავინ მუშაობდა მეურნეობაში, ველს ეთანაღრებოდა, ან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრის ვინმე ამას წამოაყენებენს და როგორც კი საშუალება მიეცემოდა. მაშინვე გარბოდა ჩაის საკრებულ. როცა სკოლა გამოდიოდა სამუშაოდ, ნათელა თაკილი სადამრიგებლო კლასით პირველი მიდიოდა პლანტაციაში. ერთხელ პანტესაც არ მისცა საშვილი და ვენახის სათხრელად გაგზავნა (მეუნენობას ეენახის ფართობებიც ჰქონდა), რა ვუყოთ მერე, პენსიაზე რომ ხარ, ანდრის ხათრით წადი, ხომ ხედავ, შენ არავინ რჩებაო. პანტე ერთი ორჯერ მართლაც წავიდა თანასოფლელთა დასახმარებლად, მაგრამ იქ მეზობლებს ვამაი ი და დავა აუტეხა, ასე თოხნა არ შეიძლება, ვენახს დაღუპავთო. ჰაყვნენ, დაპაკუნეს და საქმე იქამდე მივიდა, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, ასე ვიდგეთ და ვიდაოთო დილაშდე? გასაკვირია შენი საქმე, ღმერთმანი.

— მეც მაგას გეუბნები რომ გასაკვირია. შვილები, ვინც ვარგოდა, აქეთიქით დამიფანტე. აიჩეშე ანდრი, ანდრია და ჰა, შენი ანდრი, შინ ის არ ვარგა და გარეთ მონასავით დასდეს უკან უფროსებს... ცოლი მომიყვანა და კუტიკვით სულ ოთახში ზის, შვილები გააჩინა და უდღეურებია!...

— სუ, სუ, სუ! — იკივლა ნათელამ.

— პირზე ხელი მიიფარე!... ქმართან მიიპრა და თვითონ აიფარა ხელი ტუჩებზე.

— არ გრცხვენია, ანდრიზე მაგას რომ ამბობ?.. კარგი ახლა, დაწყნარდი, ნუ აყვები ნერვებს, ეს ოხერი, შენ გგონია, ნერვები მე არა მაქვს? — მაგრამ ვითმენ. დღეს მთელი დღე ლუკმა არ ჩამსვლია პირში, ოთხი გაკეთილი ჩავატარე. მერე თათბირი გვქონდა და იქ ვიჯექი ერთი საათი. მერე კიდევ ბავშვები წავიყვანე ჩაიში, შინ მოვედი და მეჩხუბებინ...

ისინი საძინებლის წინ, საჩეხის შუა სვეტთან იდგნენ ერთმანეთის პირისპირ და ხმადაბლა, ცხარედ კამათობდნენ, ვითომ ოდაში რძალმა არ გაიგონოსო.

ნათელას ხელში რძის ჩასაწველი სველი ქოთანი ეკავა. კამათში ამ ქოთანს ისე უხერხულად იქნევდა, კაცს ეგონებოდა, საჩეხის სვეტს მიახლის და მიამტვრევსო.

— კარგი, ჰო, ქოთანი არ დაამტვრიო, — უთხრა პანტემ. — გატრიალდა და ხმის მოსაყვანად წავიდა. ნათელამ ძროხას ცური ჩამოუტრეცხა. ფუნაზე დაწოლილიყო და დასვროდა. ამასობაში ხმამ მოირბინა და კაკვშეული ეცა რძით გატეკნულ ძუძუსთავებს.

ნათელა ძროხას მიეკუციცქდა. ქოთანი შეუდგა და ხმის რძე მოაგანინა. ამასობაში პანტეც მოვიდა, ძროხას ხმი მოაშორა. და საძინებლის სვეტზე მიაბა. თვითონ თავის გრძელ სკამზე ჩამოჯდა და ძროხის წველას დაუწყო ცქერა.

უჩქმრად მოწველეს ძროხა, უჩქარად მიალაგ-მოალაგეს, რაც მისალაგებელი იყო და დამდურეულ-მოსალაგებელი ამოვიდნენ ოდაში.

ნელი რეზოს მიწოლოდა, დაკაძინებო ეფიქრა და თვითონაც ჩაძინებოდა.

პანტე თავის ოთახში გავიდა, სინათლე აანთო, სათვალე გაიკეთა და ჟურნალ-გაზეთებს დაუწყო თვალიერება, წაკითხული ჰქონდა, მაგრამ მაინც ათვალიერებდა, იქნება, სარეტერეული ცნობა ან სტატია გამომრჩაო. ნათელამ გაზჩქრაზე ჩაიდანი შემოდგა, ბავშვებისთვის რძე აადუღა, იქნება გაიღვიძონ და თითო ჭიქა თბილი რძე დალინონო. საკაბშოდ სუფრის გაშლას რომ შეუდგა, უკანა კიბეზე ფეხაკრეფით ამოვიდა ანდრი, ფრთხილად შეაღო საკაბელო ოთახის კარი და დედას თავზე დაადგა.

— უჰ, როგორ შემაშინე, რანაირი შემოსულა იცი, შეგირცხვა ცხვირი! — შესძახა ნათელამ.

— მამა მოვიდა? — იკითხა ანდრიმ, დედის შეშფოთებას ყურადღება არ მიაქცია.

— ეგერაა, ოთახში... რა იყო, რამე ამბავია?..

— არაფერი... — თქვა ანდრიმ და მამასთან შევიდა. პანტე წამოწოლილი კითხულობდა გაზეთს, შვილი რომ შემოვიდა, სათვალეს ზემოდან ერთი გაზედა და კითხვა განაგრძო.

— მამა, რატომ არ მიეცი იმათ ის ქვა... — შემოიდა თუ არა, პირდაპირ დაიწყო ანდრიმ. პანტემ შვილს სიტყვა პაუზე აუგდო, მისკენ არც მიუხედავა ისე უთხრა:

— რეზოს სიცხე აქვს...

ეს იმას ნიშნავდა, რომ ქვაზე პანტეს საეჭვარიკ კი არ უნდოდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ანდრი მაგიდას მიუჯდა, ცალი იდაყვი ჩამოეყრდნო. კარგა ხანს იჯდა გარინდებული, არ იცოდა, საიდან მიდგომოდა მამას, ზოგჯერ ეს ჩია კაცი სალ კლდესავით აიმართებოდა ხოლმე და მაშინ ვერც ძალი და ვერც ნებით ვერ მოდრეკდით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ არ დაგაგვიანდა, დათიკო ვასილიჩი ვინც არის?...

პანტე ხმას არ იღებდა. გაზეთს უყურებდა. უკვე ადარ კითხულობდა, აბრის კი აჩერებდა, თავი დამანება, შენთვის არ მცალია, გაზეთს ვკითხულობო, არ უნდოდა შვილთან არასასიამოვნო საუბრის წამოწყება, ანდრი კი არ ეშვებოდა.

— ის ქვა დათიკო ვასილიჩს უნდა მისცე, მამა, სხვა გზა არ არის... — ახლა უკვე ხვეწნის კილოთი უთხრა ანდრიმ.

შვილს კილო პანტეს არ მოეწონა, ერჩია, შვილი შეკამათებოდა, შებრძოლებოდა, თხოვნა და მუდარა ამ საქმეში, პანტეს აზრით, სულ მთლად მოუთმენელი და დაუშვებელი იყო.

— არ მესმის, რა ქვაზე ლაპარაკობ?

— ცოვად უთხრა პანტემ და გაზეთი კვერდით გადადო, ტახტზე წამოჯდა.

— ახალი წლიდან დირექტორის მოადგილის შტატი გვექნება, ოცი მანეთი მოემატება...—საიდუმლოსავით უთხრა მამას ანდრიმ.

— მერე რა შუაშია ეს ქვა?

— ჩვენი დირექტორი დათიკო ვასილიჩის დანიშნულია, ხომ იცი ეს შენ. ერთი სიკვდილი გავათავე ბიუები ხელკარიელი რომ დაბრუნდნენ. პანტემ კიბაღან დაგვხოცაო, ასე უთხრეს დირექტორს. მინდორში რომდენი ქვა აგდია, იმის აღრიცხვა და შენახვა რა ჩვენი საქმეა, მამა.

— ის ქვა სხვა ქვაა. — შეაწყვეტინა პანტემ შვილს და წამოდგა. ისიც მაგიდას მოუჯდა. სათვალე მოიხსნა და კვერდით დაიდო.

— მართალი ხარ, ჩვეულებრივი ქვა არ არის. მაგრამ მამა ხარ და ჩემს მდგომარეობაშიც უნდა შეხვიდე. — ეკან დაიხია უცებ ანდრიმ. — თუ შენ შენებუბრად კრიჭაში ჩაუდგები ჩემს დირექტორს. დათიკო ვასილიჩს და სხვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მე დირექტორის მოადგილეობას დაკარგავ.

— რატომ დაკარგავ?

— როცა ადამიანი სიკეთეს გიკეთებს, შენც სიკეთით უნდა გადაუხადო. დირექტორი მე კარგი თვალით მიყურებს, რაიონშიც ყურადღებით მექცევიან, შენ კი შენი შვილის კეთილმყოფელებისათვის ქვა არ გეშეტება, აი, რატომ დაგკარგავ!..

— ნუთუ ასეთ მნიშვნელობას აძლევენ ამ ქვას, თუ შენ აზვიადებ?

— სწორედ აძლევენ, დირექტორმა თქვა, ესო პრესტიჟის საქმეაო, პანტე ისე იქცევა, თითქოს მის მეტს ეს ქვაყანა არავის უყვარსო. სანამდელეულში ხომ ყველამ კარგად ვიცით, პანტე ვინაა ისაო.

— მერე შენ რა ეთხარი.

— რა უნდა მეთქვა?

— შენ იქ იყავი, როცა ეს სიტყვები ითქვა?

— კი, იქ ვიყავი, მოვკვდი, გავთავდი ალბა, რა მქონდა სათქმელი, დათიკო ვასილიჩი იყო ჩამოსული რაიონიდან და კანტორის წინ ვიდექით მე, ვასილიჩი, დირექტორი, ეაკო, და ბუჭუ. ვასილიჩი რაიონში მიდიოდა და იმას ეაცილებდით. ძალიან გთხოვ, მამა, მაგ ქვისთვის სოფელს ნუ აიწრიალებ და ბოელ რაიონს ნუ გადამეგდებ.

— ის ქვა დაგით აღმაშენებლის ქვაა, ბიჭო.

— ვიცი, მაგრამ დღეს ასეა საჭირო.

— „დღეს ასეა საჭირო“. — გამოაჯავრა პანტემ. — რატომაა ვითომ დღეს ასე საჭირო, რატომ მაინცადამაინც დღეს, ვითომ დღეს სხვა დღეს? ჩვეულებრივი ადამიანური საუბარიც კი გადავავიწყდა!.. რად გინდა დირექტორის, მოადგილეობა, მთავარი აგრონომი ხომ ხარ?

— აბა სულ ასე ვიყოთ? დედა პედაგოგი, მამა პედაგოგი, მეფეღლე პედაგოგი. თვითონაც აგრონომი, ყველა რვეთი, ყველა ჩვეულებრივი და გაბრიკებული? სულ მუდამ შთამომავლობიდან შთამომავლობამდე? პატარა არ გავინძრე? ღღეს დირექტორის მოადგილე ვიქნები, ხვალ დირექტორი, ზეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძლება რაიონში წამიყვანონ, მასზეც კიდევე უფრო ზევით...

— მოიცა! გონს მოდი, თავი არ გაიმასხარაო, თორემ ზევით კი არა, ქვეყნიდან წახვალ! — ხმას აიწია პანტემ.

— კარგი, ზევით არ წავალ... დირექტორის მოადგილეობა ხომ შემრჩება, მაინც კარგია. ხელფასიც მეტი მექნება... — მელიასავით დაეკრიჭა, ვითომ მამას კი არა, რომელიღაც უფროსს ეფარისეველებოდა. პანტეს ელდა ეცა.

— ასე ძალიან გინდა, ბიჭო, მოადგილეობა? — ჩაიჭიმელა პანტემ თავისებურად. ანდრი მამის ქარქილს არაფრად აგდებდა. მას ახლა ვერაფერი შეაჩერებდა. — როგორმე მაჭა დაეყოლიებინა და ის წყეული ქვა ზვალეე გაეგზავნა მეურნეობის მანქანით რაიონში დათიკო ვასილიჩისათვის.

— ძალიან მინდა, მამა, ძალიან, თავი მოვიკლავ. ის ადგილი რომ დაეკარგო, ხუთი წელიწადია ველოდები, — ფეხზე წამოდგა ანდრი. — ვასილიჩის სიძე, ხომ იცი, ვინც არის? — ჩუჩულით უთხრა მამას.

— სიძე არ არის ის. — ცივად უთხრა პანტემ.

— დეკანაბელის ქმარია და შენ რაც გინდა ის დაუძახე. იმიტომ მოსპო, იმიტომ გაანადგურა, ვითომ რა ობიექტური კაცი ვარ, ბიძასაც კი ღალატ ვინდოზო.

— კაი მოსპობაა, საკონსერვო ქარხნის დირექტორობა.

— სასტიკი საყვედური აქვს, უკანასკნელი გაფრთხილებით.

„ყველაფერი იცის, — გაიფიქრა პანტემ. — ვინ ვისი დეიდაშვილია, ვის რატომ მიეცა საყვედური, ნუთუ მართლა ანტერესებს კარიერა?“.... პანტეცა ეუცვიდა ნამდვილი სასულაფერო და სამეურნეო მოღვაწეობისათვის თავგადადებული ადამიანები. თუ მის შვილს სურდა, რაიონს თუ არა, სოფელ მაინც ჩადგომოდა სათაეში და ასზოგადო საქმე ეკეთებინა, პანტეს ამას მიესალმებოდა როცა ადამიანს მიზნები ჰქონდა და ამ მიზნისათვის თავს არ ზოგავდა, დაუტყრომლად, შეუთაოვად მიიწევდა და მისკენ. ასეთ ადამიანს თანაუგრძნობდა, კარიერისტს კერ დაუძახებდა... პანტე ყურადღებით აკვირდებოდა შვილს.

— დაჯექი. ფეხზე რას დგახარ, — უთხრა ბოლოს, — ტელეფონალად გინდა დაწინაურება?...

ანდრი კვლავ მიუჯდა მაგიდას, სიგარეტი ამოიღო, საფერფლე ახლოს დაიდგა და გააბოლა.

— მინდა კი არა, ღამე მესიზმრება, ვითომ დირექტორის მოადგილე ვარ და კაბინეტში ეზიარ გამოჭიმული.

— კარგი, ვთქვათ, დაგნიშნეს დირექტორის მოადგილედ. — უთხრა უცაბ პანტემ, — შემდეგ დირექტორადაც დაგნიშნეს, ბოლოს რაიონში წაგიყვანეს და მთლად რაიონი ჩაგაბარეს, რას იზამდი?

— რას ვიზამდი, — გაიკვირა ანდრიმ, არ მოელოდა ასეთ შეკითხვას. ამოვასუნთქავდით და ის იქნებოდა ეთხელ და სანეტდამიდ! ცოლ-შვილ ლიკანში გავდეშვებდი, ხომ ხედავ, ბავშვები სულ ავადმყოფობენ.... ამ სახლს მოვუძებტებდი... ადარაკს ავიშენებდი საადმ...

პანტე ბოლის სიღრმეში ამგვარ პასუხს ელოდა, შვილს ხომ ხუთი თავ-თავად იცნობდა. გან და თავისი ცოლ-შვილისა, არაფერი აინტერესებდა, არაფერი ადარდებდა. ნუთუ ყველა, მისი ალბრდილი, ყველა მისი მოწაფე ანდრიავთ ფიქრობდა?

— ამა. დღე და ღამე მეურნეობაში რომ ხარ, მთელი სოფლის საწუხარი შენ რომ გაწუხებს, ეს ყველაფერი ტყუილია?...

—რატომაა ტყუილი? — გაოცდა ანდრი. — თუ მეურნეობაში საქმე კარგად გვექნება, მომავალი წლიდან დირექტორის მოადგილედ უკათუოდ დამნიშნავენ. ცოლ-შვილიც ლუკმაპურის ფული მოემატება. თუ ცუდად გვექნება, შეიძლება საქმე სხვანირად შეტრიალდეს....

— ასე უკვირს ახლა შენს ცოლ-შვილს? — არ მოეშვა პანტე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჭირს, აბა, არ უჭირს? — იცი, ხალხი როგორ ცხოვრობს? შენ გადაყევი მაგ ოხვამეკარს, ორი თვეა, პენსია სასლში არ მოგიტანია, ნელი ბიულეტენზეა, ისედაც ორი კაპიკი ეკლესია... ჩემი და დედაჩემის ხელფასი კიდევ ვერ გაწვდა ყველაფერს. ნელს პალტო აქვს საყიდელი. ფეხზეც არ ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგ ქვას ვერ მოკეცემთ. — გადაჭრა უცებ პანტემ და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა.

— შეიძლება, მართლა მაგიდად უნდათ, ჰა? — დაფრთხა ანდრი, — გაბორებული მიაჩერდა მამას. — ვაჟომ უკეთესად იცის, მოურავივით მის სახლშია დღე და ღამე. მე რაღაცას მოვკარი ყური, — ის რა სარწმუნოა. — სულ მთლად დაიბნა, აირ-დაირია ანდრი.

— ვიცოდი, რისთვისაც უნდოდათ, ამიტომ არ მივეეი, — ჩაიქირქილა პანტემ. — ის დავით ალმაშენებლის ქვაა...

— კარგი, მამა, კარგი, გვეყოფა რაც გვეჩარა... გთხოვ, ძალიან გთხოვ, გემუდარები, თუ გინდა. დაგიჩოქებ,—შესძახა უცებ და მუხლებზე დავარდა, პანტე გაოცებული დაიჩარდა შვილს.

— სულ მთლად გაგიჟდი, ხომ? დაკარგე თავმოყვარეობა, სინდის-ნამუსი! — ხმას აღწევ პანტემ შვილის საქცელით თავზარდაცემულმა და ალშფოთებულმა.

— მომისმინე, მამა...

— არ მსურს მოსმენა. აღექი და გადი აქედან! მომშორდი — იყვირა პანტემ.

ხასაურზე ნათელა შემოვარდა. ნათელას ნელივ შემოჰყვა. ანდრი წამოდგა მეხლების ფერთხვით.

— მომისმინე-მეთქ-, გეხვეწები! — ახლა ანდრიმ აღწია ხმას.

— რა მოგიგიდათ, რა მოხდა! მამაშვილს შორის ჩავარდა ნათელა, გაოცებული ეყურებდა ხან ქმარს, ხან შვილს.

— ცაცხვის ისტორია გამეორდება, იცოდეთ! — მთელი ხმით შეკივლირა ანდრიმ— ხომ გახსოვთ. ცაცხვისთვის რა ვადადგეხვდა! — ქალებს მიებრუნდა, დამშვიდებულ ეძებია, — იმდენი იჩივლა და აინტრიგანა ცაცხვი მოკრესო, სულ-ლა დაატოვებინეს. ხომ იყო ასე? მთელი ქკეყანა გადაიკიდა, ჭალაში მდგარ ერთი ძირი ცაცხვისათვის. ეკითხებოდა ვინმე, ჩინ-მედალი მისცეს მაგისთვის? ბუნების ქომაგი! ახლა ქვა აქვს აჩეშებული!

— ქვაა? — გაიოცა ნათელამ, — ეს ქვა? — თვალები დაწყარა და ზუსტად მდგარ ქმარს გახედა განრისხებულმა.

— დავით ალმაშენებლის ქვაა, გაიძახის და არავის ანებებს, რაღაცა ქვა აგდია თურმე იმ დასაქცევში... თანაც დათიკო ვასილიჩს უნდა!...

— დათიკო ვასილიჩს? — შესძახა ნელიმ, გაბეზეტული იდგა კუთხეში, ქმარს შორიდან აგულიანებდა თვალებით.

— ის ქვა ისტორიული ქვაა, მაგრამ სახლში წაღების ნება არავის არა აქვს. მორჩა და გათავდა! — თქვა პანტემ, მერე ცოლს შეხედა და უთხრა: — წამოდი, დამალევინე ჩაი, ეკვდები ადამიანი შიმშილით... — პანტე ოთახიდან გავიდა, სასადილო ოთახში გაწყობილ სუფრას მიუჯდა და ჩაის ჭიქაში ფერი ჩაისხა. ამით უნდოდა ესლამოვნო საუბრისათვის წერტილი დაესვა, თორემ ბოღმისაგან გულზე სკდებოდა, სულ არ იყო ვასუხშობის გუნებაზე.

— ვითომ რას აყეთებ მაგით. — კამოსდია მამას ანდრიმ სასადილო ოთახში. ნელიც შემოვიდა და მგლოვიარესავით გულზე ხელებდაკრეფილი დადგა შორიახლოს.

— კულტურის ძეგლი შვილზე უფრო გიყვარს?..

ნათელამ ცხელი ჩაიდანით ჩაი ჩამოასხა ჭიქებში, თან ანდრის ამშვიდებდა თავის ჭკუით.

— კარგი, ანდრი დაჯექი, ჩაი გაგიცივდება, რა ძეგლია, რა ქვაა, გადამრევს ეს ხალხი... — რძალს გადახედა ნათელამ. ვითომ შენ მაინც ამიხსენი რაშია საქმეო. პანტე გაჩუმებული იჯდა, თავი მაღლა არ აწევევია.

— არავინ და არაფერი შენ არ გიყვარს, მარტო შენი ხელობა გიყვარს! — შესძახა ანდრიმ ნერვიულად, თვალები გადმოკარკლა და სათქმელს გული თან ამოაყოლა, — ინტრი-გა-ნობა!

პანტემ შვილს ახედა, — ყელდალეგით გათეთრებული ადგა თავზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ანდრი, წამოდი აქეთ, — უთხრა ხმადაბლა ნელომ და ხელი მოკიდა მკლავზე. ანდრის წასვლა არ უნდოდდა.

— ანდრი, დედა, ცუდადა ხარ? ფერი წაგიგიდა! — აწრიალდა ნათელა და შვილს წინ დაუდგა. მერე ქმარს მოხედა და დაუცაცხანა, — რა ქნაა ასეთი, კაცო, რა გააჭირე საქმე! — თუმცა ხერხიანად არ იცოდა, რისთვის ეჩხუბებოდა ქმარს. რაკი ანდრი შეედავა მამას, ნათელაც აჰყვა შვილს. ანდრი უწესოს და ურიგოს არავის ჰკადრებდა. იფიქრა, ალბათ პანტემ რაღაც დაამავაო.

— ვითომ შენს მეტი არავინ სცემს პატივს დავით ლომაშენიძელს? ვითომ შენ ერთმა იცი ყველაფერი, სად რა ქნა დეკს ამ სოფფილში, სად რა ციხის ნანგრევია? — გაჰყვიროდა ანდრი.

ანდრი ქალებმა ბავშვების ოთახში შეიყვანეს და პირზე ხელი დააფარეს. ბავშვები არ გაიკვიძოო. ბავშვებმა მაინც გაიკვიძეს, გია ტირიდა, ნელი აკვანს ურწევდა, თან ანდრის ეხვეწებოდა, გაჩუქდიო, ანდრი კაჩუქებას არ აპირებდა. ქალებს გამოეკეცა და მამას ჯიქურ მიეცარა:

— ვინა ხარ შენ? ძეგლის მცველი ხარ? ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარე ხარ?... კულტურის განყოფილების გამგე ხარ თუ მხარეთმცოდნეობის მეზეგმის დირექტორი? ვინ დაგაგალა ოხვამეკარის მოვლა?..

— არც ერთი, ვარ, არც მეორე, არც მესამე, მაგრამ იმ ქვას არ მოგცემთ, გითხარი მე შენ! — შეაგება გაცეცხლებულ შვილს პანტემ და ცხელი ჩაი ხრუპუნით მოსვა.

— არ მომცემ, იმიტომ რომ კარიერისტი ხარ!...

— ოჰო ჰო ჰო, ესეც ახალი ამბავი! კარიერისტიც ეყოფილვარ! — გაიცინა პანტემ.

— რა? — არა ხარ? პედაგოგობით ვერაფერს მიაღწევ, ადმინისტრაციულ სამუშაოზე ვერ ივარგებ...

— რა ადმინისტრაციულ სამუშაოზე?

— ხომ იყავი სკოლის დირექტორად.

— ექვს თვეში ნიჩაბზე დაგსვეს. ახლა ეს ოხვამეკარი აიჩემე, ამით გინდა, სახელი მოიხვეჭო... ვითომ პენსიაზე ვარ, მაგრამ საზოგადო საქმეს მაინც ვაკეთებო. უსასყიდლოდ და უანგაროდ, არა? სოფელს კი ატყუებ, მაგრამ მე ხომ ვერ მომატყუებ, ვერც მეურნეობის ხელმძღვანელობას მოატყუებ იცოდე, ვერც რაიონს. ყველამ ყველაფერი იცის.

— რა იციან, მაინც რა? — დაინტერესდა პანტე. ჩაის სმას მორჩა, ჭიქა და ლამბაქი გვერდით მიდგა, წინ საფერფლე დაიდგა და სიგარეტს მოუკიდა.

ბავშვების ოთახში რეზოს ტირილიც გაისმა, ხმაურზე გამოიღვიძა და მიზეზობდა ავადმყოფი ბავშვი.

— ჩუმად ანდრი, ჩუმად, დამიწიოკეთ ბავშვებნი! არ გრცხვენიათ? — გასძახა ქმარს და შვილს ნათელამ. ანდრომ საზარელი სიტყვების თქმას უმატა და უმატა, ნათელამ ატირებული ბავშვი მიატოვა და სასაღილო ოთახში გამოვიდა. ნელიმ აკვანი რეზოს საწოლთან მიაჩოჩა და ბავშვებს შუაში ჩაუჯდა, ხან ერთს ამშვიდებდა და ხან მეორეს. ნათელა ანდრისთან მივიდა, მოკიდა ხელი და მაგიდასთან დასვა.

— გაგიცავდა ჩაი, დალიე ჯერ და მერე იყამთეთ!..

ანდრი დედას უნებლიედ დაჰყვა, სკამზე კი დაჯდა, მაგრამ არც დაჯდომა უფიქრია და არც ჩაის დალევა, დაჯდა თუ არა, იმ წამს წამოხტა ფეხზე და რაც გულში ჰქონდა, რაც სოფლის ხელმძღვანელობისაგან გაეგონა, მამას გადაუფრთხა:

— იციან, ბატონო, რა საზოგადო მოღვაწეც ხარ, რა ძეგლებისა და ბუნების მეგობარიც!.. ი-ცი-ან-მეთქი. რა ოხვამეკარი რომ შემოაკავე და შიგ შენი ძროხის საბალახო და სადგომი რომ გამართე, ისიც იციან.... პანტემ სახელ-

ნოდარ ფულეიშვილი
ლევან ალფაშენიძელის კვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიფო მიწა თავისი საქონლისთვის შემოაკაკვო, — ასე ამბობენ.

პანტე ყველაფერს მოელოდა, მშვიდად იიტანდა ინტრიგანის, კარიერისტის, ცრუმოდვაწის, ცრუ დამბიანის სახელს, ამას კი, რაც შვილმა ახლა აკადრა, ვერ მოითმენდა, ცოდვა იყო პანტე — განა ძროხისთვის შემოაკაკა ოხვამეკარი? ეს ანდრის აზრი არ იყო, ანდრი ამას ვერც მოიფიქრებდა და არც მოიფიქრებდა. ანდრი არ იყო ასეთი. ეს სწორედ სოფლის ხელმძღვანელებია მონაჭორი გახლდათ. პანტეს გულ ეტკინა და თავი ჩაღუნა. რა ეთქვა, რა ებასუხა შვილისთვის?... ძროხა მართლა ამოვედა ეკლესიის ეზოში. ხანდახან უშიშელსაც შედენილ ხოლმე. ეზოში ძროხის დასაბმელი ადგილი არ ჰქონდათ. სადღაც ხომ უნდა დაებათ ძროხა, უძროხოდ კი ვერ ივარგებდნენ, ორი ჩვილი უჩამეოდ როგორ გაეზარდათ.

— კარგი, ეთქვათ მე საზიზღარი კაცი ვარ, — თქვა ბოლოს პანტემ, — ინტრიგანი ვარ, კარიერისტი, ცრუ მოღვაწე და ასე შემდეგ, ყველაფერ ამას რა კავშირი აქვს ქალთან.

— ის კავშირი აქვს, რომ ნამეტანს ნუ გაყოყოჩდებით, ქვეყნის უკეთესად თავი ნუ მოგვაქვს, საკუთარ თავსაც შეეხედოთ კრიტიკულად, როცა ჩვენს ნამდვილ სახეს დავინახავთ, მაშინ ალ გაგეკვირდება დათმობა. შვილის მდგომარეობაში შესვლა.

— ანდრი, დედა, ამას რას ეხვეწები, — უთხრა ნათელამ შვილს, — მეურნეობის ხელმძღვანელები თქვენ ხომ ხართ, ადექით და გაუგზავნეთ ის ქალ დათიკო ვასილიჩს.

— დაგვანებოს და გავუგზავნით, დაუკითხავად რომ გავუგზავნოთ, მერე მაგას შენ დაამაგრებ?.. ის ცაცხვის გამო, ხომ გახსოვს, რამდენი წერა. ვიდრე სკოლიდან არ გამოაგდეს, არ მოასვენა.

— კარგი, დედა, ანდრი, ასეთი კვახე სიტყვების თქმა როდის ისწავლა შენ? გეყოფა ახლა! — გაუწყრა შვილს ნათელა, — კი არ გამოაგდეს, თვითონ დაწერა განცხადება და პენსიაში გავიდა.

— ცაცხვი ხომ მოჭრილი იყო, რომ ჩიოდა რა, ის ცაცხვს მთავრობა გაამთელებდა?.. — ახლა დედას ჩაეცინა ანდრი, — შენ მითხარი, რა აზრი ჰქონდა საჩივარს?!... ის აზრი ჰქონდა, რომ ვითომ მე ვარ სოფლის მოპირნახულე და სხვას კი ფეხებზე ჰკიდიან. მართალია ეს? არა, არ არის მართალი! ჩვენ ღიდ და ღამე ჩაის პლანტაციაში ვყრიავართ, ღიდ და ღამეს ვასწორებთ, ოფლს ვღვრით, ვშრომობთ, ვანგარიშობთ, ვკეკმავთ, წინასწარ ვიცით, ორიათას წელს სოფელში რამდენი ჰექტარი პლანტაცია გვექნება, რამდენი ჰექტარი ვენახი. რამდენ ძირ თუთის ხეს გავახარებთ, ისიც კი ვიცით: ვითომ ამას უფრო უყავის სოფელი. ვიდრე ჩვენ? სიმართლე გინდათ გითხრათ? — შეაძახა ფეცამ ანდრიმ.

— არ გვინდა, არა, დედა, გეყოფა! დაჯექი, ჩაი დალიე, ახალს დაგისხამ, რა მოგიდია ამ საღამოს!... — ნათელა ოთახში ადგა ეკარ პოულობდა, ხან თეფშებს რეცხავდა, ხან ჩაის ასხამდა, გაკვირვებული უყურებდა ხან შვილს, ხან ქმარს. კარგად ვერ მიეხედარიყო ანდრის გაბორტყების მიზეზს.

— თქვი ბარემ, ყველაფერი თქვი!— უთხრა პანტემ შვილს, — გულზე მოგეშვება.

— შენ შენი თავის მეტი არავინ გიყვარს! — ეგოისტი ხარ! — მიახალა მამას ანდრიმ.

— კარგი-მეთქი ახლა! — შეჭიეკა ნათელამ, მოკიდა შვილს ხელი და ძალით გაიყვანა ოთახიდან. ბავშვების ოთახში მის ცოლს ჩაუბარა. თვითონ პანტესთან გამოვიდა. ეკოდებოდა ქმარი, ანდრიმ კადაკარობა, ასეთი მწარე ლანძღვა-გინების ღირსი არ იყოო, ფიქრობდა გულში, მაგრამ პანტესთვის არ უგრძნობებია, პირიქით, შვილს ეხარე დაეჭირა და ქმარი დატუქსა:

— მოუკვდა პატრონი მაგ ქვას, მა-

ვისთვის იშლით ნერვებს? მიეცი და ვიცათვე!...

პანტე ჩაფიქრებული იჯდა, სიგარეტს აბოლებდა დინჯად და იმაზე ფიქრობდა, რა ექნა, რა ეღონა ხვალ... ჩანდა, რომ ანდრის იმ ქვის გამო უფროსობა გაუწყრა. ანდრი ამას ვერ აიტანდა, სულ ჩხუბი და უთანხმობა ექნებოდა ოჯახში.

— რას ზიხარ ახლა აქ. ზომ თავბაშმე წადი, დაწექი, დაიკვენე... სხვასაც უნდა ჩაის დალევა... უსაყვედურა ნათელამ ქმარს.

— მე არავის არ ვუშლი, ვისაც უნდა, მობრძანდეს და დალიოს... ე, რომ სიფართეა ეს მაგიდა, — პანტემ ხელი ნერვიულად გაიქნია, ვითომ ცოლს მაგიდის სიფართე უჩვენა.

— უჰ, როგორ გაგვიწყრა სიცოცხლე და როგორ გაგტანჯე!.. — ამოოხუნდუნა ნათელამ და ცრემლები გადმოყარა.

პანტემ ერთი შეხედა ცოლს უკმაყოფილოდ. წამოდგა და თავის ოთახში გავიდა.

3

მეორე დღეს პანტეს შინ არაფერი უთქვამს, დილით წავიდა და დაიკარგა. მთელი დღე ოხვამეკარში იყო, იჯდა დგომ ალმაშენებლის ქვაზე და ფიქრობდა. ხანდახან ეკლესიის კარს შეაღებდა, გულმოდგინედ ათვალიერებდა ყოველ კუთხე-კუნჭულს, თითქოს ეძებდაო, თითქოა სანუკვარი ოცნების ასრულების ქამი დამდგარიყო, რაღაცას ზომავდა, რაღაცას აჭედებდა, ჰგვიდა, ბერტყავდა, მთელი დღე დაფუტაფუტებდა.

შინ გვიან შებინდებისას დაბრუნდა, უბრალ დაწვა და დაიძინა.

შინაურებისთვის ხმა არ გაუცია. ერთი ნაჭერი პური კალოზონა ჩუმად ოთახში, არ უნდოდა ჭამა, წყალს სვამდა ხშირ-ხშირად. გულგასიებულს კრეკა შეეროდა.

მეორე დღეც ასე გაატარა მარხვასა და მარტობაში, მესამე დღეც გარეგარე დაღიოდა. ბოლოს ტახტი წოლილი ოხვამეკარში, იქ სამუშაო მაქვს, ვიცი, ლები და წამოწოლა მინდაო, შემდეგ ნაბდაძაველი გაიპარა სამზადში რომ ეგდო. თანდათან გამოეთიშა, გამოეყო ოჯახს, თუმცა თავის წილ საქმეს არ ღალატობდა, ძროხასაც აბალახებდა, წისქვილშიც მიაქროლდა და გაზის ბალონებისთვისაც მიდიოდა სოფლის ცენტრში ძველებურად. ჩუმ-ჩუმად კი საყდარში ბინას იდებდა, თანდათან იქ სკამიც აიტანა და მაგიდაც, სპბანიც დალეგიბიც. რომ გამოეცხადებინა, შინდან წასვლას ვაპირებ, ანდრისთან ცხოვრება არ შემიძლიაო, სოფელში ძოძა-მოთქმა ატყდებოდა. პედაგოგი კაცი ბერივით რომ გამოიკეტებოდა ეკლესიაში, ხალხი ვინ იცის, რას იტყოდა. ნელნელა გადაბარგდებოდა, ოხვამეკარსაც უკეთესად მოუვლიდა და ანდრიზეც შურს იმიებდა. ეკლესიის გადაღმა მღვიმე-პალატი ეგულებოდა, იმასაც მიხედავდა. მისი ვარაუდით, ეგ ბერების სადგომი უნდა ყოფილიყო, ან შესაწირავების შესანახი ბუნებრივი მაკიავარი. ალმაშენებლის ქვასაც უკეთ უდარაჯებდა, თავის ოჯახს, შვილშვილებსაც. ცოლსაც არ მიაკლებდა ყურადღებას, იქაც იქნებოდა და აქაც, ზამთარში ალბათ ვერ გაძლებდა ამ ცივ კედლებში, ზამთარს თავის ოდაში გაატარებდა. ასე ფიქრობდა პანტე, ნათელას თავის გულისნადებს არ უმხელდა. ნათელას ოხვამეკარის გაგონებაც კი არ უნდოდა, მაგრამ რა ექნა? — რაკი კაცი გადაგებული იყო ამ დანგრეულ ეკლესიაზე, რაკი ნანგრევების მოლა ამ სიბერეში მოთხოვნილებად ეკეოდა. ვერ ჰკადრებდა წინ გადადგომოდა, ვერც გადაუდგებოდა, ქმარს კარგად იცნობდა, — რომ აიჩემებდა, ეშმაკი ვერ გადაათქმევინებდა.

რაკი პანტემ შინიდან საწოლიც კი გაზიდა, როცა ერთ მშვენიერ ღამეს შინ აღარ დაბრუნდა, ნათელა ადგა და ოხვამეკარს მიაკითხა, ზომ ამდენს ლაპარაკობდა პანტე მამა-პაპათა წმინდა

ნოდარ ჭელეიშვილი
ფაბიან ალმაშენებლის კვა

ალაგზე. ნათელა ერთხელაც არ დაინტერესებულა საკუთარი თვალით ენახა თუ რა იყო ეს წმინდა ალაგი. ნათელას ენანებოდა უაზროდ დახარჯული ქმრის პენსია, ფუჭად გაწეული შრომა. ბოსტანი გამითხონე აგერ, თუ შეგიძლიაო, — ქმარს ეჯავრენებოდა. როცა შეატყო, რომ პანტე ალარ ხუმრობდა, ადგა და მიაკითხა. ოხვამეკარის ალმართი კვნესისთა და წელის თრევით ამოათავა. ერთ ორჯერ მიაწყეცა კიდეც ქმარი ასეთი ახარებული ქცევისათვის და, როგორც იქნა, მიადგა ეკლესიის ეზოს. პანტე ამდგარიყო, ხელში წელდი ეკიკა და ხელმოჩრდილებული გასცქეროდა ალმართში ამომავალს.

— ოჰპ, შენა ხარ! — შორიდან დაუძახა პანტემ ცოლს. გაუხარდა რომ ამოაკითხა. — შეგვშინდა? ხომ გითხარი, ღამეს აქ გავათევ-მეთქი... — ნათელამ პანტეს მიერ დაჭედილი ხის კარი შეაღო და ეზოში შევიდა. აქეთ-იქით იყურებოდა, არაფერს ამბობდა.

— წამოდი, აქეთაა ის ქვა, — უთხრა პანტემ, და ცოლს ხელი მოკიდა.

— ქვა კი არა, წუხელ სად იწეკი, აბ მაჩვენე, — უთხრა ნათელამ, ხელი წაართვა და ეკლესიისკენ წავიდა. შეაღო დაჟანგული რკინის კარი და შიგ შევიდა, პანტეც შეჰყვა. ჰატარა საგვარეულო ეკლესიაში საოცარი სისუფთავე და წესრიგი სუფევდა. ნათელას სხვა დროსაც ენახა ნაგვით სავსე, ვირთხებისა და ღამურების სამყოფარი ფერდებზალეწილი ეს საყდარი, თვალებს არ უჯერებდა, ისე დაელაგებინა და ღიესუფთავებინა იქაურობა პანტეს. საკთაკმეველოს რომ გასცდებოდით, ეკლესია ჯვარის ფორმას იღებდა, ორივე კედელი შეწეული ჰქონდა. იმ შეწეულ კედლებში სარკმლები გაეჭრათ.

— აი, ჩემი საწოლი, — პანტეს სარკმლიან კედელთან დაეფდა ტახტი და ლოგინიც ზედ გაეშალა. იქვე საწოლთან თავისი ძველისძველი „ცენტრალკა“ მიეყუდებინა. ნათელა თოფს დაჩერდა. თოფი იქ ფიცის სარდაფში ეგულებოდა, თუმრე აქეთ წამოუღია, „გაუფერია“, — გაიფიქრა. ნათელამ, ალბათ, ტალიკას ლული უჭრიალებდა, ეშინოდა ლას ჩაქანგულ-ჩაშავებული ახოვდა. „რა აქეს აქ სათოფო“...

— რის იცავ აქ, პანტე, არ გრცხვენია? სულ გამოსულელდი და გამითავყვანდი?.. — საყვედურით უთხრა ნათელამ.

— მოდი აქ, — უთხრა პანტემ, სიტყვა ბანზე აუგდო, — აქ საკურთხეველი იყო ალბათ, აქ სამკვეთლო... კანკელი არ დგას და იმიტომაა ასე მინდორივით.... სამკვეთლოს კედელი გამონგრეული იყო, მე ამოვაშენე.

— სახლიდან წამოიღე აგურები!..

— არა, აგურები აქ ეყარა... ზეგით აიხედე! პანტემ თაღისკენ გაიშვირა ხელი, — იქ გამოტეხილი იყო ამ სიფარფეზე... ავედი ზეგით და ფიფერი დავაფარე.

— ფიფერიც სახლიდან წამოიღე ალბათ!

— ფიფერი კი, აგური არ წამომიღია, რომ წამომეღო, ხომ იცი, არ დაგიმალავდი... ფიფერი ქვეყანაზე არ იშოვება და რა მექნა, ერთი ცალი ფიფერი ღიდი არაფერია! ახლა აქეთ წამოდი,— პანტე გაბარებული უყვებოდა ცოლს თუ რა გაეკეთა საყდრისათვის,—აქ, ხომ გახსოვს, კაცის სიმაღლეზე ეყარა ნაგავი, ერთი კვირა ვეზიდებოდი გარეთ, ხევში გადავყარე...

— რას ამირებ ახლა... — შეაწყვეტინა ცოლმა მონოლოგი.

— რას ვამირებ? — გაიოცა პანტემ, — რასაც აქამდე ვამირებდი, იმას ვამირებ, — არაფრად ჩაუთვალა ცოლს გულთამხილაობა. — წამოდი, ის ქვა გაჩვენო. — უთხრა სწრაფად პანტემ და გარეთ გავარდა. არ უნდოდა გულახდილი ყოფილიყო, კაცმა რომ თქვაა, პანტე არც არაფერს ამირებდა. შვილისგან წყენდა იმოამინდელი უსამართლო ლანძღვა-გინება, თორემ გასაყოფი ცოლ-შვილთან რა ჰქონდა!..

ნათელაც გამოვიდა საყდრიდან.

— ეს კარიც მე ჩამოვაკიდე, მოგლეჯილი ეგდო აქ, — პანტემ ცოლს საყდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის რკინის კარი უჩვენა, — ეკლესიაში ჩვენი ღორები დათარეშობდნენ. აქეთ წამოდი!... — პანტუ ძელქვის ძირას დადგა.

— აქედან მთელი კოლხეთი მოჩანს, შეხედე. ჩვენი სოფელი რა შორს წავიდა, ის ჩაის პლანტაციებია, უფრო შორს — ვენახები...— პანტუ ხელგაწვდილი იდგა მთის წვერზე და მეუღლეს გულდაგულ უხსნიდა ოხვამეკარის რაობას. — ოხვამეკარი აქ დარჩა, სოფელი იქით, ვაკეზე გაიშალა. ძველად კი მთელი სოფელი ამ მთის ფერდობებზე ყოფილა შეფენილი, სალოკავიც აქ გვქონია და ძველშესალაგიც. აგერ, პატარ-პატარა დიხაუძეებები — გორაკები რომაა, ეს ჩვენი წინაპრების სამარხებია. — ასე ამბობენ ისტორიკოსები. ბაბუაჩემისაგანაც გამიგია მე ეს... ახლა ამ მიდამოებში რამდენიმე ოჯახი დარჩა, შეხედე? ჩვენ, ნესტორ ჯაავა, დერეკ ჯაავა და ჯოტო კანეკი. ჯოტოს ბაბუა — დედის მამა იყო ჯაავა, კანეკია ჩასიძებული, ეს შენც გაგიგონია ხომ? ...იმიტომ რომ ჯაავა ოხვამეკარის მოდგამია, აქ იდგა ის ჯა-ხეკულტი. ჩვენი გვარი რომ ემსახურებოდა — პანტემ ძელქვას ხელი შემოჭერა. ატაკებული ყვებოდა, უნდოდა ნათელასაც გადადებოდა ეს ატაკება — ჯაავა წარმართული გვარია, ოხვამეკარი კიდევ ის მიწა და ალაგი, სადაც ამ გვარის ხალხი ცხოვრობდა, შრომობდა, ქმნიდა შეძლებისდაგვარად. მერე რაა, ახლა რომ არაფინაა ამ მიდამოებში, სოფელი განახლდა, ახალი გვარის ხალხი დასახლდა. ახალი სახელიც დაერქვა ძველსაც იყოს, რას გვშლის!..

— ყველაფერი ეს პირველად ხომ არ მეკმის ბერგან პანტუ, ...რას ამბობ-მეთქი ახლა ის მითხარი.

— მოდი აგერ, აქეთ გაგახლეთ... — პანტე შებრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ცოლს ხელი დაუქნია, — რა აგიჩემებია ეს „რას ამბობ"...

— პანტე,—დაუძახა ნათელამ ქმარს. — თუ შენ ადრისაგან გწყინს რამე, ადექი და წადი თბილისში, ან სოხუმში... აქ რა დაგრჩენია ამ ვირთხებთან ერთად, თავგვებთან, შენ ისეთი შვილები ბევრი გყავს, სხვაგან გაათინო ღამე. ერთმა გაწყენინა? — მეორესთან წადი, მეორესაც ვერ მოგიხუჯავა? — მესამეს მიაკითხე...

პანტეს ეწყინა, ცოლმა რომ არაფრად ჩაუთვალა დაგულისგულებული საუბარი, ცივად შეაწყვეტინა და ოხვამეკარს გადადგა გადაეხედა:

— აქეთ, ხომ ხედავ, სოფელი არაა, სატყეო მეურნეობაა, მაგრამ სატყეომდე ტატეული გორაკები რომ მოჩანს, ის ტატეული მთებიც სასატრონნოა... ვინ იცის, ამ მიწაში რა დევს... — პანტემ მიწას დახედა და ფეხი დაჭერა, — შეიძლება ძველი კოლხური ქალაქი აქაა, შეიძლება, ჩვენი ნამდვილი ისტორია სწორედ ამ მიწის ქვეშაა დამარხული ვიდრე ცოცხალი ვარ, აქაურობას არავის დავანებებ. წამოდი, ის ქვა გაჩვენო; აგერაა....

ნათელა ადგილზე გაქვავებულიყო, არ მოწონდა ქმრის ასეთი ატაკება. ყურს არ უგდებდა და იმაზე ფიქრობდა, ბავშვივით ცაში მფრინავი მოხუცი როგორ დაბრუნებინა დედამიწაზე. პანტე ცოლს მიუხვდა, ახლოს მიეიდა, მკლავზე ხელი მოჰკიდა და საყვედურით უთხრა:

— კიმარა დაბერდი ქალი და ჩემი ხასიათი ვერ გაიგე? — ანდრიმ რომ მაწყენია, იმიტომ ვარ მე აქ?... ვიფიმ ანდრიმ თუ უკადრისი სიტყვები მითხრა, მე სამაგიეროს ვერ ვეტყოდი? შემეცოდა ანდრი, რა ქნას, ვერ არის ბაღვაკი, თავისი ოჯახისათვის კი ცდილობს, ეს დასაფასებელია, იმიტომ არ ვუთხარი არაფერი და გავჩუმდი.

მე აქ ამის დარაჯად ვარ ამოსული, მოდი აგერ!... — პანტემ ცოლს დავით ალმაშენებლის ქვა უჩვენა, — ეს ქვა იქიდანაა ჩამოვარდნილი... საკიდური ლოდია, ამბობენ, დავით ალმაშენებელმა მარტოკამ ასწია და ბერებს მაღლა, ეგერ, ახლა კეთილ ქვა რომ აკლია, იქ

ნოდარ ფულეისკირი
ფაციით ალმაშენებლის ქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაწოდაო. — პანტემ ცოლი სახურავგადაგლეჯილ სამრეკლოსაკენ ანახვა.

— ესო, ზღაპარიაო, სკოლაში თქვეს, — უთხრა ნათელამ ქმარს.

— ვინ თქვა, რა იციან შენმა მასწავლებლებმა!..

ნათელა ქვას მიუცუცქდა, აქედან გახედა, იქიდან გახედა. გარს შემოუარა.

— ყვითელი ქვა არის, უბრალო... რა არის მეტი? — ჰკითხა ქმარს.

— უბრალო?.. — პანტე დაიხარა და ცოლს ქვის ჩამონატეხი უჩვენა.

— უი, შაგინი წითელი ყოფილა! — გაიკვირვა ნათელამ.

— ჰო, კარდისფერია, — მოუკო ამაყად პანტემ, — დათიკო ვასილიჩი უბრალო რიყის ქვით დაინტერესდებოდა?.. — ალბათ სამრეკლო მთლიანად ასეთი ქვითაა ნაგები-მეთქი, — არა. ეს ერთი ქვა უკვეა ასეთი.

პანტე ცოლს გამარჯვებულივით უყურებდა, ვითომ ძალიან უაზრო კი არაა ჩემი ბრძოლა.

— ახლა საკითხაკია, საიდან გაჩნდა ფერადი ქვა აქ? ცხრა მთას იქიდან ასეთი დიდ ქვებს ბერები ვერ მოიტანდნენ. მაშ, სადღაც ახლოს ჰქონდათ სამტეხლო. საფიცარ ახლოს ფერადი ქვის მადანია, შეხედე კარგად? მარმარილოზე ნაკლები რითია?..

— მით უფრო, თუ კარგი ქვაა. ამ ტყე-ღრეში უქმად რატომ უნდა ეგდოს?

— იმიტომ რომ წინაპრის ხელმოწერა კიდია, მისი მოწმანილი და მონგარია. ეს არ მთხოვოთ, ნათო, და რაც გინდათ, ის მთხოვეთ...—პანტემ ცოლს ახალგაზრდობის სახელი „ნათო“ გაუხსენა და ამ ნათოთი მოეფერა თავის ჯეუთ. ნათელასაც ესიამოვნა, „ნათო“ რომ დაუძახა ქმარმა.

— რა ვქნათ, აბა? — თანაგრძნობით ჰკითხა ნათელამ.

— ისტორიული ქვაა და ინიტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰმ, შენ რა იცი, ნათო... — კვლავ მოეფერა ცოლს პანტე, — შენ რასაც გეუბნებიან, ყველაფერი მართალი გგონია.

— რატომ მოვიდოდა ანდრი, დათიკო ეასილიჩს ვითომ გაუბერდებოდა გრიმასთვის დაერეკა და ... ეთქვა, ის ქვა თქვენი ხელით მომიტანეთო?...

— დათიკო ეასილიჩი არ დაურეკავდა. არც მეუნიფორის დირექტორი ქორა რომაა, არც ის დაურეკავდა. იმათმა იცან ჩემი ამბავი, — უფრო მეტიც, რაც მოხდა, მოხდა: ისინი ამას არც გაიცადებენ და ვერც გაიცხადებენ. ჩემი შვილი დაწრილება ტყემალნაჭანი ძალიანი, ჩემია მკვდარი და რა ვქნა?

— კარგი, პანტე, თუ გიყვარვარ, საქმედ ნუ გაგვიხადე ეს ქვა.

— დათიკო ეასილიჩი ამისთანა ქვას მილიონს იშოვის, ის დღეა — უკვე არც ფიქრობს ამ ქვაზე, არც ახსოვს... — განაგრძობდა პანტე, ნათელა წამოდგა, წასვლას აპირებდა. საათს დასკქეროდა ხშირ-ხშირად, პანტე კი ქაქანებდა და ქაქანებდა:

— არც მის დირექტორს, ქორას ახსოვს, ანდრის ახსოვს მხოლოდ. ანდრის ეშინია დათიკო ეასილიჩის, ქორასი... ყველაფერ და ყველაფერს... ეჩვენება, რომ უფროსები არ ესალმებიან, უფროსმა აკი თვალით შეხედა... და, რა ვიცი, საკუთარი ლანდის ეშინია! სულ უკან-უკან წავიდა ეს ბიჭი, მლქვნელი და კარიერისტი გახდა, ასე მგონია, მომიკვდა და შენ მკვდარი მისვენია!..

— დიდეს!! — შეჭკიკვა ნათელამ და ლოყაზე იტაცა ხელი, — გაჩუმდი პანტე! არ გეხვენენია, რას ლაპარაკობ, ადამიანო! რა მწარე სიტყვები ამოგდია პირიდან! ამის მოსმენა ვის შეუძლია!.. შვილია ანდრი შენი, უფროსი შვილი, ნომ არ დაგავიწყდა?.. ასე როგორ იმეტებ!..

— შენ გგონია, მე არ ვწუხვარ? — უთხრა პანტემ ცოლს და გული შეეკუმშა, — ანდრი მეც მეკითხება....

ორივენი გაჩუმდნენ, ნათელა ცრემლს ეწმენდა, პანტე დამნაშავესავით ჩაეცქეროდა მიწას და რა ეთქვა, ცოტა ხანს რითი ეწყვეშებინა, არ იცოდა.

— მომხედე აქეთ, პანტე, — თქვა უცებ ნათელამ. — ჩემი ხათრი სულ აღარ დაგრჩა?... ჩემი ხათრით ამბტიე.

პანტემ ცოლს გაკვირვებით შეხედა.

— რა ვამბტიო, ვის ვამბტიო?

— ანდრის... — ნათელამ ქმარს მაეედრებელი თვალები მიაპყრო.

— არ არის ის ისეთი საზიზღარი, როგორც შენ გეჩვენება... — სლუკუნ-სლუკუნით უთხრა ნათელამ, თავისი ცრემლების შერცხვა თუ რა იყო, გატრიალდა და წავიდა, პანტე უკან გამოუდგა.

— რა გატირებს? რა ვთქვი ასეთი.. მოიცადე... ანდრის რამე უთხრეს?..

— უთხრეს ალბათ... რა ვიცი. მე იმას ვტირი, რომ მამას შვილი გეკვარება. შვილს და რძალს ეუგი პირზე გაკვრია... ამა ის რა ეკითა, ვინც საკუთარ შვილს ლანძღავს დღე და ღამე.

პანტეს ეწყინა. შეჩერდა, თანდათან მოაწვა ბოღმა და ნათელაც ზედ მიაყოლა, — შენც უარესი ხარ ბაგათზე, ერთმანეთზე გაქვთ კუდები გადანაკეკული!.. — მიაძახა უკან, რაკი ნათელა აღარ იცდიდა, მიდუდღუნებდა და მიდიოდა. კარი რომ გაიღო და ეზოს გადაღმა გადავიდა, მაშინ დაეწია პანტეს „შენც უარესი ხარო". ნათელა მოტრენდა, ეპოკარს მოადგა, პანტეს ერთხელაც შეეხვეწა:

— ამბტიე, პანტე, მე მამბტიე, ანდრის ამბტიე, მთელ ქვეყანას ამბტიე და ბეღლზე მოგეშვება....

პანტეს შუბლი შეეკუმტნა, სქელი მოკლე წარბები მოქუფრა, ცოლს თვალი მოარიდა და თქვა:

— ვიდრე ცოცხალი ვარ, ამ ქვას არავის მივცემ.

ნათელა ბეველცემულივით გატრიალდა. ეარე წასვლა გადაწყვიტა, ეერც დარჩენა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ მობრუნდა. გაცეცხლებული

ნოდარ ფულეისკირი
ინგლისურიდან ინგლისურენოვანი ქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო ქმარზე, — ამდენი ეხვეწა, ევედრა, ეჩხუბა კიდეც, ის კი მაინც თავისას გაიძახოდა. რა ეღონა, რა მოეშოქმედა. რომ ქმარი გაეწარებინა? სტუკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაღწიოთ იმას, რომ ყოველმა ჩვენთანგანმა თავისი მოქალაქეობრივი ვალი მოიხადოს ხალხის წინაშე. ხალხი ბრძენია, ხალხი ღვაწლს არ დაგიკარგავთ.

— დიახ, — მოხერხებულად ჩაერთო პანტემ და გრიშას სიტყვა წაართვა. — ორი წლის წინაც ზუსტად ასეთსაუბარი გვქონდა ამ კაბინეტში. მაშინაც დარეკეთ თქვენ მუზეუმში. მაშინაც არ იყო დირექტორი და მაშინაც დაიბარეთ საუნჯეფოდ...

— მეც იმას ვჩივი, ბატონო პანტე, რომ თუ არ იქნება ურთიერთ-გაგება, როგორცა ვიმუშავებთ. მუზეუმის დირექტორი არ უნდა მოსულიყო ჩემთან? არ მოვიდა და მორჩა. გადადებული სამე ხომ იცით... ადამიანს დღეს, სამწუხაროდ თავისთავის მეტი სხვა არაფერი აინტერესებს. ასეთ დროს გვეკრძალება სწორედ მონდომება, თუ მოვინდომებთ, საქმეს გავაკეთებთ. ქვეყანა მთლად დაქაოული არ არის, არიან დადებითი ადამიანები, ოღონდ უნდა შეგვეძლოს დავინახოთ. ამისათვის საჭიროა ვიყოთ პრინციპული. შეგვეძლოს პედაგოგიური მიდგომა.

— ბატონო გრიშა, — კვლავ შეაჩერა პანტემ. — მე ვიცი, რომ არ გაკლიათ ოხვამეკარისათვის, იმაში მაინც დამეხმარეთ, ხელი არ შემიშალონ, რაც მე გავაკეთე, ის არ წამართვან...

გრიშა ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა და პანტეს მიუბრუნდა საქმიანად:

— სანამ მე აქ ვარ, თქვენ ვერავინ ხელს ვერ გახლებთ, ბატონო პანტე, — გულითადად უთხრა თავის ჭკუით. — ოღონდ ოხვამეკარი უფრო უკეთ უნდა მოვაწყოთ, — გრიშა ჩაფიქრდა, ახლა, ამ წუთას ებადებოდა იდეა, გაფართოებული თვალებით მიშტერებოდა ფანჯარას.. ფანჯარიდან ცას შესცქეროდა. — ოხვამეკარს მარტო შემოღობვა არ უშველის, ის უნდა ვაქციოთ მუზეუმად ღია ცის ქვეშ!..

პანტე თვალსა და ყურს არ უჯერებდა, იცოდა გრიშას რომ ბრტყელბრტყელი სიტყვების წარმოთქმა ეზეკარდა, მაგრამ ახლა სწორედ იმას ამბობდა, რასაც პანტე დიდი ხანია გულში ფიქრობდა.

— მუზეუმად? — გაოცდა პანტე.

—დიახ, უნდა დავიხმაროთ სოფლის კომკავშირული და პიონერული ორგანიზაცია და ოხვამეკარში გავმართოთ მუზეუმი ღია ცის ქვეშ. მივიყვანოთ რაიონის მოსწავლეები საექსკურსიოდ, სხვა რაიონებიდანაც მოვიწვიოთ სტუმრები, დავეუძახოთ მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებს, მოვაწყოთ შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, ერთი სიტყვით, კულტურის კერად ვაქციოთ, აი, რა არის მთავარი!

— ეჰ, თქვენს ჰირს შაქარი, ბატონო გრიშა, მაგრამ ვინ უნდა აქციოს კულტურის კერად ოხვამეკარი?.. მე?..

— დიახ, მოგახსენებთ, მე და თქვენ ამას ვერ შეეძლებთ, ყველამ უნდა გავაკეთოთო, მთელმა საზოგადოებამ, ხალხმა. მთავარია გული არ გავიტეხოთ, გამოსავალი უნდა ვიპოვოთო...

პანტეს მოთმინების ფიალა აეკსო. „ნუთუ ამისთვის დამიბარა"... „ნუთუ ამისთვის დამიბარა"... — ფიქრობდა. დაეწინეთი და უაზროდ შესცქეროდა ქადაგად დავარდნილს.

— როცა ადამიანებს ერთმანეთი უყვარხთ, მაშინ ცხოვრება მშვენიერია. სიყვარული მთავარია, სიყვარული საფუძველთა საფუძველია. სიყვარული ორ ადამიანს — ქალს და კაცს ერთმანეთთან აკავშირებს, ეს კავშირი ქმნის აწმყოს, წარმოშობს მომავალს... შორს შეეტოპე არა, ბატონო პანტე. მაგრამ მე მოწოდებით დიდაქტიკოსი გახლავართ, ამას არც ვმალავ, ვამაყობ კიდეც ამით, მიყვარს ხალხს ჭკუა ვასწავლო, მოთხოვნილება მაქვს ასეთი, მინდა ტრიბუნაზე კიდგე, ხალხი ჩემს ირგვლივ იყოს თავმოყრილი. მე კიდევ სულხან-საბას მსგავსად, ეგოძღვავდე მათ, ეს ხომ ბედნიერებაა, ბატონო პანტე. თქვენ პედაგოგი ბრძანდებით და გამიგებთ, ხომ დიდი მოღვაწე გვყავს სულხან-საბა ორბელიანი, ბატონო პან-

---

ნოდარ წულეიშკური
ალეკო ალმასუნიანის ქეა

ტე, რას იტყვით?... მომმეზრდა მოხელის ცხოვრება, — გრიშამ აქვეთ-იქით ჭურდულად გიიხედ-გამოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო. — წვრილმანი ყოველდღიურობა: თათბირები, კრებები... ქაღალდების წერა... აქ არ არია ჩემი ადგილი... მაგრამ, რას ვიზამთ. ვისაუბრეთ სულხან-საბაზე. მარი ქადაგებები ხომ დიდაქტიკის შედეგია?... თქვენ გეგონათ, მე „სიბრძნე სიცრუისაზე“ ვილაპარაკებდი, — გაიცინა გრიშამ. — მე ჩემი სამყარო მაქვს, ბატონო პანტე... უცნაური კაცი ვარ, არა?... მოგაბეზრეთ თავი...

— რას ბრძანებთ? — ხელები გაშალა პანტემ, — ოღონდ ხალხს შემოსცლა უნდა და... — კარებისკენ გიიხედა, ერთი ახალგაზრდა წარამარა აღებდა კარს, შემოსცლას ვერ ბედავდა.

— ეგ არაფერია, მოიცდიან, — თქვა გრიშამ. წამოდგა და კარი ჩაკეტა. პანტემ სიმწრის ოფლი მოიწმინდა შუბლიდან.

— ბოლოს და ბოლოს, ოხვამეკარის დანგრეული ეკლესია კი არ არის მთავარი, იტალიაში ასეთ ეკლესიებს ბეზინს გადაასხამენ და წვავენ თურმე, ყოფილხართ იტალიაში, ბატონო პანტე?.. მე ვიყავი ტურისტული სავზეურით... იქ ასეთ ეკლესიებს არც ერთ საუკუნეში არ ავიდნენ, საკინიბოებიც კი უკეთესად აქვთ აშენებული. ცხადია, ოხვამეკარისთვის თავგამოდება, თუ საქმეს მსოფლიო მასშტაბით შეეხედავთ, ღიმილს გამოიწვევს საერთოდ. ამიტომ ქართველებს ცოტა თავმდაბლობა გვმართებს. მართალია, ძეგლი ჩვენია და, ავია თუ აკრავი, უნდა დავიცავთ. როგორც გითხარით, ეს თქვენ უნდა გააკეთოთ — ჩვენმა აქტივისტებმა, მაგრამ თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ქვეყანაზე არსებობს რომი და ათინა!.. გაყოფოჩება სიკეთეს არავის მოუტანს.

პანტეს გაუხარდა. იფიქრა, თუ მეტყვის ახლა მეტყვის სათქმელს და გაათავებსო.

— მართალი ბრძანდებით, გაყოფოჩება სიკეთეს არავის მოუტანს... — კვერი დაუკრა პანტემ.

— ეკლესიის ეზოში რაღაც ქვა აგდიაო, ის ქვა დათიკო ვასილიჩს სჭირდებაო, ამის გულისთვის ახლა ხმაურობ და ვაიშვეულებელი ატეხილხარ, ამას ვინ მოგვიწონებს? ბოლოს და ბოლოს, ია ქვა კი არ არის მთავარი, რა გამოდის? თქვენ ერთი ადამიანი ხართ პატრიოტი, დასარჩენები დათიკო ვასილიჩი,—ყველა ჩვენთაგანის ალმზრდელი და ყოფილი უფროსი, ქორა ივანიჩი — მეურნეობის დირექტორი, თუ ბნებავეთ, ბუჭუ, — ბრიგადირი კაცი, თუ ბნებავეთ თქვენი შვილი — მთავარი ავრონომი, კეთილსინდისიერი ადამიანი, და ბოლოს, მეც კულტურის განყოფილების გამგე — არა ვართ პატრიოტები?ამ ვარ, რა ვართ, რისთვის ვიღწოთ და ვიბრძვით. ძალიან ეჭვიანულია, ბატონო პანტე. მე გიჩვენეთ ოფტა თავი შეიკავოთ.

— ვინ გეუბნებათ, რომ თქვენ პატრიოტები არა ხართ და მე ვარ პატრიოტი....

— ასე გამოდის, ბატონო....

— ის დავით ალმაშენებლის ქვაა, საბრეკლოდან ჩამოვარდნილი... ეგდოს ის ქვა იქ, საკა ვდგია. ვინ იცის, ხვალ რისთვის დაეკენრდება. სხვას მე არაფერს ვამბობ.

— ოოო!... — თქვა გრიშამ და ჩაფიქრდა. — მინახავს მე ის ქვა, იმ საბრეკლოსაც ვიხსენებ ახლა, თანდათან... — გრიშა წამოდგა, გაიარ-გამოიარა კაბინეტში და ჯიბეებში ხელებჩაყოფილი დადგა ერთ ადგილას, — იცით, რა ვქნათ, ბატონო პანტე?... მოდით, მიეცეთ ის ქვა დათიკო ვასილიჩს... — თქვა ეს და კვლავ მოპყვა ბოლთას ცემას, ვითომ ჯერაც ვერ გადამიწყვეტია, მიეცე თუ არაო. — მე და თქვენ ხომ ვიცით, რომ ოხვამეკარის არც ეკლესია და არც სამრეკლო არაფერი ძეგლი არ არის...

— არ გეთანხმები მაგაში... — ვერ მოითმინა პანტემ.

— თქვენ მეთანხმებით თუ არ მეთანხმებით, ამას მნიშვნელობა არა აქვ.

ფეოდორ ფულეისკირი
დავით აღმაშენებლის ქვა

ზია კი დიდი გაქვთ. ქუთაისს აქეთ არც ყოფილა დავითი ბოლოსდაბოლოო! ...აგვევსო მოთმინების ფიალა, მარტო მე კი არა, მთელ რაიონს...—უჩურჩული გრიშამ პანტეს, თითქოს დიდი საიდუმლო გაანდო.

— ეს მე პირველად არ მესმის... — უთხრა პანტემ მშვიდად და კარიისკენ წავიდა. გრიშა უკან გამოუდგა.

— დიახ, მაგრამ ჩემი რჩევაა საქმე აწონ-დაწონოთ... თქვენთვეა საჭიროა, ის ქვა თავიდან მოიშოროთ, არ გინდათ დათიკო ვასილიჩს მისცეთ? კი ბატონო, ნუ მისცემთ. დათიკო ვასილიჩი არ არის მთავარი. მთავარია, სინდისთან ვიყოთ პირშუქნადად...

პანტემ ხელი ჩაიქნია, კაბინეტიდან გავარდა და გრიშას კარი ცხვირწინ მიუხურა.

5.

შვილთან იმღამინდელი დავის შემდეგ, პანტემ გადაწყვიტა, ის ქვა თავის ადგილას ჩაედგა და დუღაბით ჩაეკირა. ეს ადვილი საქმე არ იყო. პანტეც ნელ-ნელა ეშზადებოდა. გაიკითხა-გამოიკითხა: მკვიდრი დუღაბისათვის ჯერ წყლის ცემენტი ურჩიეს, შემდეგ — კაშხალის. დადგა ამწე რაიონში ერთადერთი ეგულებოდა, იმ ამწეს კერძო სამუშაოზე ვინ გაუშვებდა? მეამწე დიდხანს ეკამპრობოდა, არ უნდოდა, სამუშაოდ შორს წასვლა, ბოლოს მაინც დაითანხმა.

გრიშა ფეტელავასთან საუბარმა პანტე ძალიან ჩააფიქრა: „უნდა ვიჩქარო, თორემ იმ ქვას წამართმევენ“..

სოფელში ალარ დაბრუნებულა. რაიონიდან პირდაპირ ზუგდიდის ავტობუსს გაჰყვა ენგურჰესის მშენებლობაზე. ბეტონის ქარხანაში ერთი მისი ნამოწაფარი მუშაობდა. კითხვა-კითხვით გამოძებნა და თავისი გასაჭირი გაანდო. მაგარ-მაგარი სიტყვები უთხრა სამშობლოზე, ადამიანის მოვალეობაზე, ცხოვრებაზე. რადაც უნდა დაჯდომოდა, ერთი ვედრო მაღალი სიმტკიცის ცემენტი უნდა ეშოვა. მოწაფემ გულთან მიიტანა მასწავლებლის საფუძარი, მიდგა-მოდგა, ცემენტი უშოვა, დუღაბეს შეზავებაც ასწავლა და ავტობუსამდე გამოიცალა კიდეც.

პანტე შინ გვიან ღამით დაბრუნდა, ქურდივით შეიპარა სამზადისი და ცემენტი დამალა. ნათელას ქმრის მოსვლა გაგო, ვიდრე ოდაში ამოვიდოდა, ხელად გაუცალა ჩანი, გაუშალა სუფრა და ქმარს ისე შეეგება, როგორც ოცი-ოცდაათი წლის წინ ეგებებოდა. ნათელა ხედავდა, რომ პანტეს შინ ყოფნას გარეთ ყოფნა ერჩია. თუ ოჯახში ადრინდელი სითბო და სიტკბო დახვდებოდა, პანტესაც იქნება გული მოტრუნებოდა. ასე ფიქრობდა ნათელა და ამიტომ ხვდებოდა ქმარს ადრინდელი გულისყურით.

პანტე ოდის კიბეზე ამოვიდა. დინჯად დაიბანა ხელი, ვითომ არაფერი მომხდარაო, მშვიდად მიუჯდა მაგიდას და სერობას მარტოკა შეუდგა. საძინებელი ოთახიდან ანდრი გამოვიდა. ანდრის ნელიც გამოჰყვა თვალების ფშვნეტით. ყველანი პანტეს მისჩერებოდნენ. — ახალ ამბებს მოელოდნენ. პანტე ვითომ ფიქრებში იყო წასული და შინაურების შეკრებას სასადილო ოთახში არად აგდებდა.

— თქვი ახლა რამე. შე კაცო... სანამდე ვიკდეთ ასე... — უსაყვედურა ნათელამ.

— რა ვთქვა?

— რამდენი ხანია, არ გვინახიხარ. ბავშვებს უნდა შენთან საუბარი. — ნათელამ ანდრის და ნელის შეხედა. „ბავშვები“ მათ დაუძახა. იმ ღამის შემდეგ ანდრის მართლაც ბევრჯერ უნდოდა მამას დალაპარაკებოდა. მაგრამ პანტე ან შინ არ იყო, ან თავის ოთახში იკეტებოდა და არავის უშვებდა.

— სასაუბრო მე არაფერი მაქვს, — თქვა უცაბედ პანტემ, ბოლო ყლუპი ჩაეხარბად მოსვა, წამოდგა და თავის ოთახში გავიდა.

— მამა, ერთი წუთით, საქმე მაქვს... — მიაძახა ანდრიმ. პანტემ ხმა არ გასცა, თავის ოთახში შეავიდა და ჩაიკეტა.

— კარგი, მე მაცალეთ, — უთხრა

ნათელამ ანდრის და ნელის — თქვენ მოისვენეთ, შედით თქვენს ოთახში, მაგას მე მოველაპარაკები.

ნათელა პანტესთან შეევდა. მთელი ღამე დუდუნებდნენ. მთელი ღამე ტუტუნებდნენ. ანდრი და ნელი თავიანთ საწოლებში გატრუნულები იწვნენ და ყურს უგდებდნენ. იქნება გაეარჩიოთ. პანტემ რა ამბავი მოიტანა რაიონიდან. მაგრამ ამაოდ. პანტე არაფერს ამბობდა. თუ რამეს იტყოდა, ნათელა ხმამაღლა იმეორებდა ანდრის გასაგონად, პანტე ხელად მიუხვდა ცოლს და სულ მთლად ჩაიგდო ენა.

დიდხანს წვალობდა ნათელა, დიდხანს ეფერებოდა და დათამაშული სიტყვებით აჯადოებდა ქმარს თავის ჭკუით, ხანდახან კი გაუწყრებოდა მოთმენებადაკარგული, მწარე-მწარესაც მიაყოლებდა. გაკერპებული პანტე კი სანუგეშოს მაინც არაფერს ამბობდა, არც ავს, არც კარგს. მთელი ღამე დუდუნ-ტუტუნში გაათიეს, გამთენიის ხანს ჩაეძინათ.

6.

. მეამწეს პანტე სამუშაო საათის დამთავრების შემდეგ ელოდა, მხოლოდ მზის ჩასვლის ჟამს მოაღწია ოხვამეკარამდე, რაიონული ცენტრიდან პირველ მატსაფე შორი გზა არ იყო, მაგრამ ვიდრე სოფლის ცენტრამდე მოჩაკჩაკდა, სოფლის ცენტრიდან შეუკეთებელი გზით ვიდრე ოხვამეკარის აღმართებში ეხეგინა, დიდი დრო გავიდა, პანტეს ეშკი ეპარებოდა, ეს მინჯღრეულ-მონჯღრეული ამწე ამ ქვას ალბათ ვერაკ ასწევსო. მაგრამ მეამწემ რკინის ბაგირები აქედან გამოსდო, იქიდან გამოსდო, ისე მოუხერხა, ისე მიუდგა, ბაგირი ქვეშ გაუძვრინა, რაკი ტანს გამოსდო, ხელად შეხტა ამწეზე. ქვა ასწია, ისე აწეული ჰაერში გაეჩერა, და პანტეს ანიშნა სამრეკლოზე ადი. რა მარკვე ბიჭი ყოფილაო, მოეწონა პანტეს მეამწე. შიდა კიბით ხელათ ავიდა სამრეკლოზე. წინასწარ მოშზადებული დოლბი თვალისდახამხამებაში დაახა და მეამწეს ხელი დაუქნია, აქეთ წამოდიო. ამწის ხოროთეში ნელა დაიძრა. პანტესაკენ. ახლა პანტეს უნდა ეყოჩალა. მეამწე ქვეყიდან ვერ ხედავდა ქვის დასადგველ ადგილს. თუ ზუსტად არ ჩადგამდნენ თავის ადგილას, პანტე მარტოა ქვას ხომ ვერ დაძრავდა, ეს დუდებიც გაუფუქმებოდა და დაიღუპებოდა კაცი. ამწემ ქვა ფოთოლივით მიუფფოფინა პანტეს და ცხვირწინ დაუკიდა, ოდნავ ირხეოდა ჰაერში, იფიქრა ხელს მოკიდებს, მიმართულებას მიეცემო. მაგრამ ბაგირს წაეპოტინა თუ არა, ქვა უკან გადაქანდა და კინაღამ გადაიყოლა. შეეშინდა, ჰეი, ჰეიო, მეამწეს დაუძახა. ხელით ანიშნა, ახლოს მოიტანეო. მეამწე მანქანიდან გადმოვიდა და სამრეკლოს გახედა. ახლოს ვერ მოპყავდა მანქანა, — ფერდობზე ფეხს ვერ მოკიდებდა. ქვეყიდან კი არ ჩანდა. სად აწოდებდა ლოდს.

— მიკარნახე ვარა და მაინა, თორეკ ვერ ვხედავ!... — ამოძახა ქვეყიდან მეამწემ.

— ვარა, ვარა! — დაუყვირა პანტემ. მეამწემ ძრავა ჩართო და ლოდი მალლა აიტაცა.

— ჰოოა! — შესძახა პანტემ. — ახლა მაინა, მაინა!...

ქვა ნელ-ნელა დაეშვა ძირს.

— ჩემკენ! ჩემკენ! — ხელებს იქნევდა პანტე. — ცოტა კიდევ. ცოტა კიდევ და. მაინა!... გამოცდილი მშენებელივით უკარნახა.

— ოო, კარგია! — გაუხარდა, როცა ქვა კიდურა ლოდებს შორის ზუსტად ჩაჯდა. დიდხანს უტრიალებდა. დიდხანს უყურებდა აქედან, იქიდან. გადაქანებულად ხომ არ დგასო, ხომ არ ჩამოვარდებაო, მკვიდრად ხომ ჩავაკინეო, ხელი მოჰკიდდა და მიაწვა კიდეც. ბილოს მეამწეს დაუძახა, ლოდი ჩადგმულია ბაგირი შეეხსნათო, მეამწე ეწვალა, ბაგირი, რაც შეიძლებოდა, ფრთხილად ატრიალა და ლოდს ქვემოდან ძლიერ ეფერებოდა.

ამბრინა. პანტემ ფული მისცა, დიდი მადლობაც გადუხადა და გაუშვა.

მზე ჩასულიყო, მაგრამ სინათლე ჯერ კვლავ ადგა ოხვამეკარს. პანტეს უნდა მოესწრო და დაბნელებამდე შეელესა, თორემ მერე მოვარეს უნდა დალოდებოდა. მეიმწე წავიდა თუ არა, ისევ სამრეკლოს მიაშურა. ქვის შიდა კიბე დროთა განმავლობაში დანგრეულიყო, ფეხის დასადგმელი ადგილი ეწყვეტნათ, მიმწუხრი სამრეკლოში უკვე ჩასულიყო და იქ ბნელოდა. პანტე იაე იყო გაწაფული, სიბნელეშიც მარჯვედ მიიკვლევდა გზას, მოხერხებულად აღგამდა ფეხს აგერ, ეგერ და მაღლა ადიოდა. სამრეკლო ერქვა, თორემ ქვის კედლებიღა დარჩენილიყო. არც ზარებს ჩამოსაკიდებელი თაღი, არც მნათეს მოედანი ალარსად ჩანდა.

კიბე ამოთავა, ჯერ მისი თავი გამოჩნდა, შემდეგ მკერდამდე ამოიწია, დულაბით სავსე ვედრო კენესითა და ხვნეშით კედლის ყურეზე ჩამოდგა, კიბის თავი კარგად მოსინჯა, ხომ არ ჩამოიფშვნება, ფეხი ხომ არ მომიტეხდებაო, საღ კედელს მიეყრდნო და ქოფჩა კარგი კალატოზივით დაატრიალა. დუღაბი, როგორც ასწავლეს, ისე ჰქონდა შეზავებული. ქოფჩასაც არ ხმარობდა ზმილად უვიცავთ, დიდი დროც არ დასჭირვებია, შიდა მხარე საიმედოდ ამოლესა. არ ეგონა, თუ ასე სწრაფად და კოხტად შეძლებდა ქვის ჩაკირვას. მთავარი მაინც გარეთა მხარე იყო, იმას სჭირდებოდა გარჯა, თუ სჭირდებოდა. წელში გაიმართა, შეისვენა, კედელს გადაეწვა და ახალჩადგმულ ქვას გახედა. ჩანდა, რომ ყველგან ვერ მიწვდებოდა. თუ უნდოდა, სამუდამოდ მკვიდრად ჩაედგა ქვა თავის ადგილას, გარედანაც უნდა ამოელესა ღრეჩოები. ფეხის წვერებზე აიწია, პირველი ქოფჩას გასმა-გამოსმა არ გაჭირვებია, მეორე, მესამეც დაჰყვა მარჯვენას, თანდათან რომ დაშორიშორდა მანძილი, მეკრდით ფრთხილად მიაწვა ახალჩადგმულს გვერდით ლოდს და მკლავი დაიგრძელა. გათამამდა, ძველი კედელი რაკი სანდო აღმოჩნდა, წელამდე ამოვიდა ოფლიანი და ასე ლესავდა კარგა ხანს. დაყირავდა და ასე ლესავდა კარგა ხანს. გულმოდგინედ. როცა ქვას ცალი გვერდი ამოულესა, ადგილი იცვალა და ახლა მეორე მხრიდან მიუდგა. იმდენი იხერხა, იმდენი ინარცა, თითქოს ყველგან მიწვდა, ქვას სამივე გვერდი ამოუქოლა რკინასავით დუღაბით, ის ხვრელი რომ არა, მეიმწემ ბაგირის გამოთრევისას რომ დატოვა, დაკით ალმაშენებლის ქვა სხვა ქვებს შორის მკვიდრად შეკრულ-შედუღაბებული იყო. პანტე კირკიმალა კაცი რომ არ ყოფილიყო, დატოვებდა იმ ხვრელს და შინისკენ გასწევდა, მაგრამ გულმა არ მისცა ნება, რაკი ამდენი შრომა ვნახე იმ ღრეჩოსაც ამოვავსებ., იფიქრა. არაქათი კი ალარ ჰქონდა. მართალია, დიდი არაფერი გაუკეთებია, ბოლოსდაბოლოს ერთი, ერთადერთი ქვა ჩაუშენა კედელში, მაგრამ მეტი ალარ შეეძლო და რა ექნა? ეგონა კი, რომ ერთი ქვა არის, ასეთ სამრეკლოს მარტოკა აეშენებდა ერთ ღამეში. თურმე გულარ ბერდებაო, — ფიქრობდა თავისთვის. გული ჰქონდა ჰაბეკერი, ფეხლა მკლავი კი არა. გული ატყუებდა ერთსაც ვაცდი, რაც იქნება ის იქნებაო — გადაწყვიტა, კვლავ გადაწვა კედელზე და მკლავი დაიგრძელა. ეწვალა-ეწვალა, ვერასაიდან ვერ მიუდგა, ვერ მიწვდა. ბოლოს კედელზე ფეხი მისადგმელ ადგილს დაეწყო ძებნა. ძველ კედელს მუცელთ დაეწვა, ჯერ ცალი ფეხი გადაატანა, შემდეგ — მეორე. ცალი ხელითა და ფეხით დაეკიდა კედელზე, მეორეთი კი დუღაბიანი ქოფჩა აიღო...

რა გულმოდგინედ, რა გაფაციცებით, რა სიყვარულით მუშობდა. რა დამბული, რა აზარტული და თავგადადებული ეკიდა კედელზე. თითქოს ქვეყნისა და ხალხის ბედ-იღბალს წყვეტდა თითქოს ხელში ქოფჩა კი არა, ხალხური ხმალი ეკიდა და დავით აღმაშენებლის ლაშქარში იბრძოდა დიდგორთან ეს ერთი ქოფჩაც და... პანტე ვალმოა-

დილი, ამაყი და ბედნიერი ჩამოვიდოდა სამრეკლოდან.

ფეხქვეშ თითქოს საყრდენი მოერღვა, კედლის ქვამ ფშვნა თუ დიწყო, შეუშინდა, ძირს დაიხედა, მაღლა ეკიდა.. კედელს მუხლი მიაჭირა, ტანი ცალი ხელითა და მუხლით შეიმაგრა. ის დარჩენილი ღრიჭოც ამოავსო დუღაბით და ქაფნა მაღლა ვედროსაკენ შეისროლა, ვედარ ჩააგდო ვედროში, კედელზე ჩამოუცურდა და ძირს დაეარდა. მეორე ხელიც გადასდო კედელს, ცალ მუხლს მეორე მუხლიც მიაშველა, ისე დაღლილიყო, კუნთები უკანკალებდა, ტანის აწევა ვერ შეძლო. კარგა ხანს ეკიდა ტომრასავით... ეკიდა, ეკიდა... რა ექნა? თანდათან ღონეც ეცლებოდა. ჩაკარდნას, ისევ ჩახტომა ამჯობინა. ჩავხტებიო, გადაწვიტა და ერთხელაც ჩაიხედა ძირს სასოწარკვეთილმა, ორასამი მეტრი აშორებდა მიწას. გაბედა და ქვას ხელი გაუშვა, მოწყდა... კედელს ჩაპყვა სრიალით, ტყეასავით წვიდა ძირს. წონასწორობა დაკარგა და მიწაზე რომ დაეცა, შუბლი სამრეკლოს ქვის კედელს მიახალა, თვალთ დაუბნელდა. შემდეგ არაფერი ახსოვს. გაუნძრეველად იწვა კარგა ხანს, გონდაკარგული მკვდარივით ეგდო სამრეკლოს უკან. გონს რომ მოვიდა, პირველი რაც დაინახა, ნამგალა მთვარე იყო. მთვარე ამოსულიყო და ძელქვის კენწეროზე ჩიტივით იჯდა. შემდეგ საფეთქელთან ტკივილი იგრძნო. ტკივილს გაახსენა, რაც მოხდა. შიშმა შეიპყრო, ცოცხალი ვარ თუ არაო, ხელით მოისინჯა თავ-ფეხი. თვალწინ შეფთნდელი სურათი წარმოუდგა. — კედლიდან რომ ჩამოვარდი. „ნუთუ არაფერი მომტყდა?"... ჯინტეს ფეხის მოტეხის ეშინოდა. თორემ თავის დარდი სულაც არ ჰქონდა, ოდნავ გაკვარი თავი ქვის კედელს და თავბრუ დამესხაო. — ფიქრობდა. უხაროდა, რომ უვნებელი გადარჩა, ჭაბუკივით ჩამოხტა სამ მეტრის სიმაღლიდან და არც ფეხი ხტკენია, არც ხელი და არც არაფერი. მტრების ჯინაზე სადავო ქვა საიმედოდ ჩაადუღაბა სამრეკლოს კედელში, სამრეკლოს ხომ ვერ დანგრევენ? ღირდა შრომად ოფლის ღვრად ეს ჯაფა. ახლა მშვიდად დაჯდებოდა ძელქვის ძირას, გაამოლებდა სიგარეტს. თავისი ნაშრომის ცქერით დატკბებოდა. წამოდგომამ დაარბია, გაინძრა თუ არა, თავისთავი არ მოეწონა, მაინც წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ძელქვისაკენ, უცებ ფეხქვეშ მიწა გამოეცალა და მოცალილივით დაასკდა მიწას ცხვირპირით. ეს რა იყო?.. ერთხელაც სცადა წამოდგომა, ამაოდ, — თავს ვერ ანძრევდა, — საფეთქელთან თითქოს ვიდაცამ ალესილი დანა შეურკო და შიგ ჩაუტოვა. თვალს კი ახელდა, მაგრამ სიბნელეს ხედავდა. ნამგალა მთვარეს დაეფარა. უკვე აღარსად ჩანდა, გარშემო უკუნეთი ჩამოწოლილიყო. ასეთი არასოდეს ენახა ოხვამეკენა, ეს სხვანაირი სიბნელე იყო, სხვანაირი უდაბურება და მდუმარება სუფეფდა ირგვლივ. „ხომ არ ვკვდები?" — გაუელვა გონებაში. „ნუთუ მართლა ვკვდები?"...

უცებ მთელი მისი ცხოვრება დაუდგა თვალწინ, რამდენი იშრომა, რამდენი ოფლი ღვარა, ნახევარი სოფელი მიაჯნომოწყარი, მისი აღზრდილი იყო, კარგი ოჯახი შექმნა, ქვეყანას შვილები შეერიმეცალა მისცა... ახალგაზრდობიდანვე სოფლისთვის იღვწი და ამა... აღასრულა სოფლის სიკეთისთვის უნდა სწვეოდა... „ნუთუ მართლა დადგა აღასრულის ჟამი?" — პრიდალმა ჩამხობილმა მერამდენედ ჰკითხა დედამიწას და... გაუჭირდა. გულის სიღრმიდან წამოიდა სიხარული და მთელი სხეული მოიცვა. რა უხაროდა? — სიკვდილი? წედან ხომ სიცოცხლე უხაროდა, ახლა სიკვდილმა გაახარა?...

საკვირველი კი იყო, კაცი უპატრონოდ, სოფლის ბოლოს, მინდორში კვდებოდა და პირი კი უცინოდა. სახე გაბადრულიყო, თითქოს ქორწილში მიდიოდა. ასეთი სიკვდილი თავისით რომ არ მოსულიყო, უნდა გამომეგონაო, —

ნოდარ ფულეთაძირი
ფაკვით ალმაფინეგალის ქვა

ფიქრობდა: სიცოცხლეში ხომ პანტე თავის სიმართლეს ვერ ამტკიცებდა, არ ეჯერებდნენ, ეკვით უყურებდნენ, ხან ინტრიგანს ეძახდნენ, ხანაც კარიერისტს, ხან რას და ხან რას. ასეთი მოულოდნელი სიკვდილით კი ყველაფერს მარკვედ უარყოფდა და მთავარს დაამტკიცებდა. თითქოს მისი მოღვაწეობის ლოგიკური დასასრული სიკვდილი იყო. თუ სოფელი და ხალხი ვერ ჩაწვდებოდა, ვერ გაიგებდა ამ სიკვდილის აზრს, ანდრი ხომ მიხვდებოდა, ანდრის მაინც ხომ დაუმტკიცებდა თავის სიმართლეს, ხომ უჩვენებდა მაგალითს, შვილიშვილებს ხომ უამბობდნენ დავით ალმაშენებლის ქვის ამბავს.!... — ვალმოხდილი, პირნათელი და გამარჯვებული მიდიოდა იმ ქვეყანას. ჩუმ-ჩუმად პანტემ თავი გმირადაც კი წარმოიდგინა, გმირის სიკვდილიან კვდებოდა?... მაშ, უკეთეს სიკვდილს ვერც ინატრებდა ადამიანი! სასაცილო კი იყო ამგვარი ფიქრი, მაგრამ პანტეს უკვე იმის ძალაც აღარ ჰქონდა, აბეზარი ფიქრი, მოეშორებინა და სიცოცხლის უკანასკნელი წამებისათვის მაინც შეეხედა მიწიერის თვალით.

საიდანღაც ცხენების ჭიხვინი შემოესმა, საუკუნო მდუმარეობიდან და უკუნეთიდან ჭიხვინებდნენ ცხენები.

დიდგორის ველზე ორასი ცხენოსანი გამოსულიყო, მხედრები ცხენებს თავს ძლივს უმაგრებდნენ, ლაგმებს გლეჯდნენ, მიწას ტორავდნენ, ბრძოლის ყინით ავსებულიყვნენ. მხედრებს შორის პანტემ საკუთარი თავი დაინახა. თეთრ ცხენზე იჯდა. თავისი კაჭა ფეხები ბედაურისთვის შემოეჭირა და ლაგამი ჩაებღუჯა, ცხენი ოთხამოდ მიჰყავდა.

ურჯულოებს ეგონათ, რომ დავით ალმაშენებელმა ცხენოსნები მოსათათბირებლად გამოგზავნა.

პანტემ პირველმა იძრო ხმალი. პირველმა შეძახა მცირე სპას „ჰკა მაგასა“. გვიან-ღა მიხვდნენ გადამთიელნი, რომ ქართველებმა ხერხი - იხმარეს... მცირე სპის კიდეზე დავით ალმაშენებლის ორმოცათასიანი ლაშქარიც დაეფარა....

ჰაი, დედასა, პანტე ვერ მოესწრო. პანტე სისხლისგან იცლებოდა, პანტე თავალო უბნელდებოდა, თორემ დიდგორის ველზე სისხლისფერი დროშა ფრიალებდა....

ნამცალა მთავარე ჯერ ძელქვის კენწეროზე იჯდა, შემდეგ ეკლესიის თავზე, შემდეგ ცაში შეცურდა გედივით, გაკვირვებულმა ერთხელაც გადმოხედა მიწაზე თავდაფარა დამხობილ ბერიკაცს და თეთრმა ღრუბლებმა წაიღეს დასავლეთისაკენ.

7.

ღამით პანტე შინ რომ არ დაბრუნდა, ნათელამ იფიქრა, ალბათ, საყდარში დარჩაო: რაკი ასე თავგადაკლული იყო ამ ნანგრევებზე, რაკი არავის უჯერებდა, ჯანდაბას, გული მოიჯამოსო, — ფიქრობდა ნათელა. დილა რომ გათენდა სკოლაში დამშვიდებული წავიდა. მან ხომ საკუთარი თვალით ნახა, თუ სად ათენდა ღამეს მისი ქმარი...

პანტეს უეცარი სიკვდილის ამბავი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელმა მეორე დღეს, შუადღისას, ჩამოიტანა სოფელში.

თურმე პანტესთან მოსათათბირებლად გრიშა ფეტელავას მუზეუმის თანამშრომელი გაუგზავნია. თანამშრომელს პანტე ჩაძინებული ჰგონებია, უჯანჯღარებია, უჯანჯღარებია, ვერ გაუღვიძებია, დაეჭვებულა, გადმოუბრუნებია და რას ხედავს, კაცს ჩვენრის ფერი ადევს, ყვირილი აუტეხია, იქნებ ვინმე მუშაობს ახლო-მახლოსო, იქნება სოფელს ხმა მივაწვდინოო.

ბოლოს გულამოვარდნილი, შეშინებული და თავზარდაცემული ჩამოვარდნილა მეურნეობაში და ანდრის ახლობლებისათვის უთქვამს საზარელი ამბავი.

პანტეს უეცარმა სიკვდილმა მთელი სოფელი ფეხზე დააყენა და აეყაყანა. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, ანდრიმ მწუხარების ჟამსაც არ დაკარგა სი-

ფხიზლე. სულ არ უნდოდა მამაზე ეთქვათ, სულელურად ქვას დაკვდაო, არც ის მოწონდა, როცა ზოგიერთები მამამისის საქციელს აზვიადებდნენ დ. გმირად სახავდნენ.

ექსპერტისა და ექიმების სახელით თვითონ ავრცელებდა ხალხში პანტეა სიკვდილის ამბავს: ნერვიული კაცი იყო. ძალზე დაძაბულად ცხოვრობდა და თავში სისხლი ჩაექცაო... ხალხმა ეს უფრო დაიჯერა, ვიდრე პანტეს გმირობა.

ნათელამ ანდრის თხოვა, დავასაფლაოთ მაინც იმ დასაქცევ ოხვამეკარში, რაკი სულ ფუდამ იქ უნდოდა ყოფნა, წინაპრების საფლავებიც იქ ეგულებოდაო. ანდრომ პანტეს დასაფლავებასაც გონების თვალით შეხედა. მართლია, ჭაავები ოხვამეკარის მოდგამები იყვნენ, მათ წინაპრებს, როგორც სოფელში ამბობდნენ, სწორად ოხვამეკარში ასაფლავებდნენ, მაგრამ ეს იყო ოდესაც. დღეს პირველმაისს ახალი სასაფლაო ჰქონდა, ყველას იქ ასაფლავებდნენ და რაღა მაინცდამაინც პანტე უნდა დაესაფლავებინათ ცალკე? მისი აზრით, არ იყო საჭირო მეტიჩრობა, მაგამისი ჩვეულებრივი, რიგითი პედაგოგი იყო და ჩვეულებრივი რიგითი ადამიანის სიკვდილით მოკვდა, საცა ყველა ლა ისიც იქ უნდა დაესაფლავებინათ.

დავით ალმაშენებლის ქვის ჩაშენების ამბავი კი რამდენიმე კაცმა გაიგო სოფელში. ამისთვის არავის მოეცა მნიშვნელობა. პანტესაგან ეს არავის უკვირდა. ხოლო ქვის მთელი ისტორია თავიდან ბოლომდე მხოლოდ პანტეს ოჯახმა იცოდა. სხვამ არავინ.

დათიკო ვასილიჩს ის ქვა შემდეგ არასოდეს გახსენებია, არც მისი კედელში ჩაშენების ამბავი გაუგია. უკეთესი ქვა ჩამოუტანია საიდანღაც და ბუხარი მოუპრკეთებია.

პანტეს დასაფლავებას კი დათიკო ვასილიჩიც დასწრებია, გრიშა ფეტელავაც, ქორაც, ბუმუც, ვაკოც...

პატარა, უხმაურო ქელეხიც ჰქონიათ, ორმოცაც. ნათელას თავისი უჭკუო ქმარი დიდხანს უგლოვია. შავებიც დიდხანს არ გაუხდია, შვილებისთვის დაუვალებია, პანტეს საფლავზე რკინის უბრალო ღობური მაინც დამიდგეთო, მართლაც, რაკი ანდრომ ხარჯი ნახა, საფლავზე „სასახლე“ სხვა შვილებს დაუდგამთ, გრანიტის ფილაზე პანტეს სურათი ამოუტვიფრავთ, ქვეშ კი მიუწერიათ „პედაგოგი პანტე ჭაავა, 1905-1970“.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲢᲘᲜᲘᲗᲔᲑᲘ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„წიგნიდან: „მარტი, აპრილი, მაისი“

* * *

მამლებმა დილა აკურთხეს.
ცოცხები მორჩნენ საქმეს.
ალვები ანიავებდნენ ათას ქუჩას და სარკმელს.
დაწყვილებულმა ბოძებმა ტყუპი ჩრდილები შობეს.
„ჟიგული“ მიაქროლებდა შოფრის ცოლსა და შოფერს.
მიაცილებდნენ ბავშვები სკოლებისაკენ დედებს.
მიაჩქარებდა საათი პატარებსა და დიდებს.
გადასასვლელზე გოგონა მიაქანებდა მამას.
მიაბრძანებდა ბულდოგი ასაკში შესულ „დამას“.
ზვიადი ავტობუსები მისდევდნენ დამფრთხალ ჩრდილებს,
აჯანყებული რადიო ვერ აწყნარებდა ჩილეს.
იფანტებოდა მეტროში წყვდიადი უმძიმესი,
მისეულ მესხი ჩარბოდა,
როგორც მისეულ მესხი.
საფეხურებზე ეძინათ გადამწიფებულ ფიქრებს,
ცნობილი იესი ვერ სცნობდა აღიარებულ იგრეკს.
იდგა საკუთარ გამზირზე,
წწვანე სკვერთან თუ ბაღთან,
ვაჟა და
ემსგავსებოდა თავის ვაჟიშვილ ვახტანგს.
მოსწონდა ვახტანგ გორგასალს ამაშუკელის ძეგლი.
მტკვარს თბილისიდან გაპქონდა თბილისის ანარეკლი.
გალაკტიონი ყვებოდა გალაკტიონის ამბავს,
პატარა ბიჭი უსმენდა,
სახელად ერქვა: საბა.
სხვებიც მოვიდნენ,
მხარდამხარ დაუდგნენ მამაკაცებს —
ერეკლე ოძელაშვილი
და ცოტნე საკაძე.

* * *

მე მივაშურე რემინგტონს —
გამწენის ლოცვა-კურთხევით
და თითებს შორის გამექცა ოცდაცამეტი კურდღელი.
შევკრთი,
შეგჩერდი,
შეგშინდი,
და როცა უფრო ავღელდი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უტიფრად შემომაჩერდა ოცდაცამეტი თავხედი.
აჩქარდნენ,
აფორიაქდნენ
და ერთმანეთის კარნახით —
ანკარა ნაპირს მოაწყდა ოცდაცამეტი კალმახი.
მერე ერთბაშად შებრუნდნენ.
და ყველამ ზურგი მაჩვენა...
ოცდაცამეტჯერ დავიდე მარცხენა მკერდზე მარჯვენა, —
შევფიცე,
შემოვაბრუნე,
გული ვაჩვენე ერთგული,
ძმასავით შემოვირიგე ოცდაცამეტი შეთქმული,
და ახლა,
როცა მომრავლდნენ მონატრებული წამები,
თვალებში შემომციცინებს მორჩილი ოცდაცამეტი.

* * *

ნადია რუშევას ნახატების გამოფენაზე

ჩვენ ვიცნობთ ოცდაჩვიდმეტის რემბოს, პუშკინს და ბაირონს,
ოცდაჩვიდმეტის ვან გოგს და ოცდაჩვიდმეტის რაფაელს,
ჩვენ ვიცნობთ ოცდაჩვიდმეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის...
. . .
ჩვენ ვიცნობთ ოცდაშვიდი წლის ბარათაშვილს და
ლერმონტოვს,
ჩვენ ვიცნობთ ოცდაშვიდი წლის პეტეფისა და მაზაჩოს...
. . .
გაუმარჯოს ჩვიდმეტი წლის რუშევას!..

* * *

ცხრაასსამოცდათხუთმეტში —
ახალი წელთა აღრიცხვით,
თერთმეტ სექტემბერს,
საღამოს —
(საათი ზუსტად არ ვიცით), —
წვიმა მობრძანდა ამაყი
ოთხმოცდაათი გრადუსი,
ჩაჰკლა,
ჩააქრო ათასი ბინდორი უფერადესი.
წაბრძანდა,
როგორც მობრძანდა,
დადუმდა ზეცის დოლაბი
და ახლა მზეზე შრეებიან
სიმეტრიული ჩრდილები;
ნაგაზი დაბოდიალობს,
ისმენს ორღობის დიალოგს,
გოგონა იხვებს მოდენის
და ედავება მოდერნიზმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ფიროსმანი

სასახლისა და სახლის ქვემოდან,
სარდაფისა და კიბის ქვეშიდან —
სახლზე ზევით და
სასახლის ზემოთ,
ღრუბლებზე შორს და
ღრუბლებზე მაღლა.

* * *

ნელა შრება წყარო და
ნელა ქრება ჭები —
ვინც ყოველთვის მწყალობდა,
ისევ მასთან ვრჩები.
იმ უხილავ ნაკვალევს
ვეღარავინ წამლის,
დავეძებდი ვარსკვლავებს
ჭაში,
როგორც ცაში.
ნამდვილ მთვარეს ჯობნიდა,
აფხიზლებდა თვალებს —
რიყის ქვების ჭოგრიტით
დანახული მთვარე...
როცა დგება ზაფხულის
ღამე საოცნებო,
კვლავ თქვენი ცა მახურავს,
იმერეთის ჭებო!

* * *

გადაბერებულ
შვიდი თვის თოვლში,
დაკერებულ და დაკონკილ თოვლში,
იდგა თოვლივით თეთრი ალუდა
და თოვლში —
თოვლის წასვლას ელოდა.

* * *

როგორც იქნა,
შერიგდნენ პოეტი და შოფერი —
კიდევ უფრო აჩქარდა ჩემი წუთისოფელი.
მეც მივიღე ახალი საუკუნის მირონი, —
მიმაკრულებს,
მიმაფრენს.
რკინის ლურჯი მერანი.
მიჰქრის რკინის მერანი —
დროის ნაანდერძევი,
ასს ავცდი და
მგონია,
გალაკტიონს ვეწევი.
დრო,
სივრცე და
მანძილი —
მავიწყდება სრულიად;
მაგრამ ჩემი სიჩქარე ზუსტად განსაზღვრულია.
თანაც უკან მაბრუნებს სამი მძიმე დოლაბი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქნიშანი,
ოჯახი,
მიწის მიზიდულობა...
ქვაფენილმა ბალახი წალეკა და წათელა,
ეძალება,
თანდათან მწვანეს ჩაგრავს წითელი.
მაინც მივდევ ავთანდილს
და ვედრებით
ვედრები,
და მომდევენ ---
დათვლილი---
ჩემი კილომეტრები.
მოსასმენად მომდგარა მთელი მწვანე დენია,
მაგრამ ჩემი სიჩქარე მკაცრად შეწღუდულია.
თვალი უნდა ვადევნო ციფრებსა და ამინდებს,
გული უნდა ვაშშვიდო,
ვიდრე წითელს ამინთებს.
ვიდრე წითელს ამინთებს მოკლე წუთისოფელი,
იდავებენ კარგახანს პოეტი და შოფერი...
მე კი
ისევ მიხმობენ უცხო არე-მარენი,
მიმაქროლებს,
მიმაფრენს
რკინის ლურჯი მერანი.
მიჰქრის ჩემი მერანი ---
დროის ნაანდერძევი,
მიმაფრენს და მგონია,
ბარათაშვილს ვეწევი...

* * *

მოდი,
ბებრების უცნაური ფოტო გაჩვენო,
ყველას იცნობ და,
ჩამოთვლაში თვითონ მიშველი, ---
ხსედან: პლატონი, რუსთაველი, მიქელანჯელო;
დანან: ვოლტერი, გოეთე და გურამიშვილი;
ფეხმორთხმით ხსედან: ლევ ტოლსტოი, ვიქტორ ჰიუგო,
პაბლო პიკასო, კლოდ მონე და ჩარლი ჩაპლინი.
ქვეშ გაჭირვებით იკითხება სოფლის აუგი,
უღონო ხელით გადაწერილ-გადაჩხაპნილი:
„წუთისოფელი რა არი?
— აგორებული ქვა არი,
რა წამსაც დავიბადებით,
იქე საფლავი მზა არი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არც მინდა,
ყველას მოვწონდე,
არც მინდა,
ყველას ვუყვარდე,
საკმარისია — ოცამდე,
ან კიდევ — ოცდახუთამდე.
არ მინდა,
ჩემი ტირაჟი
აცილდეს ათი ათასებს,
მაქებდნენ პალესტინაში,
მაღიარებდნენ მალტაზე.
მე მირჩევნია,
დიდგორის
აღმართზე გავყვე მეგობარს
და გზაზე ჩემი სტრიქონი
შვილივით შემომეგებოს;
და შვილზე მეტად მომენდოს
მიწის ყოველი მტკაველი...
არ დაიჯერო, პოეტო —
არ ითარგმნება ტკივილი.

* * *

ხე იდგა,
გზა მიდიოდა.
ტყე სდუმდა,
ქარი კიოდა.
მთა იდგა,
მზე ჩადიოდა.
ცა დუმდა,
ორბი ყიოდა.
არ წვიმდა
და არ ციოდა,
არც თოვლი არ მოდიოდა.
მდინარე ხმას არ იღებდა,
ნაკადულს ცრემლი სდიოდა.
ნიავი განაბულიყო,
ღრუბელი გადადიოდა.
ფოთოლიც არ ირხეოდა
და მთვარე ამოდიოდა.

* * *

ლირიკული ზღაპრებიდან

...და იპოვა კაცმა თოკი, —
განა მარტო თოკი?
რა იცოდა?!
მიათრევდა,
როგორც მძიმე ბორკილს.
იმ თოკს რაში მოჰყვებოდა, —
განა მარტო რაში?
რა იცოდა?!
დაბოღმილი
ბრუნდებოდა სახლში.
რაშს მოჰყავდა ოქროს ეტლი, —
განა მარტო ეტლი?
რა იცოდა?!
გულს უკლავდა
დარდი მეტის-მეტი.
შიგ ეძინა მზეთუნახავს...
რა იცოდა კაცმა?!
მიდიოდა,
ბორკილივით
მიათრევდა ბაწარს.
უცებ რაღაც გადაწყვიტა,
შეუხვია მარცხნივ:
თოკიც ჰქონდა,
ხეს ეძებდა —
ბედნიერი კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

როცა ტრიუმში წყალი შეეკონავს
და გემს მორევი ითრევს,
გემზე სტოვებენ —
უკიდურესად
აუცილებელ ნივთებს.

ლექსიც ასეა:
დადუღებული ლექსი იტანს და იტევს
მხოლოდ და მხოლოდ
უკიდურესად
აუცილებელ სიტყვებს.

* * *

რაც უნდა იჩალიჩო,
რაც უნდა იბობოქრო,
მაინც იელვებს თმებში თითო-ოროლა ვერცხლი;
დაისადგურებს სულში სიცივე გამთოშავი,
შორს,
თანაგრძნობის ნიშნად,
მთა გამოჩნდება თეთრი;
გააჩახჩახებს წყვდიადს ანკარა იალბუზი,
აიკრავს გუდა-ნაბადს დიდი ჩრდილების სპილო;
და თუკი მთვარემ ზეცა მოაშარავანდედა,
დაგესიზმრება ისევ შენზე უმცრისი მამა.
მერე გაკაწრავს სიზმარს უცნობი მეტეორი,
ერთი და მხოლოდ ერთი,
ღმერთივით ერთადერთი.
აგიყოლიებს
ცისა და მიწის საქანელა:
მალე,
მალე და
მალე!
ჩქარა,
ჩქარა და
ჩქარა!
თუნდაც შეგიკრას გზები ათასმა არამზადამ,
ვერავინ დაგიჭერს და ვერავინ მოგერევა.
მოიცელება ყველა,
როგორც კაცუნა ტრის,
და ამღერდები,
როგორც თავისუფლება მღერის.
მოვლენ,
ვისაც კი შენი ამბავი შეუტყვია,
რომ მოგახალონ ერთად ათი ათასი ვარდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სანაძირაძე

მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

დიალოგი პირველი

იგი შვებულების დროსაც არ იცილებდა მოსამართლის მანტიას. განსაკუთრებით დილაობით უყვარდა ამ გრძელ, ფართხუნა სამოსში გახვევა. დადგებოდა სარკმელთან, ხელებით რაფას დაეყრდნობოდა და ზღვას გაჰყურებდა. იქნებ ასეთივე დიდ, უსასრულო აუდიტორიაზე ოცნებობდა?

ბუნებით დაუდგრომელი იყო. სულ სადღაც ისწრაფოდა. სულ რაღაცას ელტოდა. მანტია ამშვიდებდა. თავდაჯერებულს ხდიდა. ამას ცოლიც ამჩნევდა და საშინაო ხალათის ნაცვლად საწოლთან მანტიას უდებდა.

იმ დილით იგი დიდხანს დაფორიაქობდა ოთახებში: გაიწკარუნა ლარნაკმა, წაიქცა სკამი, გაიჭრიალა კარადის კარმა...

ცოლი სამზარეულოში ფუსფუსებდა. მთელი გულისყური კი ოთახებისკენ ჰქონდა. „ახლა დამიძახებს, ფიქრობდა იგი, ახლა დამიძახებს“.

ასეც მოხდა.

— მეგი! — კი არ დაიძახეს, თითქოს ზარმაზნიდან გაისროლეს მისი სახელი.

ქალმა წინსაფარზე შეიწმინდა ხელი და მისაღებში გავიდა.

— მეძახდი? — იკითხა მშვიდად.

— ჩიბუხს ვეძებ.

— ჩიბუხს? — გაკვირვებით მიმოხედა ქალმა.

— ჰო, ისევ გაქრა სადღაც. ამოდენა სახლში ჩიბუხი კი არა, სპილოც დაიკარგება...

ჩიბუხი სარკმლის რაფაზე იდო. იგი მამაკაცს მაშინ დაეტოვებინა, როცა ზღვას გაჰყურებდა.

— აგერ არ არის?! — გაღიმა ქალმა.

— მართლაც! — გაეხარდა მამაკაცს. — ახლა გაბოლებაც შეიძლება.

— დაგახრჩოს ამდენი კვამლი! — თითქოს პირველად ხედავდა, ისე ათვალიერებდა ქმარს ქალი.

— ვიხრჩვები უკვე! — ამოიბუბუნა ქმარმა. — რაღაც ვერა ვარ კარგად. მთელ ტანში მამტვრევს!

— მეც ცუდად მეძინა. — თქვა ქალმა.

— ნისლი არ იყო?! დაკვირვებული ვარ, ნისლის დროს ყოველთვის ცუდად გძინავს ხოლმე...

— შენ კი ცუდ გუნებაზე დგები. — მანტიის აკეცილი კალთა გაუსწორა ქალმა. უცებ სახე შეეცვალა. გაშტერდა. თითქოს იქ, სადაც მისი მზერა მიწყდა, რაღაც საწყენი შენიშნა — საწყალი ყვავილები! — ამოიოხრა ცოტახანს შემდეგ. — მოჭკნებოდნენ, ალბათ.

— ყვავილები? — კვამლის ფარდას ძლივს გამოაღწია მამაკაცის ხმამ.

— ჩვენი ბიჭის საფლავზე არ დაკარგე? — სულ მოტყდა ქალი. — ხომ გახსოვს, გასულ კვირას რომ ამოვიტანე ბაზრიდან...

მამაკაცს ანდრია ერქვა.

„ანდრია ჯაბადარი. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე“. — ასე ეწერა მის სადარბაზო ბარათში, ყოველთვის

სიამოვნებით რომ არიგებდა ხილმე. ახლა ჩიბუხის სქელ კვამლში გახვეული ჯაბადარი ძლივს ამჩნევდა ცოლის სახეს. ხოლო კარგად რომ დაკვირვებოდა, ნაადრევად წამობარებულ სიბერესა და დაბუხულ ქუთუთოებთან ლურჯად დაჭიმულ ძარღვებს დაინახავდა.

— ჰოო!— ამოიგმინა ყრუდ.

— ისეთი ლამაზი ყვავილებია. დახატულებსა გვანან... მაგრამ ეს ნისლი...

— აბა, რა უნდა დააკლოს ნისლმა! — გამოეკვა ქმარი. — ახლადდარგული რომ იყოს, კიდევ — ჰო. მაგრამ მთელი კვირა გავიდა, თანაც სასაფლაო გაშლილ ადგილსაა, იქ იშვიათად თუ იცდის ნისლი.

— ნეტა ასე იყოს. — იმედის სხივმა გადაირბინა ქალის სახეზე.

„ახლა იტყვის, სასაფლაოზე წავიდეთო“. — გაუელვა ანდრიას: გიიარგამოიარა, მანტის ტოტი ჯორკოს წამოსდო. არც მოუხედავს.

— შენ არ წამოხვალ? წინსაფარი მოიძრო ქალმა.

სწორედ ამ სიტყვების გაგონება არა უნდოდა ანდრიას.

— ა?! — თითქოს თავისთავს დაეკითხა, — დღეს არა... დღეს მაპატიე... რაღაც არ შემიძლია.

ანდა, რატომ არ შეეძლო?

ქალი შეშფოთდა.

— ახლავე მამუკას გავაღვიძებ.

— მამუკა ვერაფერს მიშველის, — ქალს მხარზე მოხვია ხელი. მკერდთან მიიხუტა. — თანაც მამუკას ამბავი არ იცი? ზარბაზნით ვერ გააღვიძებ დილით. მით უმეტეს, თუ ჩვენთანაა... უყვარს კარგი ცხოვრება.

— მაგრამ შენ რომ ცუდად ხარ...

— ცუდად კი არა ვარ... როგორ გითხრა... საშინლად ვარ...

— ყავა მოგიდუღო?

— გმადლობთ, არ მინდა.

— მართლა ცუდად ყოფილხარ. — კიდევ უფრო მიეკრა ქალი. — მაშინ არც მე წავალ.

— რა სისულელეა. — ეწყინა მამაკაცს.

ქალმა გაიფიქრა: „სულ მამუკას ბრალია. ანდა რას იიჩემეს ღამოამობით თევზაობა? იტკივდნენ მაინც რამეს...“

— დაიჯერე, ალბათ. — თქვა ქალმა. — ასეთ ამინდში შეიძლება შინიდან გასვლა?

მამაკაცი არ უსმენდა.

— დაიჯერებ, — სადღაც, შორს იყურებოდა იგი.— ამ ხნის კაცი ვარ და წუხელ პირველად ვნახე სიზმარი... ქალს სიზმრებისა არ სჯეროდა და მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია ანდრიას ნათქვამისათვის.

— რაც ერთად ვცხოვრობთ, ავად არ გამხდარხარ.. — თქვა დაფიქრებით. — მაგ შენს მამუკას კლიენტები შემოაკლდა, ალბათ...

— მე კი დიდი ლუკმა ვარ ხომ?

— ოღონდაც. იცის, რომ ერთი ორი დღის მეტს არ გავაჩერებ და ალმადალმა დაგაპორწიალებს განვე — იქნებ გაცივდეს და ჩემი მოსავლელი გახდესო. ა, ბატონო, ფაქტიც. მადლობა ღმერთს, ოცდახუთი წელიწადია ვიცნობ...

— რას ერჩი მამუკას, ა? — ძლივს გაიღიმა მამაკაცმა. ცოლს გულზე მოეშვა.

— ჩუმჩუმელაა. — გაიღიმა თვითონაც. — ლოთია... ჩხუბისთავი...

— მედიცინის ღმერთი რომაა, რატომ გამოტოვე...

— შიძლება ეგეცაა. მაგრამ უცოლოდ დაბერებული კაცის არაფერი მწამს!

— საწყალი მამუკა!.. ნეტა ისმენდეს... — პუხუნებდა ანდრია.

— არ იცის თუ? დავიჯერო, მაგ სიამოვნებას მოაკლდები?

მამაკაცს ხველა აუტყდა.

— გაცივდი. — დაასკვნა ქალმა.

— დასალევი გაქვს რამე?

— „ენისელის“ მეტს ვერაფერს იმოვი ჩვენს მაღაზიაში...

ბიორკი სანადირაძე
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ანგელოზი ხარ... — ისევ მოხვია მამაკაცმა ხელი. ქალი გაინაბა.

— ნამდვილი მომნუსხველი ხარ...

— ვითომ? ოდესმე, როცა კაცობრიობა გარდამავალი საუკუნიდან ქალთა სახეების ამოკრებას დაიწყებს, შენს კანდიდატურას პროტექცია არ დაჭირდება...

— ეს რაღაც ახალია... — დატკბა ქალი.

— როგორ, განა არ იცი, რომ ყოველ ეპოქას თავისი ეტალონი სჭირდება?.

ქალს უყვარდა ანდრიას მოსმენა. განსაკუთრებით მათი ქორწინების პირველ წლებში. ო, როგორ ამაყობდა იგი ანდრიას ყოველი ენერგიით, რითაც მკაცრ, წინდაწინ აწონ-დაწონილ სიტყვას ამაგრებდა... მერე ეს ჩვეულება შეუმჩნეველად გაქრა მათი ურთიერთობიდან — პროცესზე გამოსასვლელად ანდრია უკვე მარტო. თავის ვეება კაბინეტში ჩაკეტილი ემზადებოდა. ამის გაფიქრებამ მეგის უცნაური, ყრუ ტკივილი გაუღვიძა. თითქოს იქ, სულის მინავლებულ ღადარში ვიღაცამ მოაფათურა ხელი და უცებ წამოაბიბინა წყენის კოკონი. ანდრიას ხმამ გამოაფხიზლა.

ანდრია სარკმელთან იდგა და იცინოდა.

— მგონი, მისი უდიდებულესობა მედიცინა საუზმეს გვიმზადებს.

მეგი უცვნ ვერ მიხვდა.

რის მედიცინა, რის საუზმე? ან რა აცინებს ანდრიას?

— კისერს მოვიჭრი, თუ „დამტკრეულ ნავსადგურთან“ მამუკა არ ზის... ეგ მართლა მუზმუზელა! დახე, როგორ გაგვეპარა?

— აკი, სძინავსო? — იკითხა მეგიმ.

„დამტკრეულ ნავსადგურთან“ მართლა ჩანდა შავი ლანდი.

— შენ კი მის გაღვიძებას ელოდი... ახლა მაინც წაიხემსე...

— მაგას თუ ეს დილა არ ჩავუშხამე, კაცი არ ვიქნები... — ჩამქრალი ჩიბუხი ისევ ფანჯრის რაფაზე შემოდო ანდრიამ.

სახლი ისევ სიჩუმით დაიყურა — ანდრია ზღვის გაჰყურებდა. ცოლი სარკესთან იჯდა, ფერუმარულით იზელდა სახეს. ელექტროზარის აწკრიალება და ანდროს გახალისება ერთი იყო.

— მობრძანდეს!.. მაგას მე დღე ვაყარო...

მაგრამ მამუკას ნაცვლად, კარის გასაღებად გასულს, თავისი თანამშრომელი

— რატი უგრეხელიძე შერჩა.

— რატი? — გაუკვირდა ანდრიას. როგორ გაგახსენდი, ძვირფასო? — ეწყინა, მანტიაში გამოწყობილი რომ შეხვდა სტუმარს.

— მეგი, ნახე კინ გვესტუმრა? — დაიძახა შორიდან.

— სალამი, რატი! — გაეხარდა მეგის. — კარგ დროს მოხვედი. ერთად ისაუზმებთ.

ანდრიამ სკამი შესთავაზა სტუმარს.

— გუშინწინ მეგობარი ჩამომივიდა. მიმტკიცებს ნავსი ხარო და სათვეზოდ უთენია გაიპარა. ჩვენ კი ვვეძონა — ეძინა. საშინელი ძილისგუდაა და ა, ბატონო... ადამიანზე ერთს ფიქრობ, სინამდვილეში სხვა რამ შეგრჩება... შენ რაღამ მოგიყვანა?

— სწორედ მაგ შეცდომამ... — დაჯდომას არ ჩქარობდა რატი. იგი ოცდარვა თუ ოცდაათი წლისა იქნებოდა. გემოვნებით ეცვა. სიმაღლე ხელს არ უწყობდა და სქელლანჩებიან ფეხსაცმლებზე შემდგარიყო.

— რაღაც ვერ გავიგე... მოხედა ანდრიამ.

— აი, როცა ადამიანზე ერთს ფიქრობ, სინამდვილეში კი სხვა ყოფილა.

ანდრიამ ჩაიცინა.

— მეგი, ძვირფასო, წყალი დაალევინე ამ ვაკბატონს, ეტყობა, ქალაქში დიდი სიცხეა...

— მოხდა ყველაზე გაუთვალისწინებელი, საშინელი რამ... — თქვა რატიმ.

— კაცდეე კარგი, ტელევიზორი მაქვს, თორემ ვიფიქრებდი, ომი დაიწყომეთქი?

— ჩვენთვის დაიწყო...

... რაებს ბოდავს ეს ლაწირაკი? — გაიფიქრა ანდრიამ. — ტონი... ერთი მის ტონს დაუკვირდით? — ცოლს გახედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლი მიხვდა, რომ ზეიმეტი იყო... მაგიდიდან ლარნაკი აიღო, მეორე ოთახში გავიდა.

— მაშ, ჩვენთვის დაიწყო? — აგდებულად შეხედა ანდრიამ სტუმარს. — გმადლობ გულსახდილობისათვის. მაგრამ ეს ხომ ახალი ამბავი არაა... ამის სათქმელად გამოიარე ამოდენა გზა?

— მე არ ვხუმრობ... — დაიძახა რატი.

— აღარ იტყვი, რა მოხდა? — სახეზე სისხლი მოაწვა ანდრიას.

— დობორჯგინიძის საქმე გაგვახსენეს... ხომ გახსოვთ ასეთი საქმე?

— გაუპატიურება და მკვლელობა!

— დიახ.

— მერე ხომ დაისაჯა დამნაშავე?

— უდანაშაულო კაცი დაგვისჯია.

ანდრო კი არ დაჯდა, დაენარცხა სავარძელს. მაგრამ სწრაფად მოთოკა თავი.

— ასეთი ხუმრობა პირველი აპრილისთვისაც არ გამოდგებოდა...

— სამწუხაროდ, დღეს პირველი აპრილი არაა.

— იცი, რას ამბობ? — მოწოლილი ბოდვის შეეშინდა ანდრიას.

— გუშინ ვინმე წამალაშვილი დაკითხვის დროს გამოტყდა, რომ ეს მკვლელობა მის სინდისზეა.

— კარგი სინდისი ჰქონია. თანამონაწილეა, თუ?

— გამომძიებლებმა მითხრეს, მაგ რეციდივისტს „მარტოხელა კატას“ ეძახიანო.

— მაგრამ ის კაცი... ჩვენ რომ...

— უდანაშაულო ყოფილა...

„აი, სად შეიკრა წრე... მარტივად და გასაგებად“, — თვითონაც უკვირდა, საიდან იღებდა სათავეს ეს ცინიზმი... უცებ მიხვდა, რომ მეტი აღარ შეეძლო, რომ მოწოლილმა ბოდვამ გარეთ გამოქონა და...

— რა „მარტოხელა კატები“ აგიტყდათ! — იყვირა, — იცით, რას ამბობთ? იცით?

მეგომ შემოიხედა.

— მოხდა რამე?

— არაფერი. რა უნდა მომხდარიყო?

— ცივად მოხედა ანდრიამ.

— მაგრამ შენ ისეთი ფერი გადევს...

— ამ ყმაწვილს უთხარი მადლობა... ყოველთვის დროულად გამომეცხადება ხოლმე, — ყველაზე საუკეთესო წუთებს მომიწმალავს... იცის ეს ხელობა და ძალაა?!

— აღარ გამაგებინებთ, რა მოხდა?

ასეთი შეშფოთებული ანდრიას არასოდეს ენახა ცოლი.

— გეთაყვა, — უთხრა საოცრად შეცვლილი ხმით. — წადი, მოგვიტანე საუზმე... ჩვენ მანამდე ვისაუბრებთ... საერთოდ, თუ საუბარი ერქმევა ამას... ჰო, წადი ახლა...

მეგი უხმოდ გავიდა. კარი არ გაუხურავს.

რატი ისევ ფეხზე იდგა.

— დაჯექი! — უთხრა ანდრიამ. — — გფიცავ გულით საყვარელს... ვამათამაშე, ხომ?

— რას ბრძანებთ, ბატონო ანდრია, — ხმა გაეგზარა რატის. — მე თვითონ არა ვარ ჭკუაზე... დობორჯგინიძე არ ყოფილა მკვლელი.

მაგრამ მოწმეთა ჩვენებები? — ფიქრობდა ანდრია. — დობორჯგინიძის დაკითხვის ოქმები... არა... წარმოუდგენელი რამაა... განაჩენის გამოტანისას ამ ლაწირაკს არ გასჩენია არავითარი „მაგრამ“. იქნებ საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდა? ანდა თქმისა მოერიდა? თავს ნუ იკატუნებ. მეგობარო, უბრალოდ, ახლა შეშინდი... შეშინდი, რადგან არ ელოდი საქმის ამგვარად შემობრუნებას და შიშმა მოგიყვანა ჩემთან. გინდა, რომ მთელი პასუხისმგებლობა მე ვიტვირთო... გადამწყვეტი სიტყვა ხომ მე მეკუთვნოდა... კეთილი და პატიოსანი.

— კოლეგა — თქვა ხმამაღლა, — მე არასოდეს — არ ვცდები...

— და მაინც, მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო...

შეუძლებელია. ფიქრობდა ანდრია. წარმოუდგენელია. გუგუნებდა გონება. ყველა სახელს ახლავს თავისი ჩრდილიც. ვინა თქვა ეს? რა მნიშვნელობა აქვს, ვინა თქვა. მთავარია დაინახო ის, რაც ამ ჩრდილშია მოქცეული... ვითომ პატივმოყვარეობაა ეს? ანდა სიჯიუტე?

— სოცოცად გაზრდილხარ, რატი. — ნუთუ ამას თვითონ ამბობს? — კმაყოფილი ვარ, რომ ჩემთან ავიყვანე. ჩემი სიჯახეტეკ გამახსენე — მოურიდებლობა, სითამამე, ყველა სიტუაციიდან დაძვრომის უნარი... მაგრამ ერთი რამ ვერ ისწავლე. ეს ყველაფერი პირუთვნელობასა და პატივმოყვარეობაზე იყო დაფუძნებული. სწორედ ეს ვერ ისწავლე ჩემგან. თუმცა ამის სწავლა არ შეიძლება. ეს თავისთავად უნდა გაგაჩნდეს...

რად ამბობდა ამას? აჰა, აი რად: შეშინდა, ჩიხში უნდა მომიმწყვდიოსო, გიგი არასასიამოვნო ამბავი და მაშინვე გამოქანდა. ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მაგრძნობინოს, რომ არც თუ ისე ყოველისშემძლე ვარ... ჩემი უმწეობის დანახვა უნდა... ჰა... წარმოგიდგენია?! რა თქმა უნდა, პირდაპირ არ მეუბნება, რომ მოვბერდი... საამისოდ ტაქტი ყოფნის. მაგრამ მაგრძნობინებს, როგორც ერთხელ უკვე იყო... რომ დროა, აღგვილი ახალგაზრდობას დავუთმო... ლაწირაკებს... ინებეთ!.. მაგრამ ახლა არა... ეს ადგილი მე უძილო ღამეებით, საკუთარი სისხლითა და ოფლით მოვიპოვე. შევწირე ახალგაზრდობა... მთელი სიცოცხლე... მოიცა... იგი რაღაცას ამბობს.

— ვინ ეშმაკმა გირჩია. ეს მონაჭორი ჯაბადარს საუზმედ მიართვით?

რატი გაწითლდა, აჰა, მას ჯორების აყოლა არ უყვარს, იტყვის ახლა-თქვა, ანდრია წამოდგა. დიდი, მასიური მაგიდის იქით დადგა. „როგორც სასამართლოში", — გაუფლა რატის.

— გასაოცარია! — წამოიძახა ანდრიამ. — ასეთი რამ არც მომსწრია... არც გამიგონია... აღარ დაჯდები ბოლოსდაბოლოს?! ხელებით დაეყრდნო მაგიდას. „როგორც სასამართლოში" ეკვიატი რატის. იგი მაშინვე დაჯდა.

— ქუჩაში მიმავალი ქალი უცნობმა გაიჩერა... — გაიხსენა ანდრიამ დობოროჯგინიძის საქმე...

— აკი თქვა, სიმთვრალით მომავიდაო.

— მოეწონა და გაიჩერა?

— არ შეიძლება? მე ბევრჯერ მინახავს ასეთი რამ...

— და ძალით წაიყვანა ბაღისაკენ, სადაც ერთი საათის შემდეგ, ქალი მკვდარი იპოვეს?..

— ეჭაჩებოდა... ემუქრებოდა კიდეც... მაგრამ არ მოუკლავს. არც უფიქრია. ამ დროს ქალს მოსდევდა ნამდვილი მკვლელი...

— მოიცა. ეს უკვე ახალი ვერსიაა, მაშინ სასამართლოს მსვლელობისას, ეს ხომ გამორიცხული იყო? იქნებ შენ უკვე მაშინ იცოდი, ვინ იყო მკვლელი?

— ბატონო ანდრია... — წამოდგა რატი. ანდრია კი დაჯდა. მან თავისას მიაღწია — როგორც იყო. წონასწორობიდან გამოიყვანა სტუმარი.

— ყარი, — მოწყალება გაიღო ანდრიამ. — თქვენ მთვრალი იყავით... მოგეწონათ ქალი... მაგრამ სად იყავით მაშინ, როცა მკვლელობა მოხდა?

„როგორც სასამართლოში, — რეკდა რატის გონება. — იგი ყველა ჩვენთაგანში მოპასუხეს ხედავს მხოლოდ"...

— აკი თქვა, მთვრალი ვიყავი და ... მახსოვსო...

— მაშასადამე, არავის დაუნახავს? — ისევ მოპასუხის როლში დაბარუნა ანდრიამ რატი.

— ასეა.

— თქვენ ნასამართლევი ხართ?

— დიახ. სამჯერ.

— სამჯერ. ეს არც თუ ისე ცოტაა. და არავითარი ალიბი არ გაგაჩნიათ.

— მას არ მოუკლავს.

— სასამართლო მხოლოდ ფაქტებს ეყრდნობა.

— მას არ მოუკლავს. მან გაიჩერა. გამოესაუბრა. მკლავზეც წაატანა ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი საათის შემდეგ ქალი მკვდარი იპოვეს...

— მას არ მოუკლავს...

— მაშ სად იყავით მკვლელობის დროს? — ფოლადმა გაიღიარუნა ანდრიას ხმაში.

— არ ახსოვს. ალბათ ქალაქში დაეხეტებოდა. ხომ თქვა, ქალაქში დავეხეტებოდიო. ნასვამ კაცს ჩვეულებად აქვს ხოლმე...

— მოწმე! მოწმე მინდა! — ყვირიალებდა ფოლადი.

— აბა, რად უნდა მოეკლა ის ქალი? არც კი იცნობდა...

— ფულის წართმევის მიზნით!

— მაგ ხელობას დიდი ხანია დაანება თავი, მუშაობდა. კარგადაც ღებულობდა. შექმნა ოჯახი. სამი შვილი გაუჩნდა.

ანდრიას სახეზე გამანადგურებელი ღიმილი გამოეკვლიტა.

— სამი შვილის მამა უცნობ ქალს აედევნა ქუჩაში...

— აკი თქვა, მომეწონაო. და სწორედ აქ არ დაუჯერეთ.

— მე?! ესე იგი. მე არ დავუჯერე? — იკითხა ანდრიამ.

„ახლა გამსრესს“, — შეეშინდა რატის.

— მე, რომელიც ვეყრდნობოდი გამოცდილ გამომძიებლებს... პროკურატურას... მოწმეებს... დამნაშავის აღიარებას... განა თქვენ („თქვენ“—წარმოთქვა ხაზგასმით და აგდებულად) არ იყავით ამ პროცესის მონაწილე? თქვენ რა, გქონდათ სხვა არგუმენტი?

რატი აირია.

— სუროთი ნათელი იყო. — მის პასუხს არც დოდებია ანდრია. იგი უკვე თავის სტიქიაში შეიჭრა — სამჯერ ნასამართლევმა კაცმა ქუჩაში გააჩერა უცნობი. სხვისი მეუღლე და ორი შვილის დედა. ძალით წაიყვანა ბაღისკენ... ბაღში მკვლელობა მოხდა. რა იქნებოდა თქვენ განაჩენი. რა იქნებოდა-მეთქი!..

რატი დუმდა. ანდრია წამოდგა. ისევ დაეყრდნო მაგიდას, — იცით, ამას რა ჰქვია ჩვენს ენაზე? რეს იუდიკატა!

— რაზე ფიქრობდა რატი? ასე გასრესილად, ასე განადგურებულად არასოდეს უგრძვნია თავი.

შემოიხედა მეგიმ.

— თქვენ უკვე მორჩით? იკითხა მორიდებით. მაგრამ როცა ანდრიასა და რატის სახეები დაინახა გაკვირვება ვეღარ დამალა. — ღმერთო! რა გაბრაზებულები გამოიყურებით!

ანდრიამ განმგმირავად შეხედა და მაშინვე დაივიწყა.

— წადით, ახლა! — ჩუმად თქვა მან. — მადლობელი ვარ, თქვენი სტუმრობით რომ მასაჯამოვნეთ...

მეგი შეშინდა.

— ანდრია! — სცადა დაძაბულობის განმუხტვა. მაგრამ ანდრია უკვე კარებისკენ უთითებდა რატის. — ანდრია! მეგის ხმაში მეუდარა გაისმა, — მე ხომ საუზმე გაგიმზადეთ. უსაუზმოდ უშვებ კაცს?!

რატის ფერი დაკარგვოდა.

— გმადლობთ. სხვა დროისთვის იყოს. — ძლივს ამოხლინძა.

— სხვა დროისთვის... — გაიმეორა ანდრიამ. — ჰმ. სხვა დროისთვის...

— ნახვამდის, ქალბატონო მეგი. — — თქვა რატიმ.

— გაგაცილებ. — ალარ იცოდა, რა ექნა მეგის.

— კარგსაც იზამ. — დაიბუზუნა ანდრიამ. — თორემ შეიძლება ისევ მობრუნდეს ...

მას არ გაუგონია, როგორ გაიჭრიალა ქუჩაში გასასვლელმა კარმა, არც რატისა და მეგის საუბარი გაუგონია. იდგა გახევებული, აღგზნებული ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს აღმართი აიარა და სული ეხუთებოდა. „ამ რაღაც ვერაა რიგზე, ფიქრობდა, რაღაც გაუგებრობა... მაგრამ რა მემართება? რამ ამაღელვა ასე? ნუთუ მართლა დავუშვი შეცდომა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს, როგორც იყო, მეგიც დაბრუნდა. მიხვდა, მოუთმენლად ელოდა მეგის დაბრუნებას. გამომცდელად შეხედა, შეხედა და მიხვდა, რომ ისიც აღელვებული იყო.

— ეს ცუდია? — ჰკითხა მეგიმ.

— დახე, ყველაფერი არ უამბნია?! — გაუღეღა ანდრიამ.

— შენ გეტყვიან რამეს? — გაიმეორა ქალმა.

ანდრიამ უნიათოდ გაიღიმა.

— მაგრამ მარტო შენ ხომ არ შემცდარხარ?

— ეჰ, მეგი, მეგი, — თავი გადააქნია ანდრიამ.—საქმე რომ მარტო ეგ იყოს...

აქ შეცდომა კი არაა მთავარი, არამედ ამ შეცდომის შედეგი. დაიღუპა სრულიად უდანაშაულო ადამიანი. მის უკან კი მთელი ოჯახი დგას: ცოლი, შვილები, მშობლები, ახლობლები... რას მივცემთ მათ ამ ძვირფასი სიცოცხლის სანაცვლოდ?

მეგი თავისი საფიქრალით იყო გართული.

— რატომ მითხრა, ასეთი შეცდომის შემდეგ ...

— ა? — გამოერკვა ანდრია. — რაო, რატომ?

— არაფერი ისეთი... არაფერი, რაც შენ არ იცი ...

— კარგი, იმ ჩვენი ფემიდას ნაბიჯკარმა ...

მეგის არ მოეწონა ასეთი უხეში კილო, მაგრამ არ შეიმჩნია.

— შეიძლება პენსიაზე გასვლით დამთავრდეს ყველაფერიო.

ანდრიას თვალებში ნაკვერცხლებმა გაიციმციმეს.

— მართლა ასე გითხრა? — მოუსინათლდა სახე. — ღმერთმანი, ეს ბიჭი გადამრევს. საიდან ხაპავს ამდენ ცინნიზმს? მაშასადამე, მე — პენსიაზე, შეცდომის მსჯელპრპლ — ბოდიშის წერილი და რეაბილიტაცია!

სახე დაეძაბა. მუშტები მოკუმა.

— იცი, ძვირფასო, ამ ორმოციოდე წლის წინათ მამაჩემი სწორედ შეცდომამ იმსხვერპლა. რა დაგვრჩა ჩვენ ამ შეცდომის გასაბათილებლად? პაწია ქალ-ღალი, ჩრდილს რომ ხსნის მამის სახელს ...

— მაშინ სხვა იყო ...

— მაშინაც და ახლაც — ადამიანის ბედი იდო სასწორზე, ერთი შედეგი? მისი კვალიფიცირება კი ჩემისთანებმა მოიგონეს.

უცებ შენიშნა, რომ ქალი არ უსმენდა.

— როგორ ფიქრობ, იქნებ მართლა ღირს პენსიაზე გასვლა?

ქალს თავი არ აუწევია.

— ნუთუ ჩემი აზრი გაინტერესებს?

— ძალიან.

— შეცდომა ვის არ მოსვლია ...

— ჩემს კითხვას უპასუხე ...

— მე მგონი, ჯერ ნაადრევია მაგაზე ფიქრი.

— გულში კი ვინ უწყის, როგორ ოცნებობ მაგ დღეზე! — წამოიძახა ქმარმა.

— გინდა სიმართლე? ოცნებობ. — არ დაუმალავს ქალს.

— ეგ კი არ ვიცოდი! — წამოვარდა ანდრია და გაშმაგებით დაიწყო ჩიბუხის ტენა. — ჩემი სიზმარი ... სიზმარი თუ წინათგრძნობა ... ესე იგი, შენ სულ თვალთმაქცობდი...

ქალს ერთი ნაკვთიც არ შეტოკებია სახეზე.

— მას შემდეგ, რაც ჩვენი ბიჭი მანქანამ გაიტანა ...

— ბიჭი? — როგორც იყო, მრუკიდა ჩიბუხს. — ბიჭი რაღა შუაშია?

— ახლაც მგონია, რომ ცოდვამ გვიწია ...

— ცოდვამ?

— რამდენი ოჯახი წყევლასა და კრულვას გვიგზავნის ... რამდენი გვემუქრება ...

ამ თემაზე არაერთხელ უსაუბრიათ. ანდრიას პასუხი მზად ჰქონდა:

— მე მართლმაჯულებაა ვემსახურები ... დამნაშავის მხარე ყოველთვის უმაყოფილოა. ასე იყო და ასე იქნება. მუდამ ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგრამ რატომ მაინცდამაინც შენ?

— ვიღაც ხომ უნდა განაგებდეს ამ საქმეს?

—მე დავიღალე, — თქვა პაუზის შემდეგ ქალმა. — დავიღალე ... ანდრო ... დავიღალე, გესმის?.. — კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ სადარბაზოს კარის ჭრიალი გაიგონა. გუმანით მიხვდა, მამუკა იყო.

მამუკას რეზინის ჩექმები ეცვა, თავი ხილაბანდით წუკარა. ღიღინით მოაბიჯებდა. თევზის მთელ აცმას მოაპორწიალებდა.

— კამპანიას გაუმარჯოს! — თქვა ოთახში შემოსვლისთანავე და თევზის აცმა ასწია. — ხომ გითხარი, თარსი ხარ-მეთქი. ამდენი თევზი გინახავს განა? არ გინახავს ... — ჯერ მეგის შეხედა, მერე ანდრიას და ჩუმად იკითხა — მოხდა რამე?

— რა უნდა მომხდარიყო? — მზერა აარიდა ანდრიამ.

— გებუზღუნა, ხომ? — ახლა მეგის მიუბრუნდა მამუკა. მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, შეწუხდა. — აღარ გამაგებინებთ, რა მოხდა?

ანდრიამ ხელები გაასავსავა. რაღაცას თქმა დაუპირა. მაგრამ, გადაიფიქრა.

— წეღან აპალონჩიკი შემხვდა გზად ... — დაიწყო მამუკამ. — შენი თანამშრომელია, არა?—მიაჩერდა ანდრიას. ანდრია გაქვავებული იჯდა. — დაბნეული შომეჩვენა ... არ მომსალმებია.. ისე კი ამათვალ-ჩამათვალიერა. მაშასადამე, აქ ნამყოფია.

— ჩემს მოსაშახამად მოვიდა! — როგორც იყო, ამოღერღა ანდრიამ.

მამუკამ გაიცინა.

— შენ შხამის კატეგორია მითხარი და გამანეიტრალებელი შრატის შერჩევა ჩემზე იყოს...

— ეჰ, ჩემო მამუკა, — მძიმედ ამოოხრა ანდრიამ. — აწი ვეღარავითარი შრატი ვეღარ მიშველის. როგორც ჩანს, მოსახდენი მოხდა ... მგონი, განაჩენი ვერ გამოგვიტანია სწორი...

— მგონი? — შეცბუნდა მამუკა.

— როგორც ხედავ.

— რამე სერიოზულია?

— უდანაშაულო ადამიანი დაგვისვამს საბრალდებო სკამზე.

— მერე შენ რას აკეთებდი?

ანდრია უცნაურად დაიმანჭა.

— რას ვაკეთებდი!... რას ვაკეთებდი! — ხან მეგის უყურებდა, ხან მამუკას. — თქვენ მართლა ყოვლისმხილველი ხომ არ გგონივართ... ჩვეულებრივი მოკედავი ვარ...

— მაგრამ განსაკუთრებული თვისებებითა და ძალაუფლებით აღჭურვილი! — მოკრა მამუკამ.

„სიტყვების რახარუხი! — გაიფიქრა ანდრიამ. — მუდამ. ყოველთვის ნუთუ არ არის მოსაბეზრებელი გატყლარჭულად აზროვნება?“

— რას აპირებ?

— ამას მნიშვნელობა აქვს?

—თუ შენს მეგობრად მთვლი, რა თქმა უნდა, აქვს ...

— მეგინ უკვე გადაწყვიტა...

მამუკამ მეგის შეხედა. ჩუმად იჯდა მეგი. ხელები მუხლებზე დაეკრიფა, რაღაცნაირად მოტეხილი, დაპატარავებული ჩანდა.

— პენსიაზე მიშვებს, — განაგრძო ანდრიამ. — თურმე მხოლოდ ასე გამოვისყიდი ჩემს უნებურ შეცდომას ...

— მე ეს არ მითქვამს. — წამოიძახა მეგიმ.

— უკაცრავად. — ისევ დაიმანჭა ანდრია — ეს რატის წინადადებაა. რა დაარქვი მას? — მიაჩერდა მამუკას. — აპოლონჩიკი? ჰოდა, ის შენი აპოლონჩიკი სკამის ხელში ჩასაგდებად არაფერს აშურებს, სულშიც კი მომიფათურა ხელი.

— რატი არაა ცუდი ბიჭი, — თქვა მეგიმ. — ის შენ გაღმერთებს. ყველა-

---

გიორგი სანაღირაძე
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

ფურში გბაძავს, წარმოიდგინე, ლაპარაკშიც კი...

— ეს სიბინძურეა, მეგი! — იფეთქა ანდრიამ. — აბა, რა საჭიროა კიდევ მეორე ანდრია ჯაბადარი?! ამას ყველა ხედავს. ყველა გრძნობს, წამხედურას ეძახიან.

— რატი ნიჭიერია! — თქვა მეგიმ.

— აი, მაგაში კი ნამდვილად არ მეპარება ეჭვი! — ირონიულად გაიცინა ანდრიამ. — ბევრით აჯობა თავის მასწავლებელს! — უცებ მოეშვა. გიიარ-გამოიარა. მანტიის კალთა ისევ მოედო ჯორკოს. ანდრიამ მრისხანებით მოიძრო სამოსი და შორიელი კუთხისაკენ ისროლა. — იცი, რა მიკვირს? — მიმართა მამუკას. — ეს ბიუბი... რატისთანებს ეგულისხმობ, ისე იქცევიან, თითქოს გვამადლიან, რომ ჩვენს აშენებულ ქვეყანაში ცხოვრობენ. უფრო მეტიც — ჩვენი ყოველი ნაბიჯის მსაჯულებად გვევლინებიან. გეკითხები, ვინ მისცა მათ ამის უფლება. ვინ?

— როგორ არა ჰგავს ეს ყოველივე შენს ნათქვამს... — გულდაწყვეტით წარმოსთქვა მამუკამ. — ისე მგონია, ეიღაც უცხო ადამიანი დგას ჩემს გვერდით...

— მაშ, რას ელოდი, კეთილშობილებისა და დიდსულოვნების ნაზავს? ახლა ბეღურ ნახავ ისეთ ბრიყვებს, ხელის გარტყმისას მეორე ლოყას რომ მოკვეშვერენ... დრო შეიცვალა. შეიცვალეთ ჩვენც...

— ტყუილია! — წამოიძახა მეგიმ. ეგი სასტიკად გაღიზიანა ქმრის ამგვარმა „ფილოსოფიამ“.

ანდრიამ გაკვირვებით შეხედა. თითქოს იკითხა: მომეჩვენა — თუ მართლა თქვეს აქ რაღაც? ეჰა, უთქვამთ. ანდრიამ გაიცინა, ყრუდ და უსიამოდ.

— მართალი ხარ. შენ არ შეიცვალე. მაგრამ შენ არც გგულისხმობდი.

— ცუდად ხომ არა ხარ? — არ მოწონა მამუკას ანდრიას სახე.

— ვერ ატყობ? — მხრები აწიეს ანდრიამ.

— კიდევ რას მომიგონებთ! — იყვირა ანდრიამ.

— დილის მერე ცუდადაა...

მამუკამ თვეზის აცმა სკამის საზურგეზე ჩამოჰკიდა.

— აბა, მაჩვენე მაჯა...

„რას დაფიცხულობს?“ — გული მოუვიდა ანდრიას. მაგრამ წინააღმდეგობა არ გაუწევია. გონებაში რაღაცას სწონიდა. — ჩემს ავადმყოფობას ჯერ ჯერობით ვერ არჩენს მედიცინა, — ფიქრობდა იგი. — ამას საკუთარი რწმენის დაკარგვა ჰქვია. მაგრამ განა მე არ მეძახიან უძლეველ, შეუვალ და ბობოქარ ჯაბადარს?.. ჰმ... ასეც ხდება თურმე“.

— ბიუის სასაფლაოზე, ზედ შესასვლელთან მდგარი მაღალი მუხა გიახსენა. გატოტილი, ჩარკინული, დაკორძილი. ერთ დღეს კი ყველას გასაკვირად წაიქცა... დაენარცხა მიწას... მერე შეშად დაჭრა სასაფლაოს მეთვალყურემ. ... რად გიახსენა ახლა ეს ხე? ლამაზი შედარება გამოუვიდა, ლამაზი და... უადგილო.

— თუკი ის შენი რატი მართლა ასეთი მამაძაღლია, რატომ არ შეეძლო ყველაფერი გამოეგონა? — იკითხა მამუკამ. მან უკვე მოათავა პულსის თვლა.

— რისთვის? — მიაჩერდა ანდრია.

— რისთვის? მოვიდა, საშინელი ამბავი გითხრა. ინფარქტი დაგიტოკა და წავიდა.

— ნეტა ეგრე იყოს, ნეტა.. — ჩუმად თქვა ანდრიამ.

მამუკა მეგის მიუბრუნდა.

— როგორ ფიქრობთ, რამდენი ხნის შემდეგ ფუჭდება თვეზი?

მეგი გამოერკვა. სკამის საზურგეზე ჩამოკიდწიალებული თვეზები დაინახა.

— ახლავე მიეხედაც — თქვა, მაგრამ ისევ გაუნძრევლად იჯდა.

— ეს კაცი ძშიერი მოვკალით! — ჩუმად თქვა ანდრიამ.

— ახლავე. — გაიმეორა მეგიმ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წუხელ სიზმარში, „დამტკრეული ნავსადგურის“ იქით რომ კლდეა, იქ ვიდექი თითქოს. — თქვა ანდრიამ.

— შენს კლდეზე? — დაეკითხა მამუკა. — მერე რა არის ამაში ცუდი?

— თუ ბოქოს ვიდექი და გადმოხტომისა მეშინოდა.

— მისტიკა. აბსურდი. — წამოიძახა მამუკამ. — გუშინ იქ კლდის ახლო არ ვთვეზაობდით?.. ძილში ჩაგყვა.

— შეიძლება. მაგრამ სიზმარი არასოდეს მინახავს ...

— შენ რა, მთვარიდან ჩამოხვედი? ასეთი ადამიანი არ არსებობს.

— გეუბნები, ჩემს ცხოვრებაში პირველად ვნახე სიზმარი, ვიდექი კლდეზე, ქარი ქროდა. თითქოს არ მიშვებდა კლდის გამონაშვეერისაკენ. ჩემს ქვეეთ კი ზღვა შბოდა...

— ზღვა ახლაც შბუის. ძალიან მიშლიდა თვეზობას. საძირავს ხან სად შეაგრავებდა და ხან სად ... ათი ანკესი მაინც ჩავტოვე ... გავწვალდი ...

— ბედნიერი კაცი ხარ ... თქვა ანდრიამ.

— შენ კი უბედური, არა?

— ვერა ხედავ?

— ეჰ, ჩემო კარგო. — გაიღიმა მამუკამ. — ყველაფერი შეფარდებითია. ეს არის, რომ შენსავით ემოციებით ვერ გამოვხატავ... შენ რა, არ მისმენ?

ანდრია მართლაც არ უსმენდა.

— უნებურად ჩემს ცხოვრებას გადაკავლე თვალი, ჩემი თავი შემეცოდა. — თქვა ცოტა ხნის შემდეგ.

— ამას შენ ამბობ? — გაოცდა მამუკა.

—კარგი ერთი, ყოველთვის სხვებისთვის ვცხოვრობდი.

— მაგრამ შენი სახელი?

— ყველაფერი აწონ-დაწონილი და გაანგარიშებული. ხოლო რაც შეეხება ემოციებს ...

— არ მითხრა, ისიც გაანგარიშებულია! — გაიცინა მამუკამ.

— სწორედ ასეა.

მამუკამ თავი გააქნია.

— ყველაფერი ასაკის ბრალი რომ არის, დაიჯერებ?

— ორმოცდათხუთმეტი წლის კაცზე შეიძლება თქვა, ასაკოვანიაო? — ხმა დაექექა ანდრიას. — მე აწი ეპაირებ ცხოვრებას. ასი წლისას შეიძლება რაღაც ახალმა პრეპარატმა მომისწროს. რა იცი, სად წავა კაცობრიობის აზრი, გაიხედავ და, ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება შენი გამოწერილი რეცეპტით აფთიაქში მივიდე და სიცოცხლის გამახანგრძლივებელი წამალი დავუკვეთო. „მოიცა, ამხანაგო, — მეტყვიან იქ. — აბა, შედექი სასწორზე, ვნახოთ, რა ადამიანი ხარ ... ღირს თუ არა შენთვის პრეპარატის მოცემა? აი, მაშინ ხარ ცოდვა! ხომ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ შენს სიცოცხლეს არავითარი აზრი არ ჰქონია?

— ვითომ მაგის გეშინია?

— ადრე — არა. ახლა კი ძალიან. და იცი რატომ? ეს ოხერი სიკეთე იმდენად მგრძნობიარეა, ერთი პაწია გადახრასაც არ გაპატიებს. მთელი სიცოცხლე უმწიკვლოდ რომ ემსახურო და უნებურად შეცდე ... სიკეთე კი არა, რაღაც უსაშინელესი ბოროტებაა.—ოთახში შემოსული ცოლი რომ დაინახა, ერთბაშად ჩაკვდა. „ხეთუ მაყურადებს?“ — გაუღლვა და თავისივე განაფიქრის შერცხვა.

— სასაფლაოზე მივდივარ. — თქვა მეგომ. — მალე დავბრუნდები, ხომ არ გჭირდები?

— როდის მერე მაბარებ ანგარიშს? — გაბრაზდა ანდრია. — თუ მართლა რაღაც შეიცვალა ამ სახლში?

„რას გადაეკიდა ამ ქალს? — გაიფიქრა მამუკამ. — ლამის შეჭამოს“.

— ახალი გაზეთები კამოდის თავზეა!

გიორგი სანაია
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვა მეგომ და კარისაკენ გაემართა. ანდრიამ თვალი გააყოლა.

— რას ერჩი ამ ქალს? — უთხრა მამუკამ, როცა დერეფანში ნაბიჯის ხმა მიწყდა.—სიტყვა ვერ უთქვამს შიშით...

— ქალი კი არა, მიძინებული ვულკანია! — კბილებს შორის გამოსცრა ანდრიამ.

— ნეტა, სხვა სახლში ხომ არ მოვხვდი? — წამოიძახა მამუკამ.

— ნუ იკატუნებ თავს, — თქვა ანდრიამ. — შენ ყველაფერს ხედავ და ატყობ. იცი, მე რა მქვია? ობიექტელი, რომელსაც ფუფუნება ახრჩობს...

— კეთილი, მოდი მაშინ, ამ სახლში საბავშვო ბაღი შემოვასახლოთ ...

—აქ მართლა იქნებოდა საბავშვო ბაღი ... ის, რომ არ მომხდარიყო ... საწყალი ჩემი ბიჭი ... საწყალი ... რა ღაშავა. იყო. ცხოვრობდა. ეზოდან გადავარდნილ ბურთს გაეკიდა ...

მამუკას შეეცოდა მეგობარი.

— კარგი, დამშვიდდი ...

მაგრამ რა დაამშვიდებდა აფორიაქებულ სულს?

— როცა დობორჯგინიძეს ვასამართლებდი, სულ ის მძღოლი მედგა თვალწინ, არყით გამოყეყეჩებული, მოხრშული თევზის თვალებით რომ მომჩერებოდა ...

მამუკამ წყლიანი ჭიქა გაუწოდა.

— აჰა, დალიე.

— ბოლმა მახრჩობდა, — ერთი ყლუპი ძლივს გადაატანა ანდრიამ. ჭიქა ლოყაზე მიიდო. — მას მერე შვილი აღარ გაგვჩენია...

— კარგი ახლა, დამშვიდდი ... — ხვეწნად იქცა მამუკა. — ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა. თავად არ ამბობდი?

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. დიდრონნი, მუქი ღრუბლები ჰორიზონტზე დაჯარულ ბორცვებისაკენ მიცურავდნენ. ანდრია ღრუბლებს გაჰყურებდა. ღია სარკმლიდან ბორიო უბერავდა და სახეზე ელამუნებებოდა. უცად სმენა დაძაბა.

— მგონი, ზარის ხმა იყო ...

— წავალ, გავხედავ, — წამოდგა მამუკა.

ზარმა ისევ გაიწკრიალა.

— მოვდივარ, მოვდივარ. — დაიძახა მამუკამ.

„კიდევ ვინღაა? — ღრუბლებისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე გაიფიქრა ანდრიამ. — რაღაც გიჟური, მოვლენებით სავსე დღეა ...“

—გოგო გკითხულობს.— კარში შემოიხედა მამუკამ.

— გოგო? — თავი მოაბრუნა ანდრიამ.

— ჰო. შენ გკითხულობს. სასწაული გოგოა. ულამაზესი.

— ვერ შემოიპატიჟე? — სწრაფად წამოდგა ანდრია. გაღეღილი საყელო შეიბნია.

მამუკას არ გადაუჭარბებია—მოსამართლე ანდრია ჯაბადარს ეშვიათი სილამაზის გოგონა ესტუმრა: თხელი ტანი, მაღალი მკერდი, მხრებზე დაფენილი სწორი თმა, კოხტად მორგებული კაბა, მზემოკიდებული კანჭები, თბილი გამოხედვა ...

— გამარჯობათ, — კი არ თქვა, ცის ლურჯი კიბით დაეშვა მზის მოწკარუნე წვიმა.

— იცით, ვერ გიცანით... — მომწუსხველმა ღიმილმა დააბნია ანდრია.

— მე კი მაშინვე გიცანით. ბატონი მამუკაც ვიცანი. სულ არ შეცვლილხართ ...

— მიცნობთ? — გაიოცა მამუკამ. — მე კი პირველად გხედავთ ...

— მაშინ პატარა ვიყავი ...

— რაშია საქმე? — დასვა ანდრიამ კლასიკური კითხვა. — რამ შეგაწუხათ?

— თქვენ ბატონი ანდრია არ ბრძანდებით? პირადად თქვენი სტუმარი ვარ.

— სტუმარი? სტუმარი ღვთისაა. მაგრამ ეს მაინც გამაგებინეთ, ვინ მოგასწავლათ ჩემი მისამართი?

— თქვენ თავად — სახეგაბრწყინებული იდგა ქალიშვილი.

— უკაცრავად, თქვენი სახელი?

— ნინო.

— აი, რა ნინო, — ცივად მოკრა ანდრიამ. — ეტყობა, კარგ გუნებაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხართ ... მე კი, მაპატიეთ დაკავებული ვარ .... ისე. რომ ...

— მე აქ ჩემი ნებით არ მოვსულვარ... — თქვა ნინომ და სადარბაზო ბარათი გაუწოდა. ანდრიამ გაკვირვებით ახედა სტუმარს.

— დიახ, ეს ჩემი ბარათია. მაშინ სხვა მისამართზე ვცხოვრობდი ... ეს ძველი ბარათია.

— მართალი ბრძანდებით.

— როგორ მოხვდა თქვენთან?

— თავად არ მომეცით?

— მაგრამ, მე ხომ პირველად გხედავთ! ... — მოუსვენრობა დაეტყო ანდრიას.

— ბოლოს არ შეგრცხვეთ ... — თქვა ნინომ.

„დახე, რა თავხედი ყოფილა!“ გაუელვა ანდრიას.

— რატომ უნდა შემრცხვეს? — იკითხა მერე.

— ამ ათი წლის წინათ უფრო გაბედული იყავით, ბატონო მოსამართლევ! პროცესი, რომელიც მიგყავდათ ჩვენს დაბაში, ალბათ სამარადჟამოდ დაუვიწყარი იქნება... როგორც ბევრი რამ... იმ დღესთან დაკავშირებული. — ისევ აწკარუნდა მზის წვიმა.

— ჩემო გოგონი, — მოლბა ანდრია. — იცი, რამდენი პროცესი ჩამიტარებია ჩემს ცხოვრებაში?

— ეს იყო ათი წლის წინათ ... ზუსტად დღევანდელ დღეს. — თქვა გოგონამ.

ანდრიამ კეფაზე იტაცა ხელი.

— ათი წლის წინათ? — იკითხა მან.

— დაბა სარკათში, — წამოეშველა მამუკა.

— მასხსოვს ასეთი პროცესი! — გამოცოცხლდა ანდრია. თვალებში უცნაური შუქი გაუკრთა.

— ეს შენი ყველაზე უდიდესი პროცესი იყო, — თქვა მამუკამ. — შენი ტრიუმფი!

— კი ... გამახსენდა! — გაეხარდა ანდრიას და მამუკას მიაჩერდა — წეღან სიმართლე მითხარი — მე დავბერდი...

— ო, რას ამბობთ! — ტუჩები დაბუზა ნინომ და თავი გააქნია. — თქვენ სულაც არ შეცვლილხართ, ეგ არის. ოღონდ — ცოტა გასულქაფლხართ ... მაშინ კი, ჩვენს სახლში ჩოგბურთიც მეთამაშეთ!

— ღმერთო! — იყვირა ანდრიას სხეულის ყველა ნერვმა, — ნუთუ შალვა იაშვილის ქალიშვილია! ნუთუ! რა დიდი დრო გასულა ... ათი წელი ...

— ოო! — წამოიძახა მან. — ახლა კი ნამდვილად გიცანით. ხომ კარგადაა მამთქვენი?

— ოთხი წელია, რაც ინფარქტმა იმსხვერპლა ... — თქვა გოგონამ.

„ისევ — ინფარქტი“, — გაუელვა ანდრიას. — საწყალი! — გულწრფელად ეწყინა. — შესანიშნავი ადამიანი იყო ... არ გახსოვს შალვა იაშვილი? — ჰკითხა მამუკას. ჩვენი სტუმარი მისი ქალიშვილი ყოფილა.

უხერხული დუმილი ჩამოწვა. აშკარად იგრძნობოდა, რომ გოგონას რაღაც სათქმელი ჰქონდა და დაწყება უჭირდა.

„ალბათ ჩემი ერიდება“, — გაიფიქრა მამუკამ.

— წავალ, მეგის შეეხვდები. — თქვა ცოტა ხნის შემდეგ. — ამინდი მთლად აიკუკა.

— კარგს იზამ, თუ საწვიმარსაც წაუღებ. — შენიშნა ანდრიამ.

მამუკამ ქალიშვილს შეხედა.

— იმედი მაქვს, კიდევ გნახავთ — უთხრა ღიმილით.

— თუკი ბატონი ანდრია არ გამაგდებს ... — თავის მხრივაც გაიღიმა ნინომ.

„რა სისულელეა, — თავი გადააქნია ანდრიამ და ქალიშვილს შეხედა — რამ გაათამამა ასე? გაიფიქრა. აჰა, ახალგაზრდობამ, სინორჩემ. ახალგაზრდობა, ყოველთვის მოურიდებელია“.

როცა მამუკა წავიდა, უცნაური იყო, მაგრამ ანდრიამ რაღაცნაირი უხერხულობა იგრძნო. ეს უხერხულობა ქალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილის სიტყვებმა კიდევ უფრო გაალრმავა. ქალიშვილმა კი თქვა:

— ჩვენს მეტი აქ არავინაა?

— როგორც ხედავთ ...

— და შეგვიძლია გულახდილად ვილაპარაკოთ?

— რა თქმა უნდა ... თუ ალღო არ მღალატობს, მე უკვე ვხვდები თქვენი სტუმრობის მიზეზს.

— ხვდებით?

— თქვენ გინდათ ვიღაცას ვუთანაგრძნო... წავეხმარო... ანდა პირიქით...

— არა.. ო, არა... — სიწითლემ გადაპკრა სახეზე.

— რამდენადაც მესმის, არც ცნობისმოყვარეობას მოუყვანიხართ ... თუმცა... დამაცათ ... თქვენ იურიდიულზე ხომ არ სწავლობთ?

— დავამთავრე.

— და სამუშაოს ეძებთ? — გაეხარდა ანდრიას.

— არა! არა! არა!

„რად მათვალიერებს ასე დაჟინებით? — ფიქრობდა ანდრია. — დიდი ახირებული ვიღაც უნდა იყოს ... ახლა ნაღდად არა მაქვს ამასთან ტლეკინის თავი“...

— ზუსტად ათი წლის წინათ თქვენს სადარბაზო ბარათს თვე და რიცხვი მიუწერეთ. ხომ თქვენი ხელია? — იკითხა გოგონამ.—ესეც არაფერს გეუბნებათ?

ანდრია გაოგნებული იდგა. რამდენისთვის მიუცია ეს ბარათები ... ისინი ხომ დასტებად უწყვია მუდამ ... რაო? ამ ბარათის მფლობელი ათი წლის შემდეგ უნდა მოსულიყო ჩემთან? რა სისულელეა. რა სისულელეა.

— ვერ გავიგე, რა გნებავთ, — (ნუთუ ეს მისი ხმაა?), — იქნებ ვალი მაქვს თქვენი?

— გულმავიწყი ყოფილხართ. მე კი მთელი ათი წელიწადი მხოლოდ ამ დღით ცხოვრობდი ...

ეს უკვე მეტისმეტია! ანდრია გაკვირვებით ათვალიერებს ნინოს, ვითომ შიზოფრენიასთან აქვს საქმე.

— მამათქვენის ხსოვნას უმადლოდეთ, თორემ ვერ ვიტან ასეთ ხუმრობას.

ნინოს ერთიანად დაეძაგრა სახე. მიაჩერდა. თვალებმა გაკვესეს. რა იყო ეს? მრისხანება? სიძულვილი?

— და ეს იმ უსასრულო მოლოდინის კომპენსაცია იქნებოდა? — თქვა ჩუმად.

— რაც გინდათ, ის დაარქვით.

ნინომ შუბლზე ჩამოშლილი თმა გაისწორა.

ტუჩის ფოსოებიდან დამცინავი ღიმილის პეპელა წამოფრინდა.

— მაშინ მისმინეთ, — თითქოს ამ პეპელას გამოედევნა, ისე თქვა ნინომ. — ათი წლის წინათ ... დიახ, იმ გახმაურებული პროცესის შემდეგ, მამამ შინ მოგიწვიათ ... თქვენი სტუმრობა დღესასწაულს გავდა. იგი ხომ ჩემი დაბადების დღეს დაემთხვა! ახლაც მახსოვს — ნასვამი გამოხვედით აივანზე ... მე მარტო ვიდექი... „ჩემო დედოფალო, — მითხარით თქვენ საოცრად თბილი ხმით.—რატომა ხართ ასე მოწყენილი?“ „აბა რა დედოფალი ვარ, სახელმწიფო არ გამაჩნია“. — გითხარით მე. „მე შეკქმნი თქვენთვის სახელმწიფოს“, — მითხარით თქვენ. — ოღონდ ამისთვის მოცდა დაგჭირდებათ“ ...

— ათი წელი?

— სწორედ. ახლაც არ გაგახსენდათ? არა, ანდრიამ ვერაფერი გაიხსენა.

— მაშ, სახელმწიფოს დაგპირდით? — გაიცინა უნიათოდ.

—სახელმწიფოს! — მტკიცედ თქვა ნინომ. — მაშინ მისი სახელიც კი წარმოთქვით ლათინურად ... თუ რაღაც უცახო ენაზე ... მაგრამ მე მითხარით, ეს ბედნიერებას ნიშნავსო ...

გული! ნუთუ ანდრიას გული ჰქონია? იმ წუთს პირველად აგრძნობინა გულმა თავისი არსებობა. ნელა, საოცრად ნელა იკუმშებოდა და „ოჰ“ ეველ დაფარა უტანილი ჩხვლეტა.

— ოჰ! — წამოიძახა ისევ. — ნუთუ ეს ყველაფერი მე მოვიმოქმედე?

— მარტო ეს? თქვენ ხელიც მომხვიეთ და მეამბორეთ ... პირობის ნიშნად ...

ისევ უჩხვლეტა გულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ღმერთო! — წამოიძახა ანდრიამ. — ეს მაკლდა სწორედ!...

ნინო გაბრწყინებული სახით იდგა. თითქოს მოგონებათა სკივრში ასეთ რაღაცას მიაგნო, რომელსაც დიდი ახანია ეძებდა და ამან გაახარა.

— მამა რომ გარდაიცვალა, ვიფიქრე; თავს მოვიკლავ-მეთქი. მე ხომ ახლობელთაგან ორარავინ დამრჩა, — მაგრამ თქვენი დანაპირები მახსოვდა. დღეებს ვითვლიდი. ოცნებით ვცხოვრობდი...

ნეტა, როგორ ხმას გამოსცემს გული გასკდომისას? — გაუელვა ანდრიას.

— არ ვიცი, რა გითხრათ, — თვითონაც შეეტყო, რომ დაიბნა, — ყველაფერი, რაც მოჰყვეთ, საოცრად შთამბეჭდავია. მაგრამ არ ვიცი, მე რა შუაში ვარ ... (გული დაწყნარდა. ხელი ჩამოიღო) ბავშვობაში ცოტა რამ ხდება? მე, მაგალითად, ყველას ვუმტკიცებდი, მთვარიდან ჩამოვარდნილი ქვის ნატეხი ვიპოვე-მეთქი ...

ნინოს თვალებზე ცრემლი აბრწყინდა.

— მაშ, თქვენ სულ არ გაგხარებიათ ჩემი მოსვლა?

—გამეხარდა. — გაიღიმა ანდრიამ. მართლაც, რა დაუშავა ამ გოგომ? — მე ისეთი მოწყენილი ვიყავი (რატის მოსვლა გაახსენდა), უმწეო ... თქვენ თითქოს სინათლე შემოიტანეთ ჩემს ახლში ... შეიძლება ამ მოულოდნელმა შუქმა შემაშინა?

— თქვენ სიმართლეშ შეგაშინათ! — ზიზღით ესროლა ნინომ და ცრემლი მოიწმინდა. — და ეს იმ საოცარი წლებიც საზღაურად... (რატომ ამბობს ასე? ან რად მიემართება კარებისაკენ?) ნახვამდის... თქვენ მომატყუეთ! რისთვის... რისთვის?!

რამდენიმე წამი და ნინო კარებში გაუჩინარდებოდა. რა ხდება ჩემს თავს? გაიფიქრა ანდრიამ. ხომ არ მომეჩვენა ეს ყველაფერი? უცებ მიხვდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გოგონა უნდა დაებრუნებინა, როგორმე დაებრუნებინა...

თავი ასწია.

— ნინო — ფოლადმა გაიკლრიალა მის ხმაში. — შეჩერდით!

დიალოგი მესამე

ისინი მისაღებში ისხდნენ.

— მოხარული ვარ, რომ ისევ გხედავთ. — თქვა მამუკამ.

— ოო, ეს თქვენა ხართ? — გაიღიმა ნინომ.

— მეგი სადღაა? — იკითხა ანდრიამ. მეგი, მისი მეუღლე, ძლივს არ გაახსენდა?

— ფოსტალიონს ტყავს აძრობს, გაზეთებს რატომ აგვიანებო. — თქვა მამუკამ.

„აბა, თავის სტეკიაში ყოფილა“. — გაუელვა ანდრიას.

— არ მოგეწყინათ? — თვალი თვალში გაუყარა ნინოს მამუკამ. მას აშკარად მოეწონა ეს გოგო. — მისი უღიდებულესობა მართლმსაჯულება დღეს ვერაა გუნებაზე.

„რა უნდა ჩემგან? — გაიფიქრა ანდრიამ. — რას ამომიჩემა?“ ჰაჰ, საუბრის დასაწყისისთვის დასაჭირდა. ახლა ვნახოთ, რას უპასუხებს ნინო...

— მე ეს არ შემიმჩნევია.

„რა ტკბილი ხმა აქვს“, — გაიფიქრა ანდრიამ.

— ჩვენ ბევრი რამ გვქონდა გასარკვევი, — განაგრძო „ტკბილმა ხმამ“.

— გაარკვიეთ?

— მთლად ვერა ...

— მაშასადამე, ცოტათი ადრე მოვსულვარ, არა?

— როგორ გეკადრებათ...

გიორგი სანაძირაძე
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა საჭიროა სიტყვების რახარუხი?“

— მე კი ვწუხდი, ჩემი არყოფნის დროს ბატონმა მოსამართლემ რაიმე უცნაური არ მოიმოქმედოს-მეთქი ...

„არა ეს კაცი ვერაა მთლად დაწყობილ ჭკუაზე! — დაასკვნა ანდრიამ. რქებით მაწვება. ნინო კი მიცავს“.

— როგორც ხედავთ, ჯერჯერობით მშვიდობიანად ვზივართ ...

—რა, განა ომიც იყო მოსალოდნელი?

— რა იცი ... — ზანზალაკებმა გაიწკრიალეს ნინოს ხმაში

საკმარისია, ჩემი ჩარევის დროა, — წამოდგა ანდრია.

— ნინო ჩემი კოლეგა ყოფილა. ასე ვთქვათ, ახალბედა იურისტი...

— მასაც ხომ არ მოუტანია რაიმე არასასიამოვნო ამბავი? — იკითხა მამუკამ.

— რატომ უნდა მომეტანა არასასიამოვნო ამბავი? — გაიკვირვა ნინომ.

— დღეს უკვე იყო ერთი ... თქვენამდე ...

ანდრიამ მრისხანედ მოხედა მამუკას. მამუკამ არ შეიმჩნია. სამაგიეროდ ნინოს არ გამოპარვია ეს მზერა.

— დამშვიდდით, — უთხრა მან მამუკას. — მე არ ვუმბიზნებ ბატონ ანდრიას ადგილს ... უფრო მეტიც — მე ვერ ვხედავ მის შემცვლელს.

მამუკა აცმუკდა.

—ტაში შეიძლება? — იყვირა მან. — მეც მაგ აზრისა ვარ ...

ეი ბედნიერი! — გაიფიქრა ანდრიამ. — ნეტა ამის ადგილს მამყოფა“. უცებ იგრძნო — ნინო მოსჩერებოდა.

— რაიმე უსიამოვნება შეგემთხვათ?

— უსიამოვნება? — გაიმეორა ანდრიამ. — უსიამოვნებას ვერ დაარქმევ...

ნინოს თვალებში ცნობისმოყვარეობამ გაიელვა.

— როგორმე მერე ... მერე გეტყვით, — განაგრძო ანდრიამ, — იმედი მაქვს, დარჩებით ჩვენთან...

— თუ საწინააღმდეგო არ გექნებათ ...

— რას ბრძანებთ ... — გაეხარდა მამუკას.

— აი, ხედავთ, ექიმიც თანახმაა ... — გაიცინა ანდრიამ.

— თქვენ? — ჰკითხა ნინომ.

—მე თავისთავად.

— თქვენ რაღაც გაწუხებთ ...

—შეიძლება, მე დავბერდი ...

— ბატონი მოსამართლე კომპლიმენტს ითხოვს? — ისევ გაისწორა თმა ნინომ.

— რა სისულელეა. — ჩაფიქრდა ანდრია.

— კი. დაბერდა. — თქვა მამუკამ. — დაბერდა და ჯუჯღუნა გახდა!

ანდრიამ თერმოსით ყავა მოიტანა და ფინჯანებში გაანაწილა.

მამუკამ რომელიღაც უხერხული ანეკდოტის მოყოლა დაიწყო, მაგრამ შენიშნა, ნინო არ უსმენდა. ნინო უაზროდ დასჩერებოდა ფინჯანს და ფერი დაკარგვოდა.

კარმა გაიჭრიალა. ანდრიას თავი არ აუწევია. ფეხის ხმაზე იცნო მეუღლე. მეგომ საწვიმარი გაიხადა, კედლის ეკიდა სარკეში ჩაიხედა. თმა შეისწორა და მისაღებისაკენ გამოემართა.

— აბა, მაჩვენეთ ჩვენი სტუმარი! — თქვა შემოსულისთანავე.

ნინო გამოერკვა და წამოდგა.

— მამუკა არ შემცდარა, — გაიღიმა მეგომ. — იცით, რა გიწოდათ?

— გთხოვთ, მეგო, — ხვეწნად იქცა მამუკა.

— მე მგონი, ყველა ქალს მოსწონს, როცა ულამაზესს უწოდებენ ...

— სინამდვილეში ჩვეულებრივი იურისტი ყოფილა! — გაწითლდა მამუკა.

— ლამაზი ქალი თავისთავად იურისტია. — თქვა მეგომ.

„აფორიზმივით არ წარმოსთქვა?“ — ჩაიცინა ანდრიამ.

რაზე ისაუბრეს მერე? აჰ, ჰო, ნინოს მშობლებზე, ამინდზე, იურისტის მოვალეობაზე, მოდების ჟურნალზე, მამუკას დაჭერილ თევზზე, ყავაზე, ანდრიას ხასიათზე (თანამედროვე მასტოდონტი უწოდა ცოლმა), აივნიდან გადაშლილ პეიზაჟზე და:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხომ დარჩებით ჩვენთან? — იკითხა მეგიმ.

— თუ არ შეგავწროებთ.

— ამოდენა სახლში? — გაუკვირდა მამუკას.

—როგორმე გამოვძებნით ადგილს. წამოდით, თქვენს ოთახს გიჩვენებთ.

— კახას ოთახს? — იკითხა ანდრიამ.

რად შეხედა ასე ცივად ცოლმა?

— წინა ოთახში უფრო მოისვენებს.

—სიცივით გაიჭოლა მისი ნათქვამიც —თანაც ფანჯრები ზღვას გადაჰყურებს.

— თუ ამოსარჩევადაა საქმე, მეც ზღვის მხარეს მირჩევნია! — თქვა ნინომ.

— წამობრძანდით! — ხელი მოხვია მეგიმ ნინოს. — თორემ საღილობის დრო მოდის. მე კი ორი დევევით კაცი მყავს დასაპურებელი ...

— კეფალი მაცივარში დევს! — დაიწია მამუკამ.

მეგის არც მოუხედავს.

— ეგ ვინც დაიჭირა, იმან შეწვას ...

— და ეს არის ჩემი სანაქებო, სათაყვანო რძალი?! — წამოიძახა მამუკამ.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ. ზღვის შხუილს უსმენდნენ. პალმის ტოტი სარკმელს ეხებოდა და ქარის დაქროლკისას ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს რომელიღაც ფრინველი ეხათქუნებოდა მინას.

— ისე, რა გითხრა იცი? დიდი ჩუმ-ჩუმელა ვინმე ხარ... — თქვა მამუკამ.

ანდრია რატის მოტანილ ამბავზე ფიქრობდა.

— მეგი ცამდე მართალია შენთან ...

— განაგრძო მამუკამ.

რატომაა მეგი მასთან ცამდე მართალი? ნინო რომ მოვიდა იმიტომ? ანდრიამ იცოდა, რასაც ფიქრობდა მამუკა. მამუკა ტყუილად არავის დაუძახებს „ჩუმჩუმელას“. ო, რამდენ რამეს იტევდა ახლა ეს თითქოს მოსაფერებლად წამოსროლილი სიტყვა!

— არასოდეს არ მითქვამს შენთვის, რატომაა ენის წინ კბილები?

მამუკამ მოწყინა.

— კარგი, ბატონო, გავჩუმდები. ბაგრამ არ შემიძლია არ გაგაფრთხილო ეს გოგო დიდი შეგერტყილი ვინმეა ...

— ვინ? ნინო?.

„ეჰ, შენ, — ფიქრობდა ანდრია. — მას თითქოს არ შეხებია დროის ჭუჭყი... ასე მგონია, სხვა სამყაროდან ჩამოფრინდა-მეთქი... უთხრას ეს ყველაფერი მამუკას?“

— მხსნელად მომეკლინა თითქოს! — თქვა.

— ასეთი გულუბრყვილო შენ ოცდაათი თუ უფრო ხნის წინათ იყავი ... დღეს ასეთი ჩიტუნები იცი, რომელი სამყაროდან მოფრინავენ? რომელმე ბიძიკოს აგარაკიდან ... ანდა ... პირიქით... აგარაკისაკენ მიეშურებიან...

რაებს ჩმახავს ეს კაცი? ნუთუ ჩემი გაღიზიანება უნდა?

—იგი ჩვენი მეგობრის ქალიშვილია!

— მოუჭრა უხეშად.

— მერე?

რატომ არ ეპუება ეს კაცი? — ეწყინა ანდრიას. ნუთუ მასში არაფერი არ დარჩა წმინდა?

დარჩა ... რამდენიც მინდა, იმდენი დარჩა. მაგრამ ცხოვრება აიძულებს იყოს ეჭვიანი. მან ერთხელ მიიღო მწარე გაკვეთილი — მიტმაც დარჩა უცოლოდ.

— არ მითხრა, ნინო არ მომწონსო, — თქვა ანდრიამ — გგონია, ვერ შევნიშნე, როგორ ზომავდი თვალით? სამწუხაროდ, ძალზე ბებერი ხარ მისთვის ...

— დამცინი?

— არც მიფიქრია.

— ბებერი, რომ არ ვყოფილიყავ, მაშინ?

— მაშინ თქვენ შექმნიდით ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს ...

— რომელსაც სიწმინდე და ოჯახი ერქმეოდა! — დაასრულა მამუკამ.

ანდრიამ გაოცებით შეხედა. კი მაგრამ, საიდან იცის ამ კაცმა ეს ფრაზა?

— მართალია, დავბერდი, მაგრამ მე-

ხსიერება არ დაბერებულა. ეს სიტყვები შენი შორეული სიჭაბუკის ეპიტაფიად დარჩა. — თქვა მამუკამ.

„შორეული სიჭაბუკის ეპიტაფია, — გაიმეორა ბუნებაში ანდრიამ — რატომაა, რომ ყველაფერს თავის სახელს ვარქმევთ? ნუთუ იმისთვის, რომ ერთმანეთის წინაშე ვიორბაზოთ და ღვლარჭნილი სიტყვების ლაბირინთში შევიტყუილოთ? რატომაც მოეჩვენა, რომ მთელი მისი ცხოვრება სწორედ ასეთ ლაბირინთებში დაეხეტებოდა და გული დაწყდა.

— ნეტა ყველაფრის თავიდან დაწყება შეიძლებოდეს, — თქვა მერე.

მამუკამ ამოიოხრა.

— შენს ცხოვრებაში მაინც არაფერი შეიცვლებოდა.

— ვითომ?

— არ გიცნობ განა?

— ახალგაზრდობას ყველაფერი შეძლებია თურმე. — განაგრძო ანდრიამ. — ახლა მივხედი, ვინ მისცა მას ასეთი განუზომელი უფლება — შეაფასოს უფროსთა თითოეული ნაბიჯი, ჩვენი აშენებული ქვეყანა... მას ხომ ყველაფერი წინა აქვს — აუსრულებელი ოცნებები, მიზნები ...

— და ამას მივხედი ნინოს მოსვლის შემდეგ?

— მაშინვე — თვალები გაუბრწყინდა ანდრიას. იქნებ ჩიბუხის გასაჩაღებლად მიახლოებული ასანთის ანარეკლი იყო ეს? ანდრიამ გააბოლა. — იგი ისე თამამად შემოვიდა, ისე მარტივად წამოაყენა თავისი პრეტენზიები, საშინლად უმწეოდ, მოტეხილად წარმოვიდგინე თავი ...

მამუკამ რგოლებად დახვეულ კვამლს შეხედა.

— პრეტენზიები? რა პრეტენზიები უნდა ჰქონდეს უცნობ გოგოს ანდრია ჯაბადართან?

— ის, რაც რატის.

— რაღაც ვერ გავიგე ...

— შევეცდები აგიხსნა — ერთი ჩემი ხაზოგადოებრივი საქმიანობისთვის მთხოვს პასუხს, მეორე — პირადი ცხოვრებისათვის...

— ეს გოგო? — გაოცებას ვეღარ ბალავდა ეკი.

— სწორედ ეს ვიგო.

— შენ უნდა დაისაკენო, ანდრო ...

— დავისვენო? — არ მოეწონა ეს სიტყვები ანდრიას. — შენც ასე ფიქრობ?

— გადაიღალე, როგორც ჩანს, ნერვები გიალაკობს ...

— ალბ, მაშასადამე. ესეც მიანიშნებს, რომ უნდა და-ი-ს-ვ-ე-ნ-ო-ს. იქნებ ეს სულაც არ უგულისხმნია? ჩვეულებრივი სიტყვების ძიძა წინათ ირასოდეს უძეგნია ქვეტექსტი. ეს არ შედის მოსაბარბლის ფუნქციაში. ქვეტექსტს ვერ გამოიყენებ სამხილად. ახლა კი მიხვდა, რომ სწორედ ამაზე უნდა გაეძახვილებინა მთელი ყურადღება.

— იცი, რაზე მწყდება გული? — დაიწყო მან. — დღეს აშკარად მიმანიშნეს, რომ გაკრა ჩემი ყოვლისშემძლეობის მითი ... მორჩა ... ჩაიფუშა. მე, მგონი, მეგი გეტყოდა ...

— მეგის არაფერი უთქვამს.

— არ უთქვამს? მაშ, საიდან გაიგე, რომ რატომ ირასასიამოვნო ამბავი მოიტანა?

მამუკა აირია.

— სახეზე არ გეტყობოდა?

—კარგი, მოეშვი ერთი მაგ სამძიმარს ... — ხელი ჩაიქნია ანდრიამ. — მე ყველაფერს ვხედავ, ყველაფერს ვგრძნობ ...

— შენ გადაიღალე, ანდრო ...

—აი, სწორედ მაგის სათქმელად გამოგიძახა ჩემმა საყვარელმა მეუღლემ — ღვარძლიანად ჩაიცინა ანდრიამ. — გგონია, არ ვიცი, რად გამომეცხადე ასე მოულოდნელად?

— მომენატრე, შე უმადურო! — გახუმრება სცადა მამუკამ.

— შეიძლება. მაგრამ, რა ქქნა, ეს ოხერი ინტუიცია მკარნახობს, რომ მეგიმ გამოგიძახა...

— მეგიმ?

— მეგი ფიქრობს, რომ ავად ვარ...

რომ ჩემს ტვინში ყველაფერი ვერაა რიგზე.

— მე რადა შუაში ვარ?

— მეგმ იცის, რომ შენს გარდა არც ერთი ექიმისა არ მჯერა ...

— მადლობელი ვარ ასეთი ნდობისათვის.

— მაშ, შენით ჩამოხვედი სათევზაოდ, ამ სეზონის მიწურულს ... —

მამუკამ ვერ გაუძლო მეგობრის მზერას.

— კარგი, ბატონო, ვთქვათ, მეგმ მთხოვა ჩამოსვლა ... რა არის ამაში ცუდი? მოსიყვარულე ცოლის ზეგმეტი მზრუნველობა? ეს გაღიზიანებს?

— შეიძლება ეგეც.

— რატომ?

— შეეცდები მოკლედ, მაგრამ ამოიწურავად მიგანიშნო ჩემი ავადმყოფობის უმთავრეს სიმპტომებზე ... თუმცა სიმპტომი მხოლოდ ერთია — მე პატიოსანი ვარ ... ნუთუ მართლა ავადა? — გაუელვა მამუკას. ასეთი გაღიზიანებული, ასეთი უცნაური არასოდეს ენახა იგი.

— იქნებ შენი მდგომარეობითა ხარ უკმაყოფილო? — შეაპარა მამუკამ.

— სასტიკად! — წამოიძახა ანდრიამ. რა იყო ამის მიზეზი? ახსნა კიდეც: თურმე მეგი. მეგი ლამაზი, ბობოქარი, ამაღლებული ცხოვრების სიმბოლოდ ჰყავდა მიჩნეული. სინამდვილეში კი კეთილდღეობის ვიწრო ნაჭუჭში გახვეული მეუღლე შერჩა.

— ახლა, როცა განვლილ წლებს ვუყურებ, დამცირებულად, განძარცვულად მეჩვენება თავი. — განაგრძო ანდრიამ. — ერთი, მეტად სერიოზული პროცესის დროს თურმე არ ეუსმენდი დამცველს ... და იცი რატომ? ჩეხურ კაფელზე ვფიქრობდი. აი იმ კაფელზე, ახლა სამზარეულო და საბაბანო რომ გვაქვს გაწყობილი. ასე იყო მუდამ ... ყოველდღიურმა, წვრილმანმა საზრუნავმა თანამდებობას ამოფარებულ უსულო გვამად მაქცია. იცი, რომ არსებობს კომფორტაბელური ფსოლტები? რომ არამული ტახტი მოდად იქცა? ნუთუ ეს არის ჩვენი ცხოვრების მიზანი? ამისთვის მოვედით ქვეყანაზე?

— არ ვიცი, რას თხოვ საკუთარ თავს! პირველად ვხედავ ადამიანს — ყოველმხრივ უზრუნველყოფილსა და დაჩაგრულს... ეს რაღაც ახალი კატეგორიაა.

— გინდოდა გეთქვა, ავადმყოფობის ახალი კატეგორია? — იკითხა ანდრიამ.

— ჰა! — წამოიძახა მამუკამ და ხმაურით ამოისუნთქა. — იცი, რა არის შენი უგუნებობის უმთავრესი ძიზეზი? შენი გაფრენილი სიჭაბუკე. დადგა ეგრეთწოდებული კლიმაქტერიუმის პერიოდი.

ანდრია კვამლის სქელ საბურველში გაეხვია.

— ოო! — ხითხითებდა იგი. — დიაგნოზების დასმა კი იცით, მაგრამ მართო მოსამართლენი არ ცდებიან. ზოგჯერ ავადმყოფობის დადგენისას ესა თუ ის სიმპტომი შეიძლება ყალბი აღმოჩნდეს.

— შეიძლება, — დაეთანხმა მამუკა. — მაგრამ იცი, რას გეტყვი?

— საწუხაროდ, ვეღარაფერს, — დამარცვლით წარმოსთქვა ანდრიამ და ოთახში შემოსულ ნინოზე ანიშნა.

— ბატონო მამუკა, — ღაიძახა ნინომ. — მეგი გთხოვთ.

ანდრიას გულისკენკუნულში წყენამ გაკვალა. — ნინოს მისი მეუღლის სახელის ხსენებისას „ქალბატონი“ არ დაუყოლებია.

გიორგი სანაძიერაძე
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინოს მეგის ხალაოი ეცვა.

— თქვენ რა, ავადა ხართ? — ჰკითხა მან ანდრიას.

— ვგავარ ვითომ ავადმყოფს? — გაზეთების დასტა გვერდზე გადადო ანდრიამ.

ნინომ თავი გაქნია.

— შემთხვევით ჭოკარი კური, რაღაც ავადმყოფობაზე რომ საუბრობდიო.

— მამუკა თვლის, რომ მე რაღაც დაუკმაყოფილებლობის მანია გამიჩნდა.

— დიდი უცნაური კაცია ეს თქვენი მამუკა ... — თქვა ნინომ.

— ჩემი მეუღლე?

— გულახდილად გითხრათ?

— ცხადია.

— არ მეგონა, თუ ასეთი შესანიშნავი ადამიანი იყო ...

ანდრია მოიღუშა.

— არ გეგონათ?

— ეგ უკვე ჩემი საიდუმლოა.

— მაშ უფალატეთ გულახდილობას?

— ასე გამოდის ნუ გამიწყრებით. გთხოვთ. წეღანაც, როცა მარტო დავრჩით, სწორედ ასეთი გამომეტყველება ქონდათ, მეგონა, ჩემი გაგდება გინდოდათ.

—მიტომაც დაგაპირეთ გაქცევა?

— არა, მთლად მაგიტომ არა.

—აბა?

— თქვენმა გულმავიწყობამ მომშალა.

— ღმერთმანი... მე... — აირია ანდრია. საჭირო სიტყვებს ეძებდა. ამაოდ.

— ნუთუ მართლა არაფერი გახსოვთ? — განაგრძო ნინომ, — თუმცა რას ვამბობ. თქვენ შეიძლება იხუმრეთ მაშინ ... არა ... გთხოვთ, არაუერი არ მითხრათ მთელი ეს წლები ოცნებით ვცხოვრობდი... სულელი, სასაცილო ბავშვი ვიყავი. ჩემს მოხიბლვას რა უნდოდა! იცით, თქვენთან შეხვედრამდე ...

ინდოდა მეთქვა, ჩვენს პირველ შეხვედრამდე ... მე მყავდა ჩემი იდეალი.

„ათი წლის წინათ!“ — ირონიულად გაიღიმა ანდრიამ.

—რომელიმე კინომსახიობი? — თქვა მან.

— არა ... ნაპოლეონი.

— ბონაპარტე?!

— სწორედაც.

— რაღა მაინცდამაინც ის „სალდაონი“ აირჩიეთ?

— მისი ქუდი მომწონდა.

— მარტო ქუდი?

— რა, არ კმარა?

— მერე ასეთი სპატიკეტმულო ქუდი ვიღაც მოსამართლეზე გაცვალეთ?

— ო, მაშინ უკვე დიდი ვიყავი!

— ათი წლის წინათ?—იღიმოდა ანდრია.

—რა თქმა უნდა, მგონი, ამას თქვენც მიხვდით და მთელი საღამო არ მაცალებდით თვალს ...

—მერე ეს არ ეწყინა დიდ ბონაპარტეს?

— მას ხომ იმ დროისთვის ქუდი დაკარგული ჰქონდა ...

— აჰ, ეს სულ დამავიწყდა. — სიცილს ვეღარ იკავებდა ანდრია. — მერე რაღა იყო?

ნინომ მოიწყინა.

— აკი გითხარით, აივანზე დამიმარტოხელეთ-მეთქი.

„კი, წეღან არ მიამბო?“ — გაახსენდა ანდრიას.

— ამდენ ხანს რატომ არ შემახსენეთ თავი?

— სულ თქვენს გვერდით არ ვიყავი? თითქმის თქვენს ყველა მნიშვნელოვან პროცესს დავესწარი. იურისტობაც მიტომ გადავწყვიტე ...

—მერე, როცა წამოიზარდეთ, ვეღარ მიხვდით, რომ ეს უბრალო გატაცება იყო?

— როგორ თუ გატაცება? — ხმა გაეპზარა ნინოს.

— ნაპოლეონის მსგავსად ...

— ნაპოლეონი მე გამოვიგონე. თქვენ კი მუდამ თვალწინ ვედექით, მიუწვ-

დომელი, მართლმსაჯულების კერპი...

— მაგრამ დროთა განმავლობაში კერპებიც მარცხდებიან. ისინი ჩვეულებრივ მანეკენებს ემსგავსებიან მერე ...

— მე სწორედ ამის გასაგებად მოვედი! — თქვა ნინომ.

„ეჰორჩა, გამირისა, გამანადგურა ... გაიფიქრა ანდრიამ. საფეთქლები უშხუოდა. მაშასადამე, ვიღლავ, — დაასკვნა. მაშასადამე, ამ თითისიგრძე გოგომ წონასწორობიდან გამომიყვანა“...

— ამდენ ხანს, რატომ არ შემახსენეთ თავი, — იკოვა გამოსავალი.

— მე დათქმულ დროს ვუცდიდი.

— ესე იგი, ათი წლის შემდეგ?

— დიახ. ათი წლის შემდეგ, ჩემი დაბადების დღეს...

— მაშასადამე, დღეს თქვენი დაბადების დღეა?

— ასე გამოდის.

— და მე ასე დამშვიდებული ვზივარ?

— ნუ სწუხართ, თქვენ უკვე მომმიზადეთ საჩუქარი. გამიცამტვერეთ ყველაფერი, რაც ასე საოთუად მქონდა ნაშენი ... მე კი მთელი არსებით მოვიწყვიდი აქეთ... თქვენკენ... მეგონა, თქვენც ერთი სული გქონდათ, ვიდრე ეს დღე დადგებოდა. სინამდვილეში კი თურმე არც გახსოვდით.

— მე ძალიან გამეხარდა, ნინო. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ, როცა ასე მოულოდნელად გამოცხადდით და გამახსენეთ თავი ...

— ესე იგი, ყველაფერი გაგახსენდათ?

— თანდათან. რა თქმა უნდა ... თანდათან... — იცრუა. — ძალიან აფორიაქებული ვარ... მე მიჭირს... უმჯობესია გასრესილი მეგონა თავი...

ნინომ გაიღიმა: — მეც მემართება ეს ხშირად — მაგრამ დრო გადის და ისევ მიბრუნდება სიმხნევე.

— თქვენ ხომ ახალგაზრდა ხართ!..

—მითხარით, ოღონდ გულახდილად ...

— რა, ახლა ჩემი ჯერი დადგა?

— ბედნიერი ხართ?

— არ მეტყობა?!

—რამდენადაც ვიცი, სასამართლო არ იფარგლება ასეთი ორჭოფული პასუხით. სასამართლო მხოლოდ კონკრეტულ პასუხს ითვალისწინებს... მაშ „ჰო“, თუ „არა?“

— ვთქვათ, არა ... თქვენ?

— დღემდე — ძალიან.

— დღემდე?

— თქვენ რა, მართლა ვერ ხვდებით, რატომ?

— მინდა, ისევ ბედნიერი იყოთ...

— ეს შეუძლებელია.

—შეუძლებელია?

— დიახ. შეუძლებელია. წარმოუდგენელიც.

— მაშ. თქვენც იმათ მხარეზე ხართ?..

— მოიწყინა ანდრიამ.

— არ ვიცი, რას გულისხმობთ „იმათ მხარეზე“..

— რომ დავბერდი...

— ვერ ვიტყოდი ამას ...

— მაშ, რატომაა შეუძლებელი?

— თქვენ საოცრად კარგად ცხოვრობთ ...

— და ეს შემიშლის ხელს?

— რა თქმა უნდა ...

— რატომ?

— ეს კეთილდღეობა თქვენი ლამაზი ოცნებების წილ მიიღეთ ...

— მაშ, თქვენი აზრით, დაღუპული ყოფილა ჩემი საქმე? — მწარედ გაიცინა ანდრიამ.

— ეგ კი უკვე აღარ შედის ჩემს კომპეტენციაში ...

— როგორ გეკადრებათ: კეთილ ინებეთ და ახლა თქვენც დასვიათ გარკვეული დიაგნოზი! — ბოდმის ბურთი ლაპარაკს უშლიდა ანდრიას.

ნინო დიდხანს, დაჟინებით უყურებდა კვამლის ფარდას, რომლის იქით ძლივს ილანდეზოდა მამაკაცის სახე.

— რახან აგრე გინდათ, გეტყვით! — გაღიზიანება დაეტყო ნინოს. —

— ... ოღონდ ნუ გამიწყრებით.. როცა პატარა ვიყავი, ცეროდენა, ჩემი მშობლები ხშირად კამათობდნენ ბედ-

---

ბიოგრაფი სანადირაძე
მთელი სიცოცხლი და ერთი დღე

ნიერებაზე დედა დამისვამდა მუხლებზე, თმაზე გადამისვამდა ხელს და ამოიოხრებდა — შენ მაინც იყავი ბედნიერი. ერთხელ, როცა სილაში ვთამაშობდი, თეთრი, შუაში გახვრეტილი ქვა ვიპოვნე. ბავშვებმა — ბედნიერი იქნებიო, მა მაშინვე დედასთან გავიქეცი, მაგრამ დედამ ისე ცივად შემხედა, ის კენწში მეტად აღარავისთვის მიჩვენებია. მერე გამოხდა დრო და თქვენ გამოჩნდით. შეუჯაბავებული საფეთქლები და მომნუსხველი ღიმილი გქონდათ. თქვენ ყველაზე ქკვიანი იყავით შეკრებილთა შორის და მე მამაზე მეტად შემიყვარდით... მერე კი, აივანზე, ისე მოწიწებით მეამბორეთ... — ხმა გაებზარა. ცრემლები ღაპაღუნით ჩამოსდიოდა. — მაპატიეთ... შეეცდი... მთელი ეს დრო შეპირებულ სამყაროში ვცხოვრობდი... და ეცემ მოკვდა, როგორ თქვენ უმწეო ყოფილხართ, რომ არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათ...

— აი, ხედავთ, თქვენც „მათ ეზარეს“ ყოფილხართ...

— ეს გწყინთ? — ცრემლი მოიწმინდა ნინომ. ნაძალადევად გაიღიმა.

— ძალიან.

— მაშ, მისმინეთ! ბატონო ანდრია! ბატონო მოსამართლევ! ადამიანს გაჩენის დღიდან სულ დაპირებებით კვებავენ. ალბათ, ეს არის ცხოვრების არსიც. ეს ცხოვრება რაღაც გარკვეულ, ჩვენივე შექმნილ საჩიხებშია მოქცეული. აი, ფეხს იიდგამ და მერე, სკოლაში წასვლას და მერე, ინსტიტუტს დამთავრებ, სამსახურს იშოვი, ოჯახს მოეკიდები, შვილები გაგიჩნდებიან, შვილებს დაზრდი, დააფრთიანებ, და უცებ აღმოჩნდება, რომ ცხოვრება გაფრენილა. გაფრენილა რაღაც არარეალურის მოლოდინში. ხოლო მაშინ? რაღა მნიშვნელობა აქვს ამდენ უძილო ღამეს, ტანჯვას, სიყვარულს, ერთგულებას? ნუთუ იმისთვის, მიხვედ, რომ ქვეყანაზე ყველაზე უკანასკნელი ბრიყვი იყავი?

— რას იზამ. ეს ზოგადი, დაუწერელი კანონია. ბალახი რომ ბალახია, ისიც ამ სისტემას ექვემდებარება — ჯერ გაღივებას ელის, მერე წვიმას, მერე ზაფხულს, მერე შეყვითლებას...

— და ქრება?

— ქრება...

— მე არ მინდა ადამიანის სიცოცხლეც ბალახს გავდეს... გაღივდეს, ალმოცენდეს, გაქრეს...

— აი, ასეთი მომწონხართ! — აღტაცება ვეღარ დაფარა ანდრიამ.

— მე კი სრულიადაც არ მომწონხართ!... — ცივად მოუჭრა ნინომ.

— მაშ, რა გინდათ, რომ გავაკეთო?

— დააბრუნეთ დრო... უკან... მოეალი ათი წლით!...

დიალოგი მეხუთე

ნაუშადღევს მზემ გამოიჭყიტა. ეს საკმარისი აღმოჩნდა ნინოს გასახალისებლად — იგი ზღვაზე წასასვლელად გაანეწყო. „შეიძლება?“ — ჰკითხა ანდრიას. „რა თქმა უნდა“. — მაინცდამაინც არ გახარებია ანდრიას. ცოტა ხანში ნინო და მამუკა საბანაოდ წავიდნენ. ერთხანს ანდრია იმ ოთახში ტრიალებდა, სადაც ჩიბუხების კოლექცია ჰქონდა გამოფენილი. მერე ქალაქში დარეკა. პროკურორი მოიკითხა. პროკურორს არ შეიძლება არ სცოდნოდა ვინმე წამალაშვილის „გულანდილობის“ ამბავი, პროკურორი ნათესავის ქორწილში პრძანდებოდა. ამან ცოტა დააშვიდა. „იქნებ მეც წავსულიყავი საბანაოდ? გულს გადავაყოლებდი“. მაგრამ ისევ უძრავად იჯდა — მოტეხილი, დაღლილი.

მეგი სადილის თადარიგს მორჩა და ქმრის ოთახისკენ გაემართა, გაოცებული იყო ქმრის უმოქმედობით. შესაფერის მომენტს უცდიდა და აი, გამოძებნა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვერ მიმხვდარვარ ... — დაიწყო სვენგბ-სვენგბით (ღელავდა). — ნუთუ მართლა შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი რამ?

ანდრია ფანჯარასთან მივიდა. აქედან კარგად ჩანდა მთელი ნაპირი და ოქროსფად დაფერილი შორეული ბორცვები. რა დაინახა მან იქ, ლურჯად აპრიალებულ ჰორიზონტზე?

მეგი გვერდით დაუდგა.

— იქნებ წასულიყავი ქალაქში? — უთხრა, — ბოლოსდაბოლოს, საქმე ხომ შენს ავტორიტეტს ეხება?

— რა უნდა მოვიმოქმედო? — არც შერხეულა, ისე თქვა ანდრიამ.

— ნახე გამომძიებლები ... ხშირად ხდება. არევ-დარევენ ხოლმე ყველაფერს ...

— მეშინია.

ცოლი შეცბა. ნუთუ მომეყურა? — გაუელვა მას.

— მეშინია. — გაიმეორა ყრუდ ქმარმა.

— რა ოქვი?

— თვალწინ იმ ბიჭის ცოლი მიდგას. ფერმკრთალი, უნუგეშო. აქეთ-იქიდან პატარა ბავშვები რომ ამოუყენებია. ხოლო ერთს, ყველაზე უმცროსს, ცალი წინდა ჩამოჩაჩვია და ვერაფრით ვერ მოუხერხებია მისი აწევა. აი, იმ ბავშვის მეშინია.

— შენ რა შუაში ხარ? თუ მართლმსაჯულების მთელი სიმძიმე შენ გადევს მხრებზე?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს. ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე ეფიქრობ, მეც ხომ მყავს ჩემი მსაჯული — ჩემი სინდისი!

ქალი ერთიანად დაიძაბა. ნუთუ ისევ მოეყურა? ნუთუ მის წინ იდგა ის შეუვალი, პირფთვნელი, ბობოქარი ჯაბადარი, მისი სათაყვანო მეუღლე?

— შენი სინდისი? — გაიმეორა ქალმა თრთოლვით. — განა იგი გამტყუნებს?

ქმარს ცივად გაცრა ტანში.

— ეჰ, მეგი, მეგი... ყოველთვის მოაცებდა შენი ლოგიკა. შენ ეზრს კი არ გამოთქვამ, არამედ ბეჭედს უსვამ თითქოს.

— ეს იმიტომ, რომ სიმართლეს ვამბობ მუდამ!

— როგორც დღეს ნახე, ზოგჯერ აუკარა ჭეშმარიტებაც მცდარია თურმე!

— ნეტა ეს ყველაფერი კარგად დასრულდებოდეს ... რაღაც ცუდად გამოიყურები. ხომ არ შეგცივდა?

— არ მცივა.

— სარკმელს დავხურავ.

—არ მცივა-მეთქი! — გაღიზიანება დაეტყო ანდრიას. — ბოლოსდაბოლოს აკვარიუმში ხომ არ ვცხოვრობ. უფმცა ეს სახლი აკვარიუმს მაგონებს — თბილი, ზომიერი ტემპერატურით ... მყუდროებით ...

— რამდენადაც მახსოვს, შენ ყოველთვის ამ აკვარიუმის მიღმა რჩებოდი...

— ბატონო?!

— შენ ფიზიკურად იყავი ჩემთან... ხელშესახებად ... სული კი ...

— გზა. — წამოიძახა ანდრიამ, ერთბაშად შემობრუნდა და ცოლს დაეშტერდა.

ქალი აირია, მაგრამ არ შეეპუა.

— მთელი ცხოვრება სილაზე კაშენებდით კოშკებს... ცალ-ცალკე...

— ნუთუ?! — ისევ შემოტეხილად აკვირდებოდა ქმარი, — თუკი ამდენს გრძნობდი, რა გიშლიდა ხელს, რომ...

ცოლი მაშინვე მიხვდა, რის თქმას აპირებდა მამაკაცი და მოჭრა:

— მიყვარდი!

— გიყვარდი? — ახლა მამაკაცის გაოცების ჯერი დადგა.

— ახლაც მიყვარხარ ... ჩვენი ბიჭის დაღუპვის შემდეგ ... ჰო, სწორედ მისი დაღუპვის შემდეგ, კიდევ უფრო ახლობელი გახდი რასაც მე ვიტან! რომელი ქალი მოითმენს შენს უცნაურობებს! მაგრამ რომ არ მომეთმინა, დაგკარგავდი! ისე რომ ამ სიახლოვისთვის ყოველთვის ვიღებდი მსხვერპლს ...

გიორგი სანაძერაძე
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რაღაც არ შემიმჩნევია.

— მაშ, ჩემი პატივმოყვარეობა? .. იგი წვეთ-წვეთობით გამოწურე შენ.

— მე?! — თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა ანდრიამ. — მე, რომელიც შენს ყოველ კაპრიზს ვასრულებდი...

— რას ეძახი კაპრიზს? ამ აგარაკს? კეთილდღეობას? იმას, რაც ყოველი ადამიანისათვის აუცილებლობას წარმოადგენს? დიახ, მე ვამაყობ, რომ ქარაფშუტა მეოცნებისაგან შეგქმენი დიდი ადამიანი ...

ეს უკვე მეტისმეტი იყო! აი, ახლა, აი, ახლა იფეთქებდა მისი ყოველი ნერვი! მაგრამ თითონაც გაუკვირდა, მშვიდად რომ წარმოსთქვა:

— იქნებ პირიქით მოხდა ეს? ნუ ჩავსდევთ ამას...

მაგრამ ქალი ისევ უტევდა.

— შენ ყოველთვის დაუნდობელი იყავი ... შეუბრალებელი ... ხანდახან ვულგარული ... მე ძძულდი!

— აკი, მიყვარდიო?

— ძძულდი და მიყვარდი.

მამაკაცმა ჩაიცინა. ოჰ, ეს ქალები! როგორც მოებრიანებათ, ისე ჭრიან და კერავენ!

— საინტერესოა, რა მოგცა ამ ორი გრძნობის ნაზავმა... — თქვა ბოლოს.

— ხომ გითხარი, ჩემი გთველილი პატივმოყვარეობა-მეთქი!

— მე მგონი პირიქითაა!—ამ მოულოდნელმა პასუხმა დაანცა ანდრია.

— პირიქით? რას იიჩემე ეს სიტყვა?

— სწორედ რომ პირიქით, მაგრამ ახლა ეს არ მაინტერესებს. ვგრძნობ, მთელი ამ საუბრის ქვეტექსტს და შინაგანი ხმა მკარნახობს — გაჩუმების დროაო.

— შინაგანი ხმა? შენ განა გაგაჩნია იგი? მეგონა, სულის მაგივრად კოდექსების კომპლექტი გედო ... მუხლი ესა და ეს ... პარაგრაფი ესა და ეს .. და ასე ყოველდღე, მთელი ცხოვრება ... სულ მგონია, რომ ახლობლებთან ურთიერთობებსაც კანონს უქვემდებარებ.

— წარმოიდგინე, რომ არის ბევრი რამ, რაც კანონს არ ექვემდებარება...! — თქვა ანდრიამ.

— მაგალითად? — იკითხა მეგომ

— გაფრენილი წლები.

მეგი გაფითრდა.

— ჩემთან გატარებული წლები?!

— მე ეგ არ მითქვამს. ვთქვი, წლებიმეთქი! წინდაწინ ხომ ვერაფერს განსჭვრეტ. ადამიანის ტრაგედიაც აქედან იწყება. მან ვერ ისწავლა თავისი ცხოვრების მართვა. როგორც კი საშუალება მიეცემა, მაშინვე კარგავს წონასწორობას. ნელა, შეუმჩნევლად ეშვება ფუფუნების მორევში ...

—ვერ გავიგე, რას ეძახი შენ მორევს ... ჩვენს ცხოვრებას?

— ჩემს ცხოვრებას!

— და ამას ამბობ შენ?

ანდრიამ შორს გაიხედა. იგრძნო, როგორ მოაწვა სისხლი.

—მე! მე! მე! — იყვირა. იყვირა და მაშინვე დამშვიდდა. იქნებ ცოლის შეშფოთებული მზერა დაიჭირა და შეეცოდა? — მე რაღაც დავკარგე, მეგი, — თქვა შეცვლილი, ლბილი ხმით. — იყო დრო, როცა ჩემს წინ იდგა მოპასუხე ... დამნაშავე ... კანონის ყველა პუნქტით დამნაშავე. უნდა დასჯილიყო — აქედან აქამდე. მე კი ვხედავდი მის სახეს, თვალებს, გამომეტყველებას, და ვგრძნობდი, რომ არ იყო დამნაშავე. რაც გინდა ის დაუძახე ამას — ემპირიზმი, რწმენა, ინტუიცია, შინაგანი ხმა, თუ კიდევ რაღაც უცნაური ტერმინი, ეს მთავარი როდია. მთავარი ამ თვისების შენარჩუნებაა. მე ვერ შევაჭელი ეს. იქნებ იმიტომ გეჩვენება, რომ პარაგრაფებით ვაზროვნებ?

— მაპატიე, უნებურად მომივიდა.

ანდრიამ ზღვიდან ამოსული ორი სელუეტი დალანდა.

—იქ, ზღვაზე ჩვენი სტუმრები არ არიან? — იკითხა მოულოდნელად.

— მაპატიებ, ხომ? — განგრძნო ქალმა.

—რა, განა შეურაცხყოფა მომაყენე?

— შენ თავს იკატუნებ, ანდრია! — ეწყინა ქალს. — ეს შენი ერთ-ერთი მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოდია. გინდა მიჩვენო, რომ არარაობად მთვლი.

— რაო? — ნაპირს თკალს არ აცილებდა, ისე იკითხა ანდრიამ. — არარაობად მთვლიო? ჰმ ... განა შეიძლება ჩემისთანა კაცს არარაობა უყვარდეს?

— და ისევ ბანზე ააგდო სიტყვა. — ჰო. ნინო და მამუკა ყოფილან! ეს ნინო სულ პავშვია. ნახე, როგორ დარბის! საწყალი მამუკა!

— გიყვარვარ? — მოულოდნელი სიხარულისაგან სულ ჩაუწყდა ქალს ხმა. — რა თქვი? .. გიყვარვარ?

—შეიძლება.

— შენ სინანულით თქვი ეს, — ამოიოხრა ქალმა. — მთელი ცხოვრების მანძილზე — პირველად, და ისიც — ნაღვლიანად ...

— შენი უბედურება იცი რა არის? ჩვეულებრივი სიტყვების მიღმა თავისებურ გაგრძელებას ეძებ ...

— ცუდი ცოლი ვარ, ხომ?

ანდროს გულწრფელად შეეცოდა იგი. გაღიმა.

— ძალიან კარგი ხარ, დამშვიდდი.

— მომეცი პირობა, რომ ხანდახან გაიმეორებ ამას ...

— რომ ძალიან კარგი ხარ?

— ჰო.

— ეგ რაღა საჭიროა?

— ყველა ქალი ყვავილეთია. რაც უფრო ეფერები, უფრო ლამაზდება ...

— მაგრამ შენ არასოდეს მაძლევედი ამის საშუალებას. მუდამ გამირბოდი. — თქვა კაცმა.

— შენ სცადე განა? — გულის სიღრმიდან დაგუბებული ნაღველი ამოიღო ქალმა. — სცადე განა? არ გიცდია!

— მეტი არაფერი უთქვამთ, რადგან ეზოში შემოსული ნინო და მამუკა დაინახეს.

„წავალ, კარს გავაღებ“. — გაიფიქრა ანდრიამ.

... მამუკა ძლივს იდგა ფეხზე.

— სკამი! — იყვირა მან შორიდან.

— სკამი მომეცით, თორემ წავიქცევი, — ანდრიამ რომ დაინახა, ყესტით ანიშნა, გავთავდიო. — ეს გოგო ... ჰო! მწვალებელია! უზურპატორი! რაც მაგან მარბენინა! ...

— ვალიდოლი ხომ არ გინდა? — გაიცინა ანდრიამ.

ნინო დამცინავ მზერას არ აცილებდა მამუკას.

— ანდრია, — სულს ძლივს ითქვამდა მამუკა, — მომაცილე ეს გოგო. ეს მაცდური! ეს მონსტრი!

ნინომ გადაიკისკისა.

— და ეს კაცი მეტრაბახებოდა, შენი გულისთვის, „ანდრიის კლდიდან“ გადავხტებიო ...

ანდრიამ გაოცებით შეხედა მამუკას.

— თუ თქვა, გადმოხტება კიდეც ...

— არა, ძმაო, აღარ მინდა ახალგაზრდობა. დავბერდი! — გაიცინა მამუკამ.

— რა, განა ახალგაზრდობაში გადმოხტარხარ? — ჰკითხა ანდრიამ.

ნინომ გულზე გადაიჯვარედინა ხელები.

— თქვა, გადმოვხტიო.

— რაც თავი მახსოვს, ერთმა კაცმა შეძლო ეს ... — ჩაფიქრებით თქვა ანდრიამ.

მამუკამ ნინოს შეხედა.

— ვიხუმრე, ნინო, — თქვა მან.

— მეც მაშინვე არ დაგიჯერეთ? — გაიცინა ნინომ.

— იბანავეთ? — იკითხა მეგომ.

— ოპ, ქალბატონო მეგო! — ძლივს შეამჩნია ოჯახის დიასახლისი მამაკაცებთან საუბრით გართულმა ნინომ. სახე გაუბრწყინდა — წყალი დიდებული იყო!

— შენც იბანავე, მამუკა? — იკითხა მეგომ, სიტყვა „შენც“ არ მოეწონა ანდრიას. ცხადია, ცოლი მის ასაკსაც გულისხმობდა, სიბერისკენ ქაჩავდა.

— მე მგონი, კი ... — თქვა მამუკამ.

— ერთი დაგიკვნესია და მეტი არაფერი მინდა! — ღიმილით დაიმუქრა ქალი ...

ანდრიამ ცოლის სიტყვები გონებაში

გიორგი სანაძირაძე
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმეორა. გაიმეორა. კი არა, უფრო გადაამრავლა, ყველა უჯრედით აღიქვა და უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. ცოლმა რაღაც უხილავ საჩიხში მოიმწყვდია იგი.

— თქვენ რატომ ხართ მოწყენილი?

— ჩაესმა ნინოს ხმა.

— შეიძლება გადავიღალე...

—კი გადაიღალა,—მიეშველა ცოლი.

— გადავიღალე, — გაიმეორა ანდრიამ. — რაღაცნაირი ჩახუთული ამინდია. უცებ ცოლს მზერას წააწყდა.

—დახე, წყალი კარგი ყოფილა თუ-რომ ... — თქვა უცებ და უხილავი საჩიხიდან გაღწევა დაიპირა. — იქნებ მეც მებანავა, ა?

— ანდრო! — ბრძანება და გაფრთხილება გაისმა ქალის ხმაში.

— ნუ გეშინია, არაფერი მომივა! — თქვა ანდრიამ და მეორე ოთახისკენ გაემართა. იქ მას საბანაო კოსტუმი ეგულებოდა. მეგომ მამუკას შეხედა. მამუკა უკმაყოფილოდ წამოდგა.

— რა, გეშველებათ, მე რომ არ გყავდეთ! ... თქვა და ანდროსკენ გაემართა.

დიალოგი მეექვსე

მეგომ მაცივრიდან სურა გამოიღო და ნინოს წყალი დაუსხა.

— არაფერია იმაზე საშინელი, როცა მამაკაცი ბერდება და არ უნდა დაიჯეროს, — თქვა მან.

— რას ამბობთ! — სვენებ-სვენებით მოსცა ნინომ წყალი. — თუ ბატონ ანდრიას გულისხმობთ, იგი ყოველ ჩვენთაგანს ფორას მისცემს.

— რას ნიშნავს, „ფორას“ მისცემს?

— აი, როცა გრძნობ, რომ აშკარად ჯობნი.

მეგომ ნაძალადევად გაიცინა.

—ეგ არ გააგონოთ ჩემს ქმარს ... — თქვა და უცებ ეჭვმა გაკენწლა. — იქნებ თქვენც გინდოდათ საბანაოდ წასვლა? იქნებ ჩემი მარტოდ დატოვებისა გერიდებათ? მე მიჩვეული ვარ სიმარტოვეს.

— რას ამბობთ. მე მამუკას ვაჯავრებდი, თორემ ისე, გამოგიტყდებით — გვარიანად დავიღალე. იქნებ თქვენ რამე საქმე გაქვთ?

— ო, არა ...

— თქვენთან ისეთი სითბოა, ისეთი სიმყუდროვე! წარმომიდგენია, რამდენი მოშურნე გყავთ...

მეგომ ისე ამოისუნთქა, თითქოს გული ამოაყოლა.

— არა, ჩემო ნინო, ჩვენი აღარავის აღარ შურს ... აი, შვილი, რომ გვყოლოდა, მაშინ სხვა იყო ...

— ალბათ, ბატონ ანდროს არ სურდა ...

— ჩვენ გვყავდა შვილი ... დაგვეღუპა.

— მაპატიეთ, მაპატიეთ! არ ვიცოდი ... არაფერი ვიცოდი! — დაიბნა ნინო.

—მას მერე დიდი დრო გავიდა. — კედელზე მოთავსებულ შვილის სურათს შეხედა ქალმა. — ჩვენ თითქოს შეეჩვიეთ ამ სიჩუმეს.

— მე კი საოცრად ვხმაურობ, ალბათ, — შერცხვა ნინოს.

— იხმაურეთ ... იცინეთ ... იმხიარულეთ! მე გეტყვით საიდუმლოს — ჩვენ ველარ ვიტანთ მარტოობას. ეროი ხანი, შინ მოსვლა დაგვიანდებოდა თუ არა ანდრიას, უკვე ვიცოდი — სტუმარს მაწვევდა.

—ალბათ, ბევრი მეგობარი გყავთ!

— ანდრო მხოლოდ მამუკას ეუფლება... იგი პატიოსნების ეტალონად მიაჩნია.

— რატომ არ შეირთო მამუკამ ცოლი?

— ჰყავდა ... მაგრამ ... ქალმა უღალატა.

— რა სიმდაბლეა! — აღშფოთდა ნინო. — წარმომიდგენია, რა ტრაგედია იყო ეს მამუკასათვის. ჩემი ნება რომ იყოს, ასეთ ქალებს ნელ ცეცხლზე ვაწამებდი! მაგრამ, მე მგონი, ამითაც ვერ ვამაილებ ტკივილს...

—თქვენ სასტიკი ყოფილხართ!

— ამ შემთხვევაში მხოლოდ! სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს საშინელი უმწეო ვარ, მხდალიცა. ჰო, მართალია, სულ მინდოდა მეკითხა, რად ჰქვია იმ კლდეს „ანდრიას კლდე?“ რაიმე ისტორიული ადგილია?

მეგის სახე გაუნათდა. მთები! რა ლამაზად დაუფერავს მთები შემოდგომისეულ მზეს! შემობრუნდა. ძლივს შესაჩჩევი ღიმილი დასთამაშებდა.

—ეს მეტად უცნაური ამბავია! — თქვა ჩუმად. — გადმოცემით, იმ კლდიდან ყველაზე უშიშარი, ყველაზე გაბედული რაინდები ხტებოდნენ თურმე... ის ვინც ამ კლდიდან ვერ გადმოხტებოდა, არ შეიძლება ხალხის წინამძღოლი ყოფილიყო...

ნინო დაძაბული უსმენდა.

— მაგრამ აქაურთაგან არავის ახსოვს, იმ კლდიდან გადმოხტარიყოს ვინმე ... ვიდრე, ჩვენი ქორწინების მეორე დღეს, მეტად საპასუხისმგებლო პროცესის წინ, ანდრია არ გავიდა კლდეზე...

— ბატონი ანდრია?! — გაოცებით ეკითხა ნინომ, — იმ სიმაღლიდან?!

— სიმართლე გითხრათ, ამას არც მე ველოდი ანდრიასაგან. მან მითხრა: „ვინდა გადავხტე ამ კლდიდან?“ „მინდა“. — ეუთხარი. „მაშინ იწამებ, რომ ნამდვილი წინამძღოლი ვარ?“ „ცხადია“. — გავუღიმე. მეგონა ხუმრობა. მეგონა ისე, თავის მოსაწონებლად ავიდა კლდეზე. წარმოდგენა არა მაქვს, როგორ მოხდა ეს ... იგი გასწორდა, თითქოს გასაფრენად ემზადებაო და ვიდრე რამეს ვიტყოდი, უკვე უცნაური კიენით მიჰქროდა ქვევით, ზღვისაკენ ...

— და სულ არ შეეშინდა? — თვალები გამიმწვეივად უბრწყინავდა ნინოს.

— მე შემეშინდა ... ჩემამდე გვიან მოაღწია გარდუვალი მარცხის შეგრძნებამ. და როცა ჩემს გარშემო შეგროვილი ხალხი დავინახე, კიდევ უფრო მომეწურა გული.

— მამ. თქვენ უკვე დაქვრივებულიხარ? წარმოიდგინეთ თავი? — გაიცინა ნინომ.

მეგიმ ისევ მთებს გაუხედა.

— ოო! ეს საშინელება იყო. საშინელება, რომელიც მერე სიამაყის გრძნობამ შეცვალა.

— ვინ არ იამაყებს ასეთი ქმრით! — წამოიძახა ნინომ.

— მერე მე ვიიძულე. სწორედ ამ დაბაში დავსახლებულიყავით, რათა ყოველდღე, ყოველ წამს მეცქირა კლდისთვის... მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა თურმე ... როცა ეს ადარაკი ავაშენეთ, მერე ოშვიათად წავსულვართ კლდეზე. ხოლო ბიჭის დაღუპვის შემდეგ, სულ დავკარგე ყველაფრის ხალისი.

— თქვენ კიდევ იქნებით ბენდიერი! მეგის თვალებში ნაპერწკლებმა გაიციმციმეს. რა გაფიქრა მან? რად მოწკურა თვალები ასე უცნაურად?

— იმედი მაქვს, აწი ხშირად ჩამოხვალთ. — თქვა მოულოდნელად.

— თუ ბატონი ანდრია თავისთან გადმომიყვანს სამუშაოდ... — თქვა ნინომ.

„აჰა, — გაბრწყალა მეგის. — აი, თურმე რამ მოიყვანა ეს გოგო!“

— თვითონ რა გითხრათ?

—მან არაფერი იცის.

— ვერ გაუბედეთ, ხომ? — იკითხა მეგიმ. — არაფერია. მე მოგეხმარებით...

რა გამოხატეს ნინოს თვალებმა? აღტაცება? სიხარული? იქნება ეს გამონაშუქი მოჩვენებითი, ყალბი ქესტის ნაყოფი გახლდათ?

— ოო! ქალბატონო მეგი! — თქვა ნინომ.

მეგიმ ცივად მოიშორა მისი ხელი.

— ჩემს ადგილას სხვაც იგივეს გააკეთებდა, — თქვა მეგიმ.

— ნუთუ ყველამ მიგატოვათ? — იკითხა ანდრიამ.

— ქალბატონი მეგი ყავს ხარშავს ... — თქვა ნინომ. — მამუკა რაღა უყავით?

— დაბის ბოლოს ვიღაც ბავშვი გამხდარა ავად ...

ბიოგრაფი სანადირაძე
მთელი სიცოცხლე და ერთი დღე

დიალოგი მეუფიდან

— ნუთუ ბატონი მამუკა ასე პოპულარულია, რომ გამოჩენისთანავე იცნეს?

— სოგარეტის საყიდლად შევიარეთ სასადილოში და იქ ვნახეთ ბავშვის მამაც ... ქალაქში რეკავდა ... საცოდავი შესახედავი იყო ... ჰოდა, მამუკა წაჰყვა.

—რაიმე სერიოზულია?

— ალბათ. მაგრამ იქ ახლა მამუკაა.

— მეხარია, რომ ასე ფიქრობთ მამუკაზე!

— ვფიქრობ? — დაეკითხა ანდრია — მწამს!

ანდრია ერთხანს სარკმელთან იდგა. ეს ხომ მისი საყვარელი პოზა იყო, — ხელები — რაფაზე, მზერა — შორს მიმართული. ესაა ოღონდ, მანტია არ ეცვა.

— ისეთი შეგრძნება მაქვს, რაღაც გაწუხებთ ... გაღიზიანებული გამოიყურებით ...

ანდრია არც შერხეულა — მისი ფიქრი საღღაც შორს ტრიალებდა.

— სამანოდ წასვლაც თითქმის შინაგანი პროტესტის ნიშნად აიჩემეთ. — განაგრძო ნინომ. — თქვენ ხომ (ეგეც მითხრა) ამ ზაფხულს ერთხელაც არ ყოფილხართ ზღვაზე.

— აბა, ეგ რა არგუმენტია! — გამოერკვა ანდრია.

— მახსოვს, თქვენ მითხარით, ძალზე მტკივებული და გასრესილი მგონია თავიო. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება დასცდეს ასეთი რამ ძლიერ, უშიშარ ადამიანს ...

— არც ისეთი გაბედული ვარ, როგორიც გგონიათ!

— ნუ იკატუნებთ თავს! — გაიცინა ნინომ.

ანდრიამ მიაყურადა ამ სიცილს — მაჩიტელების მინდორში ქარის გარბენა გაახსენდა.

— თქვენ კიდევ დარწმუნდეთ, რომ შეცდით. — თქვა უხალისოდ.

— ალიბი გნებავთ? — გასწორდა ნინო. — „ანდრიას კლდე!“.

— წარსული არ შედის სათვალავში!

— რატომ? იგი აქვა, ჩვენს წინ ... ხელშესახებად — ოღონდ თქვენ [illegible] დომეთ ...

— ოჰ, ეს ახალგაზრდობა! სიკალი აუვარდა ანდრიას. იცინოდა დიდხანს, თავშეუკავებლად, გულღიად. ნინო გაკვირვებული უყურებდა ანდრიას. ანდრია კი, თანდათან დამშვიდდა და კიდევ უფრო გაიოცა ნინო.

— და ამას თქვენ მეუბნებით? — თქვა მან. — მე, მშამრას, რომელსაც უკან მოხედვაც მაკბენებს! დაჯექით, ნინო ... მე რჩევა მინდა გკითხოთ ...

— ერთი პირობით, ნუ შეეცდებით დამცირდეთ ჩემს თვალში. მაინც არაფერი გამოგივა...

— თქვენ ხომ იურისტი ხართ, — დაიწყო ანდრიამ.

ნინომ შეაწყვეტინა. — მე არასოდეს ვიქნები იურისტი, მე იურიდიული ცოდნა მივიღე მხოლოდ. ისე რომ ...

— რჩევა მინდა გკითხოთ, — განაგრძო ანდრიამ. — როგორც მეგობარს, როგორც ახლობელს.

— გისმენთ ... — მორჩილად დახარა თავი ნინომ.

— ვფიქვთ, თქვენ ბაქვლ განუზომელი უფლება ... თქვენ განდეს განაჩენის გამოტანა ... თქვენ კი მცდარი განაჩენი გამოიტანეთ. რას მიუზღავდით ასეთ ადამიანს?

— ეს ანგარებით იყო გამოწვეული?

— არა.

— მაშ, სიკეთით?

— არა ... სავსებით სეიტრალური იყავით და შეცდით. შეცდეთ, იმიტომ რომ თქვენს ადგილას ყველა შეცდებოდა.

— აბა, ეგ რა შეცდომაა.

— მაგრამ ამ შეცდომის ფასად დაჯდა უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე. და მისი სიცოცხლე თქვენს სინდისზეა.

— თქვენ რა, მცდით? — გაიცინა ნინომ. ანდრიას მეტად მკაცრი სახე ჰქონდა.

— როგორ მოიქცეოდით? — ფოლადმა გაიელვრიალა მის ხმაში.

ნინო შეცბა. კარგა ხანს იდგა ასე — სათქმელს ეძებდა.

— არ ვიცი ... — იპოვა გამოსავალი. — ეს ძალზე რთული საკითხია. — და ეცოდა იყვინა — ღმერთო! ეგ რაღაცა-რაღაცას ეხვედები. ბატონო ანდრია! ნუთუ?

ანდრია გაქვავებული იდგა.

—ჯერჯერობით არაფერი ვიცი ... მე მხოლოდ ეგვი მაწუხებს ...

— ეგვი თუ ფეტეთი არაა მომავრებული, სასამართლო არ იღებს მზედველობაში... — თქვა ნინომ.

— რა ბედნიერებაა, როცა ცხოვრება წინა გაქვს! —სინანულით წარმოსთქვა ანდრიამ.

— თქვენ? — გამომცდელად მიაჩერდა.

— „და ყველაფერი როგორ ნაზდება, როცა ახლოა მზე შემოდგომის", — ჩაიჩურჩულა ანდრიამ.

— იცით, ახლა კიდევ ვნანობ, რომ მთელი ათი წელიწადი ველოდი ამ დღეს... — არ მოეწონა ანდრიას ქირქილი ნინოს.

— ნანობთ? — თითქოს შორიდან იკითხა ანდრიამ.

— აბა, რა სასიამოვნოა, როცა ყოველისშემძლე, სათაყვანო ადამიანის ნაცვლად მისი აჩრდილი შეგრჩება? მე ახლა არც მჯერა, რომ იმ კლდეს თქვენი სახელი ჰქვია. ეს ხომ უკვდავებაა!

— აბა, ეს რა უკვდავებაა! — ხმა დაეძეძა ანდრიას. — ამას ყველა თავზე ხელაღებული გააკეთებს. რა დიდი გმირობა უნდა — შედექი კლდეზე, გაშალე ხელები და ფრრრ!

— მაგრამ ეს თქვენს გარდა, არავის გაუკეთებია! — წამოიძახა ნინომ.

— მოიცათ, ხომ არ ფიქრობთ, რომ განსაკუთრებულ, რაღაც რჩეულთა კატეგორიას ვეკუთვნი? მე ჩვეულებრივი რეგვენი მოსამართლე გახლავართ, ჩემო ძვირფასო, რომელსაც გულის ნაცვლად კოდექსთა კომპლექტი უდევს: მუხლი ესა და ეს, პარაგრაფი ესა და ეს ...

ნინო რომელიღაც წერტილს დააშტერდა.

— საიდან სად დაეშვით! — თქვა ნაღვლიანად. — ახლა ვხედავ თქვენ, შეცდომის მიზეზს. — თქვენ საკუთარი თავის რწმენა დაჭაოდეთ!

— ო, ეს ძალზე მცდარი განაჩენია! ნაჩქარევი განაჩენი! — ანდრია ბოლოთის ცემას მოჰყვა. მის ვეება ტანს თითქოს არე არ ჰყოფნიდა სასტუმრო ოთახში. შედგა. ნინოს დააკვირდა. — რა თქმა უნდა, ეს ნაჩქარევი განაჩენია! მომეცით დრო, შეიძლება გამოვსწორდე კიდევ...

ნინომ გამომწვევად გაიღიმა.

— დამიბრუნებთ დაკარგულ წლებს?

— არ ვიცი ...

— გადმოხტებით კლდიდან?

— ო, მე მგონი, ეს ჩემს ძალას აღემატება. სამაგისოდ დავბერდი.

— რა სისულელეა. ეს ხომ სულაც არაა ძნელი, შედგებით კლდეზე, ხელებს გაშლით და ფრრ ...

— მაშ, ანდრია ანდრიას წინააღმდეგ? — იკითხა მამაკაცმა. — მეტად დაუნდობელი ორთაბრძოლა იქნება.

— მე მეტს ვერაფერს გირჩევთ.

ანდრიამ სარკმელში გაიხედა.

— რატომაა, რომ ახალგაზრდობა ყოველთვის დაუნდობელია? —იკითხა.

— ეს ახალგაზრდობა კი არა, ცხოვრებაა!

— იგი მოულოდნელად გამოგეცხადება ხოლმე და კატეგორიულად ითხოვს, ან გაჰყვე, ან ჩამოსცილდე ... —

—რატომ! — მბრეი აიჩეჩა წინომ. — თქვენ გაქვთ თქვენი გზა, თქვენი ოჯახი, მოვალეობანი ....

ანდრია გაფითრებული იდგა.

— საჭირო ვარ კი მათთვის ასეთი, გაუბედავი, უსულგულო?

ნინომ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ოთახში შემოსული მეგი დაინახა.

— ჩემმა ქმარმა არ მოგაბეზრათ თავი? — იკითხა მეგიმ.

— რას ამბობთ! — წამოიძახა ნინომ.

— სთხოვეთ დალიოს ასკილის ნაყენი. აღარ მიჯერებს. — თქვა მეგიმ.

— თქვენ ოჯახ, ხართ? — ანდრიას შუბედი ნინომ.

— თირკმელები! — ანდრიას მაგვარად გასცა პასუხი მეგომ.

— არ დაუჯეროთ! — იყვირა ანდრიამ.

— რა ხდება აქ? — გაისმა მამუკას ხმა. მეგის გაეხარდა.

—არ იქნა და ვერ დავალევინეთ ნაყენი! — გაიცინა ნინომ. მეგომ დაასკვნა: ეს გოგო საშინელი მეტიჩარაა!

— აბა, ეინ არ სვამს ნაყენს?! — დაიბუზუნა მამუკამ.

ანდრიამ უკმაყოფილოდ გაეკნია თავი. — ერთი თქვენიო და ორაზეზე გავიდა.

დღე იწურებოდა. ჰორიზონტს მეწამული დასდებოდა და მეთვეზეთა ნავები თეხთეხთით შემოდიოდნენ ბოლაზში.

— როგორაა ბავშვი? — ეს ნინომ ჰკითხა მამუკას.

—ბავშვი?

— თქვენ ხომ ბავშვის გასასინჯად წახვედით?

— აჰ, ჰოო! — ეტყობა მამუკა სხვა საფიქრალით იყო გართული და ძლივას გამოერკვა — პანიკა მეტია, ვიდრე საფრთხე...

ანდრიამ თავი მოაბრუნა, — უკეთ, მან იგრძნო, როგორ გამოერკვა მასკენ მამუკა. — ჰო! — განაგრძო მამუკამ, განაგრძო ანდრიას საყურადღებოდ. — პანიკა საფრთხეზე მეტია ... როგორც შენს გახმაურებულ საქმეში...

ანდრიამ გამომცდელად მიიჩერდა მამუკას.

— რაღაც ვერ გაიგე ...

— რა გაგება უნდა, — ჩაიცინა მამუკამ. — იმ შენს რატის ხომ მართლა აურევია ყველაფერი ... მერე კი გაუკვეთია... მაგრამ... ანდრიას მზერა უსაზღვრო გაოცებას გამოხატავდა.

— თვით რატომ მითხრა ... — განაგრძო მამუკამ.

— რატომ? — ძლივს დაძრა სიტყვა ანდრიამ.

— ხომ იცი, რა ბედიცა მაქვს! — აგდებულად, სასხვათაშორისოდ დაიწყო მამუკამ. მან ხომ ასე იცის — ყველაზე მნიშვნელოვან ამბავსაც გაატფასურებს. ანდრია ხარბად იჭერდა მის ყოველ სიტყვას. რაო? ყველაფერი აურევიაო? საიდან გიგრო ეს მამუკამ? აბა, როცა ავადმყოფი ბავშვის ოჯახიდან ბრუნდებოდა, გზად შეხვედრია თურმე ... „ალერ, შემთხვევით არ გადადეკარე თქვენ „აპოლონჩიკს?“ — თქვა მამუკამ. შეცოდებია თურმე „აპოლონჩიკი“, ისეთი აღელვებული და შეწუხებული ყოფილა ...

— საწყალი ბიჭი! — განაგრძო მამუკამ. — იცი, რა არის ამ თაიბის ღირსებაცა და ტრაგედიაც? მათ მოუთმენლად უყვართ და მოუთმენლად სწყურთ. იგი, ასევე მოუთმენლად ელოდება შენს პატიებას...

ოიოქოს ახლა პირველ მამუკას ნაოქვამს, თიოქოს ახლა გაცხრილა მისმა შეგნებამ უმთავრესი აზრი — მაშ, არაფერი ყოფილა საგანგაშო?!

ოთახში მყოფნი წამითაც არ აროდებდნენ თვალს. ანდრია უაზროდ იქნევდა ჩიბუხიან ხელს. სახე ასწითლებოდა. საფეთქელთან ლურჯი ძარღვი გამოებურცა.

— რა ბრიყვი ვარ! — ფიქრობდა ანდრია. — მაინც როგორ შემეპარა ეჭვი? — უცებ თავი ასწია. ჩიბუხი მაგიდაზე დაბერტყა.

—ლაწირაკი! ბრიყვი! — იღრიალა. — და თქვენ გინდათ ყოველივე ამის შემდეგ ამ ბრიყვს თავი გავუყადრო? — იგი ისე შეწუხებულია! — თქვა მამუკამ.

— მაგრამ მე? ჩემზე რატომ არ ფიქრობ? — თვალებით გაკვეესა ანდრიამ. — რატომ არ ფიქრობ, თავისი წინააღმდეგობით, რა ნალექი დამტოვა? მე კი ჩემს შემცველად ვამზადებდი! აი, ჩემი დიდსულოვნების ნაყოფი!

— შეცდომა ვის არ მოსვლია!

ნუტა, ეინა თქვა ეს?! აჰა, მეგის უთქვამს!

ანდრიას ზიზღი გამოეხატა სახეზე.

— მოსამართლის და ექიმის შეცდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის უკან ადამიანის სიცოცხლე დევს. სიცოცხლე-კი ერთხელ ეძლევა ადამიანს!

მეგი სარკმელს მიუახლოვდა, გადაიხედა.

— ჭიშკართან რატი იცდის ... — თქვა მან.

— გმაღლობთ! საკმარისია! — საოცრად მშვიდი, შეცკლილი ხმით წარმოსთქვა ანდრიამ. — სულაც არ მსურს ერთხელ კიდევ ვირწმუნო საკუთარი უმწეობა ... მე უფრო მნიშვნელოვანი საქმეები მაქვს მოსაგვარებელი...

მეგი დაიძაბა.

— მოხდა კიდევ რამე?

— მე მინდა ვიპოვო საკუთარი თავი!

მამუკამ მრავალმნიშვნელოვნად შეხედა მეგის.

— ანდრია ავადაა, მამუკა, — აღმოხდა ქალს.

— მაღლობა ღმერთს! რომ ამოიოხვრა! — თითქო დანაშაულზე წაასწრო, ისე გაეხარდა ანდროს. — მე მართლაც ავად ვარ. ჩემს ავადყოფობას, საპატიერიოდ, ვერაფერს უშველის მამუკა. — უცებ გაჩუმდა, განთიბული, გაბრწყინებული სახით მოთავალიერა ოთახში მყოფნი. თქვა:

— რას იტყვით, მე რომ ისევ გადმოვხტე კლდიდან?

მამუკამ — „გაგიჟებულა ეს ბერიკაციაო", — გაიფიქრა.

ნინომ აიტაცებით წამოიძახა: — ბატონო ანდრია!

მეგი ჯერ გაფიფრდა, მერე ცხელმა ალმურმა გადაკრა და ყბა ჩამოუვარდა.

— მე ვიხუმრე! — გაიცინა ანდრიამ. ზღვა მომენატრა ალბათ. თანაც უკვე მეორე დღეა, კახას საფლავზე არ ვყოფილვარ. ჯერ კახას საფლავს მოვინახულებ ... მერე ... მეგი, გეთაყვა, მიყავი საკეთე ... დაელაპარაკე რატის ... უთხარი, რომ ყველაფერი ვაპატიე ... შენ ეს ჩემზე კარგად გეჩერხება ... ჰოდა წადი ახლა ... ეხერხულია, ბოლოსდაბოლოს, მომავალ მოსამართლეს ვალოდინებთ ...

— მაშ, აპატიე? — ვერ დაიჯერა მეგიმ.

— ხომ გითხარი ვაპატიე-მეთქი...

თვალთმაქცობს. — გაუელვა ქალს, —თვალთმაქცობს. ეს, მისი ჩვეულებრივი მეთოდია. ნეტა, რა უთხრა მამუკას?

აჰა, აი, რა:

— ეს გოგო დიდი ვერაგია, უფრთხილდი!

— მე რაღა შუაში ვარ? — გაოცდა მამუკა.

— ისე ვთქვი ... — განაგრძო ანდრიამ. — იგი ოცნებასავითაა. ოცნებას კი გაფრთხილება უნდა... ისე რომ, ეცოტა ხნით დაგტოვებთ... მარტოდ მინდა ყოფნა — კარისკენ გაეშართა, შეჩერდა. კარის წრეთხლს მიეყრდნო. — სხვათაშორის, აქედან კარგად ჩანს მთელი ნაპირი.

— თქვენი კლდეც! — თქვა ნინომ.

— ვუყურებ ამ ნაპირს და საოცარ სიმსუბუქეს ვგრძნობ. — თქვა ანდრიამ.

— რა თქმა უნდა, — კეერი დაუკრა მამუკამ. — ყველაფერი კარგად დასრულდა.

— პირიქით, ყველაფერი ახლა იწყება! — წითლად ალაპლაპებულ ჰორიზონტს გახედა ანდრიამ. „დღეს შეპინდებისას, — გაიფიქრა მან. — შეპინდებისას ... უსათუოდ ..." საკუთარი გულისცემა ესმოდა, მთელს სხეულში უცნაური ერუანტელი უვლიდა, გაჰყურებდა სივრცეს, იქ, სივრცეში ამაყ, შეუვალ კლდეს ხედავდა მხოლოდ და უცებ მიხვედა, კლდე ეძახდა ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲘᲛᲘᲠᲐ ᲛᲐᲛᲔᲓᲝᲕᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲨᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ. ᲘᲒᲘ ᲓᲔᲓᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲘᲗ ᲐᲖᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲔᲚᲘᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲝᲛᲝᲚᲝᲠᲘᲐ ᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲔᲚᲘ, ᲛᲘᲡᲘ ᲨᲝᲛᲝᲚᲝᲠᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲐᲖᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲘ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲞᲐᲡᲞᲝᲠᲢᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲩᲐᲬᲔᲠᲔᲑᲓᲐ, ᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲤᲘᲪᲐᲠᲘᲗ ᲬᲔᲠᲐ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲗ ᲐᲠᲪᲣᲢᲘᲗᲘᲠᲘ ᲧᲝᲕᲚᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲐᲠᲩᲘᲕᲜᲔᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲮᲝᲕᲡ — ᲐᲜ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ, ᲐᲜ ᲐᲖᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲔᲚᲘ! ᲡᲐᲘᲝᲜᲘᲗᲐᲡ ᲡᲣᲚᲘ ᲐᲖᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲔᲚᲘᲐ, ᲡᲝᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲑᲘᲡ ᲐᲗᲐᲬᲚᲔᲑᲝᲕᲐᲜᲝᲡ ᲗᲐᲜᲐᲪᲮᲝᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲛᲮᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲘᲠᲔ, ᲐᲗᲐᲡ ᲞᲠᲘᲛᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘᲜᲘᲡᲮᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲯᲔᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲣᲯᲘᲗ. ᲐᲛ ᲛᲬᲘᲜᲐᲖᲔ ᲡᲐᲛᲔᲜᲘᲜᲒᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲝᲔᲢᲐ ᲐᲠ ᲧᲣᲯᲘᲠᲓᲐᲗ, ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲓᲐᲯᲔᲠᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲡᲝᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲯᲔᲠᲓᲘᲚᲘᲐ ᲐᲛ ᲞᲝᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ — ᲡᲝᲛᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲠᲩᲘᲚᲘᲐ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲖᲠᲘᲡᲮᲘᲐᲜᲔᲚᲘᲐ. ᲔᲛᲝᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲫᲘᲠᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲐ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲡᲘᲠᲑᲐᲠᲣᲚᲘᲐᲜ ᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲙᲐᲢᲠᲘᲐ. ᲐᲠᲪ ᲐᲛ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲡᲘᲛᲓᲘᲓᲘᲠᲔ ᲐᲮᲚᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲪᲔᲚᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲐᲢᲠᲘᲐ. ᲐᲠᲪ ᲐᲛ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲨᲘ ᲕᲘᲪᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲐᲜᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲡᲘᲠᲑᲐᲠᲣᲚᲘᲐᲜ ᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲡᲙᲐᲢᲠᲘᲐ. ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲪᲔᲚᲘᲐ. ᲘᲛᲘᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲛᲐᲜ ᲨᲐᲠᲗᲕᲨᲘ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐ ᲙᲐᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲨᲘᲛᲘ ᲮᲜᲘᲡᲙᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ — ᲔᲚᲛᲘᲡᲐᲯᲔᲚᲝᲕᲠᲘᲡ ᲔᲜᲘᲡᲗᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲖᲔ ᲐᲮᲠᲘᲡᲐᲡ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐᲡ. „ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲘᲛᲘᲓᲐ ᲰᲥᲜᲓ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲜᲘᲜᲘᲔᲠᲘ, ᲪᲝᲪᲮᲚᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲯᲘᲗᲘᲗ ᲑᲘᲯᲘ ᲛᲘᲐᲛᲬᲧᲔᲡ ᲡᲐᲜᲣᲧᲐᲠ ᲛᲘᲖᲜᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲚᲔ ᲐᲛᲘᲠᲘᲥᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲜᲘᲣᲯᲔᲠᲡᲔᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲘᲒᲘᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲛᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲨᲔᲔᲛᲔᲜᲘᲜᲐ.

ᲯᲐᲜᲘᲜᲣᲚ ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ

ᲡᲐᲛᲔᲒᲑᲝ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲒᲘᲮᲘᲚᲔ,
ᲗᲠᲗᲝᲗᲔᲑᲘᲗ ᲔᲜᲐ ᲓᲐᲛᲔᲒᲝ.
ᲯᲐᲓᲝᲜᲣᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲠᲐᲛᲔ ᲮᲐᲠ,
ᲰᲔ, ᲩᲐᲫᲐᲠᲛ ᲡᲐᲛᲔᲒᲝ!

ᲨᲔᲜᲡ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲨᲘ ᲡᲬᲐᲠᲘᲐ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲐᲛᲔᲑᲘ,
ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ
ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲠ, ᲡᲐᲛᲔᲒᲝ.

ᲐᲚᲑᲐᲗ ᲒᲔᲛᲐᲮᲡᲝᲕᲠᲔᲑᲐ
ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘᲡ ᲬᲐᲛᲔᲑᲘ,
ᲥᲐᲚᲘ ᲯᲝᲠᲬᲖᲔ ᲕᲘᲗ ᲨᲔᲡᲕᲔᲚ,
ᲛᲘᲗᲮᲐᲠ, ᲛᲘᲗᲮᲐᲠ, ᲡᲐᲛᲔᲒᲝ.

ᲒᲔᲬᲔᲡᲛᲘᲡᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ
ᲭᲐᲜᲯᲣᲚ ᲔᲠᲘᲡ ᲨᲣᲐᲜᲔᲚᲐ,
ᲫᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ ᲮᲐᲠ,
ᲔᲚᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲕ, ᲡᲐᲛᲔᲒᲝ.

ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲐᲓ ᲜᲐᲮᲐᲢᲘᲡ
ᲤᲔᲠᲘ ᲤᲔᲠᲘᲡ ᲔᲮᲐᲛᲔᲑᲐ,
ᲨᲔᲜ ᲮᲐᲠ ᲓᲠᲝᲗᲐᲗ ᲛᲗᲮᲠᲝᲜᲔᲚᲘ,
ᲩᲔᲛᲘ ᲢᲣᲠᲤᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲝ.

ᲨᲔᲜᲘᲗ ᲚᲔᲥᲡᲘ ᲛᲬᲧᲣᲠᲝᲓᲐ,
ᲠᲘᲗᲛᲐ ᲛᲫᲘᲠᲔᲓ ᲐᲛᲔᲑᲐ,
ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲫᲕᲔᲚ ᲙᲐᲪᲘᲕᲔᲚᲡ!
ᲒᲐᲒᲘᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲒᲝ!

ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕ

ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ,
ᲛᲮᲚᲝᲚᲛᲔ ᲪᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ,
ᲛᲗᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ,
ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ ᲑᲠᲘᲐᲚᲐ.

ᲐᲣ, ᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ,
ᲐᲣ, ᲠᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ,
ᲐᲠᲡᲐᲓ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲠᲘᲧᲐᲕᲘ! —
ᲡᲢᲣᲛᲐᲠᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ.

ᲛᲗᲐᲛ ᲓᲐᲛᲘᲬᲕᲐ ᲑᲔᲭᲔᲑᲘ,
ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲚᲝᲗᲐ...
ᲠᲐᲡᲐᲪ ᲥᲔᲕᲔᲜᲐᲛ ᲔᲕᲔᲛᲔᲓᲘ —
ᲛᲮᲚᲝᲚᲛᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდა გახარო

გულში მერცხლად გამოზრდილო ოცნებავ!
ჰე, მიზნებო! ახალ დღეთა, ახალო!
ცის ქუხილო, მოსმენილო ლოცვებად,
გაზაფხულის მოსვლა მინდა გახარო!

ჰე არწივო, კლდეთა თავზე მფრინავო!
დღეს არ მკითხო: ვინ ხარ, ანდა რა ხარო,
არწივი ვარ, ფრთებს ვშლი! — როგორ,
ვინაო!
გაზაფხულის მოსვლა მინდა გახარო!

ჰე სამშობლოვ! ლოცვა შენს შორ
ჭიუხებს,
ველზე იდ, ენძელებად ნახარო,
დღეს ვინ დასთვლის მზის სხივების
სიუხვეს,
მზის პირველი ცეცხლი მინდა გახარო!

ჰეი მთებო! ჩანჩქერებო გრიალავ!
ჰე სამშობლოვ, მთაზე უფრო მაღალო!
ჩვენო მზეო, ყველა მზეზე ბრიალავ!
გაზაფხულის მოსვლა მინდა გახარო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ი ჭ ე ბ ი

მერაბ ბერძენიშვილს — ალგეთზე დადგმული ქანდაკების ავტორს

1

და აჰა, ბოლოს მოადგა ალგეთს
მაღალი ქალი,
სათნო და მკაცრი
მამულისათვის მკვდარი კაი ყმის
ძენი რომ მოპყავს
უსსოვარ დროდან
და ტიტლიკანა,
ბურთივით ბიჭებს
ჩაუბღუჯიათ მამის მახვილი,
ხოლო თვალებში
შურისძიების
თავზარდამცემი
უელავთ ცეცხლი.
აბრიალებულ ლეკვებს ეტყობათ
დაიზრდებიან
მუხლმაგარ მგლებად
და არ შეჭამენ
მტრის ჯავრს ვაგლახად
არ გაუწყენ
დედას ნაწნავებს,
არც მამის ხსოვნას
არ შებღალავენ
და მამულს, მტრისგან
სვე განამწარებს,
შემოავლებენ
მტკიცე გალავანს.

2

ეს ქალი იყო საზომი ჩვენი
ნიჭის,
ზნეობის,
სიმხნევის,
რწმენის,
მოდიოდა და
უწმინდეს მსხვერპლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნისთვის
დვიძლი მოჰყავდა ძენი.
მიწას აწონილს, ვით ოქროს,
მისხლით
აწვიმდა მათი
სპეტაკი სისხლი,
ძარღვები ბეჭებს
მზით ჰქონდათ სავსე
და იდგა ირგვლივ
მცირე ხნით ასე
სითბო და შუქი
ცხელი სისხლის წილ.

3

თუ რამ აშენდა
იმ მცირე ხანში,
თუ რამ შეიქმნა
ძვირფასი მაშინ —
ტაძარი,
ხატი,
ფრესკა და
წიგნი,
რითაც ვართ მძლავრი,
რითაც ვართ მკვიდრი,
რითაც ერს მარად
დიდება ელის
იმ კურთხეული ბეჭების ხელით
არის შექმნილი
იმ მცირე ხანში.

4

მერე კვლავ რეკდა
მრისხანედ ზარი,
რამეთუ ციხეს
აპობდა ბზარი
და არ ითმენდა
სამშობლო მოცდას,
ეტანებოდნენ
კედლებში ცოცხლად,
საქართველოსთვის
სიკვდილის მსურველს
თვლა არასდეს
ჰქონია თურმე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვლა არასოდეს,
თვლა არასოდეს,
თვლა არასოდეს,
ჰქონია თურმე.

5

ხოლო ის ქალი,
საზღვრი ჩვენი
ნიგბის,
ზნეობის,
სიმხნეევის,
რწმენის,
შვილებს
— ოვერთა
მოდგმის და ჯიშის, —
ანაწილებდა
ჭირში და ლხინში.
არ გაუხლია
მას ტანზე შავი,
არ გაუშვია
ხელიდან კავი
და ზოგჯერ,
ზოგჯერ
შვილების გვერდით
საკუთარ მკლავით,
საკუთარ მკერდით
ქვეყანას მტრისგან იცავდა ისიც.

* * *

ძალიან ბევრი,
გამოვლო გზა მან...
ერთ დღეით აღგეთს
მოადგა სანამ!..
ახლა კი დგას და
ჩაფიქრებული
საქართველოს ცის
გაპყურებს სამანს.
და ვით ჩვეოდა
უხსოვარ დროდან —
სწორედ ისეთი ბოკვრები მოჰყავს, —
მამისეული
მახვილით ხელში,
შურისძიების
ცეცხლით თვალებში,
რომ მტერი, თუ კი
სადმეა კიდევ —
საკუთარ საფლავს უნდა ითხრიდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

არ გადმოფინო
    სიმშვიდის დროშა
        ციხის კედლებზე
            საკუთარ ნებით,
ეს იმას ნიშნავს,
    რომ შენ ნებდები,
        რომ შენ ნებდები,
            რომ ცოცხლად კვდები.
არ გადმოფინო
    სიმშვიდის დროშა,
        არ მიაშურო
            დათვივით ბუნაგს,
ზამთარი მოდის,
    ზაფხული მიდის
        და დედამიწა
            ბრუნავს და ბრუნავს.
რაც იყო ახლო —
    დაგვშორდა უკვე,
        რაც შორი იყო —
            მოვიდა ახლოს,
შენა ხარ აწმყო
    და წარსულსა და
        მომავალს შორის
            ნუმად ნუ სახლობ.
შენა ხარ აწმყო
    და შენი სუნთქვა
        სამყაროს სუნთქვის
            ქარიშხალს ერთვის,
შენთვის ოინება,
    შენთვის ღამდება,
        მზეცა და მთვარეც
            ამოდის შენთვის.
იცხოვრე,
    წერე,
        აშენე,
            ხატე,
        ყოველი დღისთვის
            ეომე დროებამს;
და დროზე ადრე,
    ციხის კედლებზე,
        არ გადმოფინო
            სიმშვიდის დროშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მალე ნანატრი ზაფხული მოვა
და მზის სხივების ატყდება თოვა,
აგიზგიზდება მინდვრებში ქართული,

ქარი ერთურთში აურევს ფერებს
და ცისარტყელა წვიმების მერე
თავს დაგვადგება, ვით სვეტი ნათლის.

ვიმღეროთ ცაზე, მინდვრებზე, მთებზე,
ვიმღეროთ ომში დაკარგულ ძმებზე,
გულს მოვიოხებთ უღმერთოდ დაჭრილს,

რამდენი ნაღდი ტრიუმფი ვნახეთ,
რამდენჯერ ღალატს ვუსწორეთ სახე,
მაინც სიცოცხლის ერთგული დავრჩით.

ვიმღეროთ, როგორ გადარჩა ერი,
რომ არ დაღლილა ჯერ გული ძგერით,
სიფხიზლე გვქონდა ოდითგან წესად,

და ერთადერთი ნამდვილი ღმერთი
სამშობლო იყო, სამშობლო ჩვენთვის
უსპეტაკესი ხატია დღესაც.

ვიმღეროთ მაღლზე მშობლიურ მიწის
კაცზე, რომელიც კაცისთვის იღწვის
და მოყვასისთვის ღია აქვს კარი,

შვილებზე, ქვეყნად რომლებიც გაჩნდნენ
და მოგვიმატეს შრომა და კარჯა,
გამგრძელებლებზე ქართული გვარის.

მალე ნანატრი ზაფხული მოვა
და მზის სხივების ატყდება თოვა,
აგიზგიზდება მინდვრებში ქართული,

ქარი ერთურთში აურევს ფერებს
და ცისარტყელა წვიმების მერე
თავს დაგვადგება, ვით სვეტი ნათლის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ოსეფაიშვილი

წერილი მეგობარს

მეგობარო,
შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ,
უფრო მაგრად ჩამოჰკარი
მეგობრობის ქნარს.
აბრიალე ეს ნათელი —
თვალებში რომ დგას.
კაცურ სიტყვას, მართალ სიტყვას
ნუ გაატან ქარს.
ეს დროშები, ცათამბრჯენი —
რომ ახარებს თვალს,
და ეს მკლავი მადლიანი,
რომ ჰქმნის შრომის ქარს, —
უფრო მაგრად ჩამოჰკარი
მეგობარო, ქნარს;
მეგობარო,
შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ!
ყველა მტრობა,
შური,
შუღლი
გავატანოთ ქარს.
და სიკეთის მნდომი ხალხი
მოვიხვიოთ გარს.
მზეს ნათელი მივუმატოთ,
შუქი მივცეთ ცას,
მშვიდობა და სიხარული —
ჩვენს ხაყვარელ ხალხს.
მეგობარო, შენ თუ ჩემი
მეგობარი ხარ!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუგზარ ფურცხვანიძე

* * *

ენძელის შუქით
შეგიმოსავ
ყველა გაზაფხულს,
ოღონდაც სანთელს
ნუ ჩამიქრობ,
გემუდარები!

მე ახლა შენთვის
ვლოტულობ და...
მეპატიება —
თუ ამ ტაძარში
უნებართვოდ
შემოვიპარე...

* * *

როცა გავთიბავ
ჩემი სულის
პაწია მინდორს,
იქნებ გგონიათ —
შევინახავ
თივას საბძელში?
არა! გზის პირას

იმდაგვარად
უნდა დავზვინო —
დამშეულ ხარებს
მუხლში ღონე,
თვალში სინათლე
შევმატოთ და...
მერე მზისკენ
გასწიონ ჯიქურ!

მოლოდინი

ჭ. ჭ-ს

ახლა ის დროა,
როცა გჯერა
ვიღაცა მოვა,
ვიღაცა მოვა
ისე ნაზად,
ისე სათუთად —
სულის დაფაზე

უცებ წაშლის
ყინულის ციფრებს...
...კურთხეულ იყოს,
ო, კურთხეულ —
ამგვარი გრძნობა...
ამგვარი ფიქრი...
სილამაზე...
და მოლოდინი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზეა მწყაზარი...
ქალწულები მზისკენ ილტვიან, —
გგმუქრებიან ცხელი მკერდებით
და წუთით მზესაც კი გვავიწყებენ ...

ნუ მერიდებით,
ნუ მომაკლებთ
სითბოს და ღიმილს ...
არრა მეგულვის დაუძლეველი
და გაუძლისი
და თუ მოგკვდებით, მზისთვის მოკვდეთ,
მხოლოდღა მზისთვის ...

თეთრი ღამე

თეთრია ღამე,
მიტკალივით თეთრია ღამე
და ზეიმობენ ვიღაცის მოსვლას ...
მოწყდა ვარსკვლავი? —
ვინმეს სული გაიპარება.
სვალიდან, ალბათ, იქნება გლოვა.
თეთრია ღამე,
მიტკალივით თეთრია ღამე.
ვიღაცა მიდის, —
რაც მთავარია,
ვიღაცა მოვა!

ჯარგვალი

ჯარგვალი
მზითა და
ღიმილით საკვსა ...
ბულზე აბნევია
ვეება ნალი.
ვიღაცა მოვიდა,
მოდგა და იძახის, —
ჯარგვალი ჭიშკრისკენ
გაიქცეს ლამის!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასფერცელას რვეული

ჯანსულ ჩარკვიანი

ჭუპას ლექსები

* * *

ჯოხის ცხენზე შემოჯდება,
დაიძახებს: — „ჩაო, ბები“,
კოლხეთს მივალ, მელოდება,
დასაშრობი ჭაობები.

* * *

ხაჭაპური ჭუპასო,
უსასყიდლოდ, უფასოდ,
ეს რა ბიჭი გაეზარდა,
ამ დალოცილ უბანსო.

* * *

ვენაცვალე ჭუპასო,
სტადიონს წვენს წრუპავსო,
ტროლეიბუსს „ტროს“ ეძახის,
ორკესტრს ცუმპა ცუმპასო.

* * *

პა, პა, პა, პა, სარმა ვიცი,
ენით აუწერელი,
შენ თუ კულა გლდანელი ხარ
მე ვარ ჭუპა ვერელი.

ემზარ კვიტაიშვილი

აიბოლიტი

ექიმს დილიდან არა აქვს მოცლა,
მხეცმა დარეკა, ზედიზედ ოცმა.

მუხის ვეება კარი იღება,
ვეღარ აუდის სინჯვას, მიღებას.

— ვისი რიგია, აბა, შემოდი. —
ზმეილით აღებს პირს ბეჰემოთი.

— ვკვდები, ექიმო, დაგკარგე ძილი.
— გაუძელ, სიბრძნის ამოგდის კბილი.

არვის ამადლის წყლობას, შველას,
სათქმელი უთხრა მოხუცმა ყველას;

ხებრას: — ეჭვი მაქვს ფილტვის ანთების
ქირაფს: — ამოგრა გმართებს გლანდების.

— შენ დაგმართნია მწვავე კოლიტი, —
ტურას აფრთხილებს აიბოლიტი, —

თავს დააბრალე, რა გიყო, ძმაო,
ქათამი უმად არ უნდა ჭამო.

— შენ კი რეკიმი გარგებს წოლითი, —
სპილოსაც ტუქსავს აიბოლიტი.

ყველა უჯერებს საოცარ ექიმს; —
რაღას დაიკლებთ ჭირი და ჭლექი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრთხილება

მოკრუხებულ ნაცარას
დასტრიალებს აჩიკო:
— ამოდენა კვერცხები
როდის უნდა დაჩეკო.

ტყე-ტყე ნუ იარები,
ფრთხილად იყავ, ქათამო,
არ შეგეპაროს ტურამ ან
გარეულმა კატამო.

ხომ ძნელია შიშშილი,
ყინვა, უმეზობლობა...
მაგრამ სუყველაფერზე
მძიმე არის ობლობა.

ნაწვიმარზე

მოიარეს მინდვრები,
შარაგზები, შუკები...
გუბე-გუბე დახტიან
სველი იხვის ჭუკები.

ფრთები აიფათქნეს:
— ვიტი,
— ვიტი,
-- ვიტი...
ადიდებულ მდინარეს
წაუღია ხიდი.

წიწილებმა იკითხონ,
ჩვენ გავალთ და გავცურაეთ,
ვიბანავებთ გემოზე,
წინსაფრებსაც გავწურავთ.

სათევზაოდ გვიხმობენ
ტბები, ნაკადულები...
კიბორჩხალებს შიშისგან
დაუსკდებათ გულები.

წამო, ფერმას მივადგეთ,
რა გვაქვს მოსარიდი,
დაგვიყვარონ საკენკი:
— ვიტი,
— ვიტი,
— ვიტი.

ზარმაცი

სხვენზე აღარ დაძვრები,
ჩვენო ფისო-კატუნი,
გატყობთ, მოგბეზრებია
წრუწუნების კნატუნი.

შეეჩვიე ნასუფრალს,
მზამზარეულს ჯერდები,
ღირსი კი ხარ, გაგწკეპლონ,
აგიჭრელონ გვერდები.

ძაღლის მაინც გრცხვენოდეს,
მართლაც შესაშურია, —
ღამეს ყეფით ათენებს
ჩვენი თეთრი მურია.

ნინო სოფელში

ბეგნეველა, ისევ დადგა დარები,
ჰე, მზეო, ღრუბელს ნუ ეფარები.

მზეო, გამოდი, და დააჭირე,
ნინომ დათალა ვაშლი საჩირე.

ტრირიფის ლასტი ლობეზე გასდო
არ დაყირავდე, გაუძელ, ლასტო.

ბოროლას ქატო დაუდგა ჯამით,
მოკვდა ბოროლა ამდენი ჭამით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ დაავიწყდა ყვავილის მორწყვაც,
ყვავილმა თავი დახარა მორცხვად.

ყველა მეზობელს შეხარბებია
მისი ქალობა, ლოცავს ბებია:

„ჩვენი ოჯახის იმედო, ლხინო,
შენ გაიზარდე, პატარა ნინო“.

რა კარგი ღლეა, მზეო, გამოდი,
ანათე დილით და საღამოთი.

მურმან ჯგუბურია

* * *

ყოფილა,
ყოფილა,
რა ყოფილა?
ქართველებს წიგნი გვქონია.
მოპუოლა გადამთიელი

და კარზე შემოგვდგომია,
რათა ის წიგნი წაიღო,
რაც ყველა წიგნის მჯობნია,
მაგრამ ის წიგნი ქართველებს
ეურმე ზეპირად სცოდნიათ.

* * *

ყოფილა,
ყოფილა,
რა ყოფილა?
ერთი ასული ყოფილა,
იმ ასულს ლელა რქმევია,
ძალზე ლამაზი ყოფილა,

ლამაზი კაბაც სცმევია,
გასჭირვებია ქვეყანას,
თავზე დაგესხმია მტერია,
ქალი მორთულა ეაკურად,
ხელთ ხმალი დაუჭერია,
ცხენდაცხენ ომში გასულა,
მომხდური დაუფრენია.

* * *

ყოფილა,
ყოფილა,
რა ყოფილა?
პატარა მწყემსები ყოფილან,
პატარა მახარიები,
ჰყოლიათ ოხები და თიკნები,

სალამურები ჰქონიათ,
ეს მე არ მომიგონია;
სალამურები მღერიან —
სოფელი ვარდისფერია.
სალამურები ტირიან —
ოხა დაჰკარგვია ცირიას...

* * *

ყოფილა,
ყოფილა,
რა ყოფილა?
სამი ძმა ყოფილა.
ერთი უფროსი ყოფილა.

ერთი შუათანა ყოფილა.
ერთი უმცროსი ყოფილა.
უფროს ძმას უთქვამს ამგვარი ამბავი
მე მირჩევნიაო სოფელს ქალაქი,
და შინიდან გამგზავრებულა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღეს მიწაზე გათენებულა.
თან წაულია თავისი წილი და
შუათანა ძმაც წასულა შინიდან.
შინ დარჩენილა უმცროსი ძმა,
თესავდა ხორბალს და ჰკრავდა ძნას.
მას მერე ბევრი გასულა წლები,
დაბრუნებულან ოჯახში ძმები,
გაუფანტიათ ქონება თავისი,
აღარ ჰქონიათ სიცოცხლის ხალისი.

მაგრამ ძმა რისი ძმა იქნებოდა,
თუკი ძმებს ძმურად არ დაუხვდებოდა.
უთქვამს: „ეგ მიწა გვეყოფაო ყველას,
თუმცა ხორბალი მწიფდება ნელა“.
ძმებს აუღიათ ხელში თოხები,
ბეჩავი ადგილი გაუხარებიათ,
დაწვრილშვილებულან და წუთისოფელი
ასე და ამრიგად გაუტარებიათ.

* * *

ყოფილა,
ყოფილა,
რა ყოფილა?
ერთი შავი ფრინველი ყოფილა,
უზარმაზარი ფრინველი ყოფილა,
ერთი თეთრი ფრინველი ყოფილა,
უზარმაზარი ფრინველი ყოფილა,
შავი ფრინველი მოფრინდებოდა —
მიწაზე დაღამდებოდა.
თეთრი ფრინველი მოფრინდებოდა —
მიწაზე გათენდებოდა.
ორი ფრინველი ყოფილა.
ერთი შავი ყოფილა.
ერთი თეთრი ყოფილა.

შავი ფრინველი —
ღამე ყოფილა.
თეთრი ფრინველი —
დღე ყოფილა.

ჯემალ ჩახაშა

საზაფხულო ბაზრობა

ინდაურმა სუყველას —
ცხოველებს და ფრინველებს
საზეიმოდ აცნობა:
— საზაფხულო ბაზრობა!
საზაფხულო ბაზრობა!

იწყებოდა ამგვარად, —
უცნაური ხმაურით, —
ცხოველთა და ფრინველთა
დიდი დღესასწაული.

ირთვებოდა ქალაქი
ათასგვარი ნახატით...
ბაზრობაზე, ბავშვებო,
ვის არ დაინახავდით.

საზეიმო დღე იდგა —
საქონელიც ფასობდა,
ირეოდნენ მუშტრები,
„ათიანი“ „ასობდა“.

არავის არ უნახავს
ამნაირი სურათი.
ერთ ტაფაზე იწვოდა
ლაჩარი და გულადი.

აგერ მგელი, — ბატკანთან
მიბრძანდება ხელკავით,
მელას თეძო გაუკრავს —
გასჩენია წელკავი.

ტურიკელა ტურასა
თავი ისე აეგდო, —
კრუხებს წითელ მამლებზე
უყვებოდა ანეგდოტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ერთი ტკრციალი,
ხითხითი და ხორხოცი,
ვირთხას კვერცხი ნიძლავზე
შეეჭამა ოთხმოცი.

სად იყო და სად არა,
დაჰკრეს უცებ ნაღარა,
სტუმრების მობრძანება
ყველას როჭომ ახარა.

მოგრიალდნენ ხმაურით
კუდბათქუნა ციყვები,
გააქვავეს ადგილზე
თეთრი მოტოციკლეტი

გადმოზიდეს ტომრები,
აჩხრიალდნენ კაკლები
და გაივსო პირთამდე
განიერი დახლები.

მდინარიდან გლისერით
ტყეს მოადგნენ თაგვები,
ერთნაირად წაკრული
შავი ყაბალახებით.

როცა ხიდან კოდალას
დაფდაფური გაისმა,
მიატოვეს კურდღლებმა
გემრიელი ჩაის სმა.

მოიღოკეს დათვებმა
თაფლიანი დრუნჩები
და ყაყანით გაივსო
ბაზრისპირა ქუჩები.

აბა დელი, დელია,
ქათმებს ყიდის მელია;

გლდანის — ოეთრზე თეთრია,
სამტრედიის — ჭრელია.

— თაფლი! თაფლი! თაფლი!
ადუდღუნდა დათვი, —
— ახალია ძმებო,
ამ წლისა და ამ თვის.

ვირი ჰყიდის ხურმას,
კროლა კაკალს — ყვავი,
რა ექნებათ მწყრებს?—
პური აქვთ და ჭვავი.

მაიმუნის საზამთრო
ფასობს მამასისწლად,
რიგი გაჩნდა ისეთი —
ჭირს სასწორთან მისვლა.

აბა დელი, დელია!..
აბა დელი, დელია!..
ყანჩა ფეხზე იზომებს
ჩექმებს მაღალყელიანს.

ტყეში ჟრიამულია,
ტყეში ისევ მღერიან,
გასაყიდი ქათმებით
ისადილა მელიამ.

აბა ჩქარა, ბავშვებო,
ტყის მეგობრებს გელიან,
მისამართი?.. ინებეთ,
კაკლის ხეზე სწერია:

ლომის ქუჩა,
პირველი,
შეხახვეი. კრაზანის, —
„საზაფხულო ბაზარი“.

თინათინ კვირიკაძე

სილამაზე

ცისკარს
თვალი გავუსწორე,
თითქო გული გაჩერდა...
მოწონება არ ვიცოდი,
სიბერეში დამჩემდა?

არა, ცილი არ დამწამოთ,
არ ვიქნები თანახმა:
მხოლოდ გული გამიხარა,
სილამაზის დანახვამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ ე დ ნ ი ე რ ე ბ ა

ამაზე მეტი ბედნიერება
აბა, რა არის ამ ქვეყანაზე. —
საყვარელ შვილებს რომ ელოდები,
ჩამოყრდნობილი ფანჯრის რაფაზე.

განა არ არის ბედნიერება,
შვილიშვილებს რომ უცდის ბებია?
ოფლში გაღვრილი ჭინკა ბიჭები
კარებს ჯიქურ რომ მოაწყდებიან?

ავთანდილ მეგრელიშვილი

გაღაიღო გაფრენა

გავაკეთეთ რაკეტა,
საწვავად გვაქვს ნავთი.
კოსმოდრომიც აქვეა,
არ გვყავს კოსმონავტი.
— კოსმონავტი ვიქნები! —
გვეხვეწება ანდრო.
გაგონილა კოსმოსში
ფრენა უსაფანდროდ?
როგორც იქნა სკაფანდრი
გავაკეთეთ წვალებით.
გადავაცვით კოსმონავტს,
კოსმოდრომზე გავედით.
უცებ დედა გვეძახის...
დავუბრუნდით ბინებს
და კოსმოსში გაფრენა
გადაგვადებინეს.

ძუნწი ზღარბი

ზღარბუნიას ნემსი ვთხოვე,
იყოყმანა დიდხანს...
გოგო, წარმოგიდგენია? —
არა მაქვსო, მითხრა.

მწყემსი ბიჭი

დაგავა, დააკრიალა
ჩვენმა პაატამ ბოსელი.
ახლა ეს სუფთა ბოსელი
ჩვენს დედისერთა ხბოს ელის!

მთვარისა ჭყონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბადების დღე

გუშინ გავხდი ათი წლის,
ძამიკო კი — ექვსის,
მივულოცე დღეობა
საკუთარი ლექსით.

მომისმინა, — მოეწონა
ჩემს ძამიკო ლექსოს;
— როცა დიდი გავიზრდები,
მეც დაგიწერ ლექსსო.

კოშკი

საღამოა, მთვარემ ცაზე
ლრუბლის კოშკი ააშენა,
ვარსკვლავებით ღობე შეკრა,
ცის ქვეშეთი დაამშვენა.

გამოალო ფროხილად კარი,
გადმოგვძახა პაწაწინებს:
— ჩემთან მოდით მეგობრებო,
ფაფუკ-ფაფუკ დაგაძინებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივრე მადანი

«ალამიანის ტრაგედია»

ივრე მადანი (1823-1864) უნგრული მწერლობის ერთ-ერთი უბრწყინვალეხი წარმომადგენელია. მისი „ალამიანის ტრაგედია", რომელიც პეტეფისა და ჩო�onის ნაწარმოებებთან ერთად უნგრული ლიტერატურის მშვენებასა და სიამაყეს წარმოადგენს, ფართოდ ცნობილია მთელს მსოფლიოში და ჩვენი პლანეტის ხალხთა მრავალ ენაზეა თარგმნილი. „ალამიანის ტრაგედია" ღრმა სოციალურ-ფილოსოფიური შინაარსის დრამატული პოემაა, რომელშიც ავტორის ჩანაფიქრით, გადმოცემულია კაცობრიობის სულიერი და სოციალური ისტორიის ძირითადი მომენტები.

ჯეკემდავთ ერთ ნაწილს ამ პოემისაგ.

მეოთხე სცენა

პარიზის გრევის მოედანი. ფიცარნაგთან გილიოტინა. დგას ლუციფერი ჯალათის სამოსელში, ადამი — დანტონი ფიცარნაგის ნაპირიდან სიტყვით მიმართავს მოყაყანე ბრბოს. ღილის ხმაურით შემოდის ტანსაცმელჩამოფლეთილ ახალწვეულთა რაზმი და ფიცარნაგთან მწყობრში დგება. ნათელი დღეა.

ადამი — (განაგრძობს).
თავისუფალნი, თანასწორნი და ძმები ვიყოთ!
ბრბო — სიკვდილი ყველას,
ყველას ვინც კი ასე არ ფიქრობს!
ადამი — მეც მაგას ვამბობ! რომ დავიცვათ დიდი იდეა,
ახლა უთვალაც მტერთა მიერ გარემოცული,
ჩვენ ორი სიტყვა გვიხსნის მხოლოდ, მოკეთეს გუთხრათ:
„სამშობლოს საფრთხე ემუქრება"! — ხოლო ბოროტებს,
ქვეყნის ორგულებს გუთხრათ „ძრწოლეთ" — მკაცრად და
რისხვით,
ამით მოკეთეს გავაუხიზლებთ, მტერს დავამარცხებთ!
ჩვენს წინააღმდეგ მეფეებმა გამოილაშქრეს —
ჩვენ მათ ტრანის მოკვეთილი თავი მივუდდეთ.
ჩვენს წინააღმდეგ ეკლესიამ გამოილაშქრა, —
ჩვენ მათ ადგილზე ტასტზე დავსვით საღი გონება,
საუკუნეთა მანძილზე რომ იდვენებოდა.
მამულიშვილნი აპყოლიან სამშობლოს ძახილს.
თერმიტ არმიას აქვს ჭიდილი საზღვარზე მტერთან
და ჭაბუკები თავგანწირულ ბრძოლით ცდილობენ
საომარ ველზე დაცემული გმირების შეცვლას.
ვინ იტყვის იმას, რომ უმკაცრეს ბრძოლა-სისხლისღვრას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის დაღუპვა შეუძლია? როცა ლიმონი
მხურვალე ცეცხლზე იხარშება, წიბო ეცლება
და განწმენდილი რჩება მისგან წმინდა სპილენძი!
თუნდ სისხლისმსმელნი დაგვიძახონ, თუნდაც ურჩხული,
ოღონდ სამშობლო იყოს ჩვენი თავისუფალი!
ოღონდ სამშობლოს ჩვენს, საფიცარს, ჰქონდეს დიდება!

ახალწვეულები:
ჩვენ იარაღი გვინდა ახლა და წინამძღოლი!

ადამი — სწორედ, დიახაც! იარაღი გინდათ თქვენ მხოლოდ,
თუმც მეტი მაინც არაფერი არ გაგაჩნიათ,
ტანზე სამოსი არ გაცვიათ, ხართ ფეხშიშველნი,
მაგრამ ყველაფერს მოიპოვებთ ბასრი ხიშტებით,
ო, მეგობრებო! ხალხი, ხალხი უძლეველია!
აი, ჩვენ ახლა ერთ გენერალს მოვკვეთთ თავი,
რატომ? იმიტომ რომ ჩვენ იმას ჯარი მივანდეთ,
ის კი დამარცხდა!

ბრბო — მოღალატე!

ადამი — სწორედ ასეა!
ხალხს სისხლის გარდა სხვა სიმდიდრე არ გააჩნია,
ამ ერთადერთ განძს იგი ისევ სამშობლოს სწირავს.
ხოლო ის ვისაც აბარია ეს წმინდა განძი,
ვინაც განაგებს კეთილშობილ ხალხის ამ ზვარაკს
და ვეღარ შესძლებს გამარჯვებას საძულველ მტერზე, —
მოღალატეა!

(მწკრივიდან გამოდის ოფიცერი)

ოფიცერი — მოქალაქეებ, მე დამაყენე
იმ მოღალატის მაგივრად. გამოვისყიდი
მე იმის სირცხვილს ჩემი ბრძოლით თავგანწირულით!

ადამი — საქები არის ძლიერ შენი თავდაჯერება,
ო, მეგობარო, მაგრამ მაინც, სიტყვის საწინდრად.
ჯერ ბრძოლის ველზე მოიპოვე მაგის უფლება!

ოფიცერი — ჩემი სულია საწინდარი მაგისა, დანტონ!
და ჩემი თავიც, რაიც იქნებ უფრო ძვირია,
ვიდრე ის თავი, მოკვეთილი, აქ რომ დაგორდა!

ადამი — მაგრამ ვინ არის, მითხარ მაშინ, იმის თავდები
რომ თავს გასწირავ უყოყმანოდ, მე რომ მოგთხოვო?

ოფიცერი — თვითონ გახლავარ მე თავდები საკუთარ თავის, —
ჩემი სიცოცხლე დამიჯერეთ, არაფრად მიღირს!

ადამი — ახალგაზრდობა კი სხვაგვარად ფიქრობს მე მგონი.

ოფიცერი — გთხოვ, გეკვდრები მოქალაქეებ, გესმის თუ არა?

ადამი — მიადწევ შენსას, მოითმინე!

ოფიცერი — მაშ, არა გჯერა?
ახლა სხვაგვარი წარმოდგენა გექნება ჩემზე!

(ტყვიას შუბლში დაიხლის)

ადამი — სამწუხაროა, სამწუხარო. ასეთი კაცი
ვაჟკაცურ ბრძოლით ომის ველზე უნდა დაეცეს.
მაგრამ რას იზამ. გაიტანეთ ეს, მეგობრებო.
გამარჯვებულნი შევხვედროდეთ. მალე ნახვამდის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ახალგაზრდულთა რაზმი გადის)

ნეტავ შემეძლოს თქვენი ბედის გაზიარება!
მე მხოლოდ ბრძოლა მერგო წილად, არა დიდება
და არცა მტერი პირდაპირი, ვისი ხელითაც
სიკვდილი ასე სანატრია და საპატიო,
არამედ ბრძოლა მათთან, ვინაც ჩასაფრებია
ვერაგული ზურახვით სამშობლოსაც, მეც და ჩემს ხალხსაც!

ბ რ ბ ო — ვინ არის იგი? მიგვასწავლე, სიკვდილი იმას!

ა დ ა მ ი — ის ვინც მე უნდა მიგასწავლოთ —

უკვე მკვდარია!

ბ რ ბ ო — მაგრამ რამდენი დარჩა მაინც ეჭვმიტანილი!
ვინაც ეჭვს იწვევს დანაშავეც ის არის სწორედ!
ხალხი კარგად გრძნობს მოღალატე რომელი არის!
ხალხი წინასწარ, შეუცდომლად ხედავს ყველაფერს!
საპყრობილეებს მივაშუროთ, იქ გავუსწორდეთ
არისტოკრატებს, სამართალი იქ აღვასრულოთ!
ხალხის კანონი წმინდა არის და შეუცდარი!

(ბრბო საპყრობილეებისაკენ მიემართება)

ა დ ა მ ი — საშიშროება **იქ არ არის.** მტკიცე ურდული,
მყრალი ჰაერი **და** სინესტე დილეგებისა
მოკავშირეა თქვენი, რადგან იგი პატიმრებს
ართმევს ვონებას **და** უშრიტავს ყოველგვარ ძალას.
მოვეშვათ იმათ! ღალატი და მზაკვრობა ახლა
თავაწეული იცინის და მასვილს ილესავს
კონვენტის მაღალ სავარძლებზე გულარხეინად!

ბ რ ბ ო — კონვენტისაკენ გავემართოთ, რადგან ეტყობა
იგი კარგად ვერ შეინჯღრიეს! ო, თუმცა არა
მაინც მოვასწრებთ კონვენტს მერეც!

— ახლა ციხეებს,
საპყრობილეებს მივაშუროთ, ასე აჯობებს!
— შენა კი დანტონ, გამყიდველთა სია დასწერე
რომ შემდეგ იმათ გავუსწორდეთ!

(ბრბო მუქარით გადის. ამასობაში რამდენიმე ს ა ნ კ ი უ ლ ო ტ ი გელიოტინისაკენ მიათრევს ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა მ ა რ კ ი ზ ს და მარკიზს დას, რომელსაც ე ვ ა ს სახე აქვს მიღებული).

ს ა ნ კ ი უ ლ ო ტ ი — აჰა, ეს წყვილიც.
ამპარტავნობა და მდიდრული ტანისამოსი,
ცხადად ამხელენ მათს მზაკვრობას და ბოროტებას!

ა დ ა მ ი — კეთილშობილი იერი აქვთ. აბა მომგვარეთ
ახლოს ეგ ხალხი!

ს ა ნ კ ი უ ლ ო ტ ი — აქეთ მოდით! ჩვენ ახლა წავაღთ,
სხვა საქმეცა გვაქვს, კიდევ ბევრი, სიკვდილი მზაკვრებს!

(ს ა ნ კ ი უ ლ ო ტ ე ბ ი ბ რ ბ ო ს თ ა ნ ერთად გადიან, ჰაპეკი და ქალიშვილი ფიცარნაგზე ადიან. მათ მახლობლად მახლოდ ყარაულებია).

ა დ ა მ ი — თვითონ არ ვიცი ასე ძლიერ რად მომეწონეთ,
ამ საშინელი ხიფათისგან უნდა დაგიხსნათ,
თუნდაც დამატყდეს თავს სიკვდილის საშიშროება

მ ა რ კ ი ზ ი — ო, არა დანტონ! უღალატებ მაშინ სამშობლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ჩვენ კანონთან გვაქვს რაიმე დანაშაული,
ხოლო თუ ბრალი არ მიგვიძღვის, არა გვჭირდება
ამპარტავნული ეგ წყალობა!

ადამი — უყურეთ ერთი!
განა ვინა ხარ, რომ დანტონთან ასე ამაყად
საუბარს ბედავ?

მარკიზი — მარკიზი ვარ.

ადამი — ნუთუ არ იცი,
რომ, ტატულები საფრანგეთში უკვე გაუქმდა?

მარკიზი — არა, ხელმწიფის ეს ბრძანება არ გამიგია.

ადამი — კმარა, გაჩერდი უბედურო! შენ ერთი სსნა გაქვს —
ჩვენს არმიაში თუ შემოხვალ თავს გადაირჩენ.

მარკიზი — ხელმწიფისაგან მე უფლება არ მომიღია —
სხვის არმიაში რომ შევიდე.

ადამი — თავს დაიდუპავ!

მარკიზი — რაც არის, არის. კიდევ ერთი კაცი მოკვდება
ჩვენი სახლიდან, გვირგვინისნის ერთგულებისთვის!

ადამი — ასე ჯიქური სიჯიუტით თავს რატომ იკლავ?

მარკიზი — შენა გგონია ეს უფლება კეთილშობილი
მხოლოდ მდაბიოს გააჩნია?

ადამი — მაინც ჯიუტობ?
ვინ ძლიერია აბა ენახოთ ერთი, ჩვენს შორის!
თუმცა არა გსურს, სიკვდილისგან მე მაინც გიხსნი!
ამ სიმტკიცისთვის მომავალი მეტყვის მადლობას,
როცა დაცხრება პარტიული მეკერძოება
და ჩვენს საქმეებს შეხედავენ ფხიზელ გონებით.
თქვენ ჰეი, აბა, ეროვნულო გვარდიელებო,
გავალებთ კარგად მოუაროთ ამ არისტოკრატს
და ჩემს ბინაზე მიაცილოთ. აბა, იცოდეთ
რომ ჩემს წინაშე აგებთ პასუხს!

(ეროვნული გვარდიის წევრებს მარკიზი გაჰყავთ)

ევა — გამაგრდი, ძმაო!

მარკიზი — დმერთი გფარავდეს ჩემო დაო!
(მიდის.)

ევა — ჰა, ჩემი თავი,
მადამ როლანის თავზე არა ნაკლებ ძვირფასი.

ადამი — ასეთ უნაზეს ბაგეთაგან რატომ მოისმის
მკაცრი სიტყვები?

ევა — სისხლიანი ეს ასპარეზი
ნუთუ ნაზ სიტყვებს ელოდება?

ადამი — ჩემი სამყარო —
ეს საშინელი სისხლიანი ფიცარნაგია.
მაგრამ დღეს მასზე გარდმოეშვა წმიდა სამოთხე
და შუქი მისი სანეტარო შემომახვია!

ევა — სამსხვერპლე პირუტყვს ქურუმები არ დასცინიან.

ადამი — მსხვერპლი თვითონ ვარ დამიჯერე. თუმცა ჩემს ალტარს
და ძლიერებას შურის თვალით შეჰყურებს ბევრი,
მე უსალისოდ, სიძულვილით სიკვდილ-სიცოცხლის,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევყურებ, ჩემს ტასტს ამაღლებულს ასე მეფურად.
და მსხვერპლს მის ირგვლივ მიმობნეულს. მე კარგად ვიცი
ჩემი საათიც დაჭრავს მალე ამ სისხლის ზღვაში.
ერთი რამ არის ჩემთვის მაინც გამოუცნობი
და ეს მაწუხებს: რა კარგია, რა სანეტარო
ალბათ როდესაც ვინმე გიყვარს და შენც უყვარხარ!
ო, რომ ისურვო მაზიარო ამ ანგელოსურ
მეცნიერების დიად საწყისს, მაშინ იცოდე
თვით ავიდოდი ბედნიერი გილიოტინაზე!

ევა — ამ კოშმარული სინამდვილის შემყურე კიდევ
ოცნებობ განა სიყვარულზე? ნუთუ სინდისი
აღარ გაწუხებს?

ადამი — რა სინდისი? ამის უფლება
მხოლოდ უბრალო, სუსტ არსებას თუ გააჩნია,
ჩვენ კი, ჩვენ ვისაც მიგვაქროლებს ბედის მერანი,
დროც კი არა გვაქვს გარეშემო მიმოხედვისა.
განა ქარიშხალს შეუძლია შეჩერდეს მისთვის
რომ ვარდს უნაზესს არ მოსტეხოს სუსტი რტოები?
ან ვინ გაბედავს რომ განსაჯოს, იგი რომელიც
თვითვე განაგებს და სწყვეტს თვითვე ბედს საზოგადოს?
ანდა ვინ ხედავს თვალუხილველ უმტკიცეს ძაფებს,
რაიც სცენაზე ამოძრავებს თავის ნებაზე
ან კატილინას, ანდა ბრუტოსს, ანდა სხვა ვინმეს?
იქნება ფიქრობ რომ სახალხო ტრიბუნი არის
რაღაც მოვლენა ზეციური, ღვთით მოვლენილი,
და ყოველდღიურ ზრუნვა-ფიქრზე ამაღლებული,
დაკარგული აქვს მას კაცური ლტოლვა და ვნება? —
არ დაიჯერო! მბრძანებელსაც გული აქვს მკერდში.
თუ კეისარსაც ჰყავდა სატრფო და მეგობარი
ის მას იცნობდა ალბათ როგორც სიკეთით სავსეს,
და წარმოდგენაც არა ჰქონდა, რომ კეისარის
ყოველ სიტყვაზე შიშით ძრწოდა მთელი სამყარო!
რატომ არ უნდა შეიყვარო, აბა მითხარი?
იქნებ შენ არ ხარ ქალი, ან მე არა ვარ კაცი?
გულშა ეს იცის — მას ან უყვარს ან ეზიზღება.
ეს თვისება აქვს დაწერილი დასაბამიდან!
ჩვენი გულები — მე ვფრძნობ არის მონათესავე.
ერთ ხმაზე ძგერენ! ო, ქალწულო, ნუთუ არა გსურს
ჩემი გაგება?

ევა — მერე რაა, გინდაც გაგიგო —
სხვა ღმერთს მსახურებს შენი გული და არა იმას
რომელიც გულში მყავს ჩამჯდარი და ჩასახული.
ერთიმეორეს ვერასოდეს ჩვენ ვერ გავუგებთ!

ადამი — თავი ანებე იდეალებს მოძველებულებს!
არა სჭირდებათ მსხვერპლი უკვე დამსობილ ღმერთებს!
ქალისთვის არის მხოლოდ ერთი საკურთხეველი. —
მუდამ ცხოველი და მხურვალე — მას გული ჰქვია!

ევა — ო, დანტონ, იცი, მიტოვებულ საკურთხევლებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰყავს მოწამენი, იქნებ არის უფრო ღირსეულ
დაცვა დამსხვრეულ ნანგრევების, ვიდრე ადიდო
ამმამავი ხელმწიფება! იგი ქალისთვის
შესაფერია უფრო მეტად!

ა დ ა მ ი — არავის ახსოვს,
რომ გრძნობა ასე მომრეოდეს... ახლა რომ ვინმემ
თუნდაც მოყვარემ, თუნდაც მტერმა, მე დამინახოს,
